10
0.50

ISSN 0132 - 6007

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაკადული

6
1990

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „უკარ პოეტის კვალით განათლებული...“

**ნინო ხარაზიშვილი**

ქვა თავის ადგილას არის მძიმე, რომ დაიძვრის, დამსუბუქდებაო... ამქვეყნად ყველასი და ყველაფრის ყისმათი ასეთი ყოფილა — ადამიანისაც, სიტყვისაც. თავისი მშობლიური გარემოდან აყრა ყველას უჭირს, განგებისგან თუ შემთხვევისგან მხოლოდ მისთვის დანიშნული საქმე და ადგილი ყველა სულიერსა და უსულოს სჭირდება. არადა, ასეც ხომ ხდება: ერთგან ეძებ საკუთარ თავს, მარტოოდენ იმ ერთ სასურველ გარემოს ატოლებ შენს ნიჭსა და მისწრაფებებს, იმ უერთადგილოდ ვერ გაგიძლია, მაგრამ გამოხდება ხანი და დრო ან სიტუაცია შენს მიდრეკილება-შესაძლებლობებს სულ სხვა, ახალი კუთხით დაგანახებს.

დოდო ნათიძესაც ასე დაემართა. ყოველთვის უკომპრომისო იყო, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი. გოგონობიდანვე შეაჩვია შინაურები თავის მოულოდნელობებს. ორი წელი ისწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. მერე უცებ გაგულგრილდა: ეჩვენებოდა, რომ ზუსტი მეცნიერება ფრთებს კვეცდა მის ფანტაზიას, ხელს უშლიდა პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების შემუშავებაში... განცხადებას განცხადებაზე წერდა. მესამე კურსზე მისი თხოვნა, როგორც იქნა, დააკმაყოფილეს — გადავიდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე...

სულ მალე მოხვდა უნივერსიტეტელ ახალგაზრდა მწერალთა წრეშიც. „პირველ სხივში“ ლექსების ბეჭდვა დაიწყო. შეუქეს, კარგი დაუნახეს... ახლა უფრო დაუოკებელი და დაჟინებული გახდა მიზანიც, — რადაც უნდა დასჯდომოდა, არ ეღალატა თავისი შემოქმედებითი ინტერესებისა და პრინციპებისათვის.

მაგრამ... კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ესეც ხომ ჩვენში უთქვამთ. ბედმა თუ შემთხვევამ სულ სხვაგვარად გადაანაწილა მისი იმჟამინდელი განწყობილებები. მოხდა ისე, როგორც ყველაზე ლამაზ ზღაპრებში ხდება ხოლმე: შეიყვარა და გათხოვდა. ეს იყო თითქმის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ასე რომ, როგორც იტყვიან, ხეირიანი მიხედვ-მოხედვაც ვერ მოასწრო, ისე უცებ შეიცვალა არხი ოცნებამ... დედისერთები კი ამაზე ყოველთვის ბევრს ოცნებობენ ხოლმე. ერთი შვილის დედობამ ახლა ორის დედობა მონატრა და ასე გაება ოჯახის ტკბილ-მწარე უღელში.

„გარეთ“ გამოხედვა რომ მოახერხა, უფროსი გოგონა — მაიკო უკვე სასკოლო ჰყავდა... მიიყვანა სკოლაში. იქ კი — მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე გვჭირდებაო... უკვე ძალიან აწუხებდა „გარეთ“ გამოსვლისა და სხვისთვის რაიმე სასარგებლო საქმის გაკეთების მოთხოვნილება. შესთავაზა საკუთარი კანდიდატურა. ასე რომ, მშობლის „სტატუსით“ მოხვდა თბილისის 147-ე სკოლაში. იმ წელს როგორ იმუშავა, ამის მსაჯულად, რა თქმა უნდა, თვითონ ვერ დადგება, მაგრამ ფაქტი ერთია: მეორე სასწავლო წლისთვის სადამრიგებლოდ სკოლის ურთულესი კლასი შესთავაზეს. ეშინოდა კი, მაგრამ მაინც სიხარულით მეცხრე ცაზე იყო... იღბლიანად დაიწყო მასწავლებლობა. სიძნელეებმა მუშაობის პირველ თვეებშივე დააჭაშნიკეს. საქმემ გამოსცადა, საქმე გამოსცადა... რაც შეეხება იმ ძნელ მეექვსე კლასს, დღეს ასე ჰგონია, ამ ბავშვებთან განსაკუთრებული, დედური გრძნობა სიცოცხლის ბოლომდე დააკავშირებს.

საქმე კი, აი, როგორ გახლდათ: მთელ სკოლაში სახელგანთქმულ ამ მეექვსე კლასში 21 ბიჭი სწავლობდა და მხოლოდ 6—გოგონა. აქედან 11 სკოლის გვერდით მდებარე ბავშვთასახლელი იყო, ერთი სიტყვით, „აულებელი“ ხალხი... მალე აჯობა შიშს სხვა გრძნობამ. ეს იყო საკუთარი თავისა და სხვებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ამ ბავშვებისათვის საწინააღმდეგოს დამტკიცების უზარმაზარი მოთხოვნილება. მას კი სხვა გზა არ ჰქონდა — უნდა გაემარჯვნა და გაემარჯვნა იმგვარად, როგორც

# მასწავლებლო ჩემო კარგო მასწავლებლო

ქალთა წესია — ნდობით, გაგებით, სიყვარულით; რადგან არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი ძალა, სიყვარულმა რომ ვერ წარმოაჩინოს.

დიახ, ეს დაჟინება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ გატაცება, მხოლოდ გატაცება ვერ აიძულებდა, ყოველ დილით ხელი წამოევლო თავისი სამი-ოთხი თვის პატარა გოგონასთვის და საბავშვო ეტლით სამსახურში ეტარებინა. ლამის გადიად აქცია სკოლის დარაჯი, კეთილი ძია სურენი.... შესვენებისას გულგახეთქილი ჩამოურბენდა ხოლმე, ბავშვი ხომ არ მომიშივდაო... არა, მხოლოდ გატაცების ან თუნდაც ძლიერი ინტერესის გამო ამას არ გააკეთებდა.

მერე ის იყო, „ნაკლი“ აღმოიჩინა: სამი გოგონას დედა ბიჭის ფსიქოლოგიას ცუდად ვიცნობო. სერიოზულად ჩაუჯდა ფსიქოლოგიურ ლიტერატურას, შეისწავლა მოზარდის ხასიათისა და ფსიქიკის მრავალი ნიუანსი, გაითვალისწინა თავისი წინამორბედი მასწავლებლის ყველა ნებსითი თუ უნებლიე შეცდომა. სწორედ მაშინ აღმოაჩინა, რომ მასწავლებელი ქალისაგან სითბო და თუნდაც თავზე ხელის უბრალო გადასმა ყველაზე მეტად ბიჭს ათვინიერებს, თავზეხელაღებულსაც კი.

ესეც თითქოს თავისით მოხდა. ურთიერთობის პირველივე დღიდან სითბოს, სიტყვით, ხელით, თვალებით მიფერებას შეაჩვია მოსწავლეები. მაგრამ ეს არ იყო განებივრება, ეს უფრო რაღაც შინაგან სიგნალს ჰგავდა, რომელსაც ყოველი ბავშვიც ასევე პასუხობდა — კეთილგანწყობის, მადლიერებისა და სიყვარულის ჩუმი სიგნალებით.

ვისაც მოზარდებთან უმუშავნია, დაგვეთანხმება: უფროსების ძირითადი შეცდომა სწორედ ისაა, რომ ყმაწვილების მოჭარბებულ ენერგიას სწორ დატვირთვასა და კალაპოტს ვერ აძლევენ. ამაზეც ბევრი იფიქრა, და თუმცა მოცეკვავე არასოდეს ყოფილა, ერთ დღეს, ყველასთვის მოულოდნელად, შინიდან წამოღებული ფირსაკრავით ხელდამშვენებული შევიდა კლასში — ის ახალშემოსული ცეკვა რომ არის, „ბრეიკდანსი“, იქნებ ყველას გვესწავლა და ამისთვის შესვენებები გამოგვეყენებინაო... ცეკვის მასწავლებელიც წამში შეარჩიეს — სკოლის მათემატიკის ახალგაზრდა მასწავლებელი. ასე რომ, დიდ-პატარა შესვენებების დროს მათ საკლასო ოთახს დიდხანს გაჰქონდა გრიალი. სამაგიეროდ, სკოლის საახალწლო დღესასწაულზე მეექვსეკლასელმა ბიჭებმა თავიანთი მოქნილობით ყველანი გააოცეს და თანაც... შესვენებაზე ცეკვით დაღლილები გაკვეთილებზეც ნაკლებ მოძრავნი იყვნენ, სამაგიეროდ, ყურადღებიანი მსმენელები დადგნენ...

ცოტა უფრო გვიან „აღმოაჩინა“, ამ ყველაფერს რატომ აკეთებდა: უნდოდა, ყველასთვის დაემტკიცებინა, რომ სკოლაში კიდევ იყო ერთი შესანიშნავი კლასი, იყვნენ ძალზე გონიერი და გულისხმიერი ბავშვები... კიდევ ის, რომ არ არსებობს ცუდი და კარგი ბავშვი, ისევე, როგორც არ არსებობს ცუდი და კარგი ადამიანი. ასეთებს მხოლოდ ჩვენ ვქმნით ჩვენი უგულისყურობითა და ზერელობით, მერე ვყოფთ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად და თავიანთი ინდივიდუალური ღირსება-ნაკლოვანების მიხედვით შეურაცხმყოფელად ვახარისხებთ.

ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს თავის მუშაობაში პატარა გაუგებრობაც კი არ ჰქონოდეს... მაგრამ მათაც სძლევს ხოლმე, ასე ვთქვათ, რბილად ერევა ისე, რომ მოსწავლეს ილუზიაც კი არ შეექმნას, რაღაცის, ჩემთვის გუშინ ნაკლებსასურველის, გაკეთებას მავალებენო.

ასეთი შემთხვევაც ჰქონია. გაკვეთილის პარალელურად მირზა გელოვანის შესანიშნავი ლექსის „ქართლის მიწის“ შესწავლა სთხოვა მოსწავლეებს. ბიჭები აიმრიზნენ... მეორემესამე დღეს კლასში შესულმა ბავშვებს გამოუცხადა, სამამულო ომის მონაწილე პოეტებს ვიწვევთ, ოღონდ იმ პირობით, რომ მონტაჟში ჩავრთავ მხოლოდ იმ ბავშვებს, ვინც ამ ღონისძიების მოწყობამდე მაღალ ნიშნებს მიიღებსო. ამას საოცარი შედეგი მოჰყვა — თითქმის ასპროცენტიანი მოსწრება.

შემობრუნდა კლასი... მორიგ საახალწლო კარნავალზე ბავშვებმა კიდევ უფრო იყოჩაღეს. ხუმრობა ხომ არ იყო, კარნავალი თავიანთი საყვარელი დოდო მასწავლებლის სცენარის მიხედვით უნდა ჩაეტარებინათ, თანაც ყველანი სასაცილო ყავისფერი შოკოლადები იყვნენ... ასე წაეწყო. მერე ის იყო, დიდი ილიას შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოც ასეთივე სიყვარულით ჩაატარეს.

მაგრამ მივუპყროთ ყური ერთი წუთით აკაკი წერეთელს: „ქართველებს ერთი ძირძველი სიტყვა მოგვეძევება. ეს სიტყვა გახლავთ „მოძღვარი“. ახლა ასე სულიერ მამას მივმართავთ ხოლმე, ჩვენი წინაპრები კი „მოძღვარს“ ეძახდნენ არა მხოლოდ სასულიერო პირს, არამედ თავიანთი ბავშვების ყოველ მასწავლებელსა და ჭკუის დამრიგებელს, რომელ წოდებასაც უნდა ჰკუთვნებოდეს იგი. ქართველობა კი ახლაც მზად არის შეიყვაროს თავიანთი შვილების აღმზრდელები და თაყვანი სცეს მათ, თუ ისინი ძველებურ „მოძღვრობას“ გასწევენ“.

ყოველთვიური საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
გამოდის 1926 წლიდან
№ 6 ივნისი 1990



საქართველოს ... ბიბლიოთეკა

განა შეიძლება „გამზრდელის“ ავტორს არ დაუჯერო... მით უფრო, რომ ამგვარ სულიერ მოძღვართა მონატრება დღემდეც მონატრებად რჩება ჩვენს საზოგადოებაში. და ეს, უპირველეს ყოვლისა, ალბათ სიყვარულის მონატრებაა, იმ სიყვარულისა, რომელიც მზად არის, „თავისად მაყურებელი“ თვალები დაიბრმავოს და მხოლოდ შენი თვალებით აღიქვას სამყარო; იმ სიყვარულისა, რომელზეც წერდა ეგზიუპერი: დიახ, სიყვარული მხოლოდ ერთმანეთის ცქერას არ ნიშნავს, იგი უფრო ერთი მიმართულებით ცქერას, შინაგან ერთიანობას, თანამოაზრეობას გულისხმობს. სწორედ ამგვარ თანამოაზრეობაზე დაფუძნებული ურთიერთობაა ყველაზე გამძლე და გამოცდილი, ყველა ამქვეყნიური სიკეთის მომცემი. და, ჩვენი ფიქრით, უფრო დიდ სიკეთეს გვპირდება ნაყოფი, როცა ასეთი ურთიერთობა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის მყარდება.

ამგვარი შინაგანი დამოკიდებულება თავისი დოდო მასწავლებლისადმი აერთიანებს დოდო ნათიძის თითქმის ყველა მოსწავლეს, დაწყებული იმ პირველი „ძნელი“ კლასით და დღემდე მოყოლებული; იმიტომ, რომ საყვარელი მასწავლებელი მათთან ყოველთვის ულალატო ფიქრითა და გულით მიდის, იმიტომ, რომ მათთან ყოველი შეხვედრისთვის იგი მეცნიერისთვის შესაშური გულმოდგინებით ემზადება.

წელს უკვე დაამთავრეს საშუალო სკოლა იმ პირველებმა და მათი სიყვარული გამორჩეულია, ისევე, როგორც პირველი შვილისა... ეს არ უნდა ეწყინოთ მომდევნოებს, მით უფრო, რომ დოდო მასწავლებლის შემდეგი კლასი, აგერ უკვე მესამე წელია, ტკბება ამ უცნაურად თბილ, როგორღაც შიგნიდან განათებულ და ძალზე მომთხოვნ მასწავლებელთან მეგობრობით.

კლასის გაცნობამდე ერთი-ორი თვე ვცდილობ ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოვახდინო თითოეულ მოსწავლეზე... ვცდილობ, ისინი ჩემს მიმართ განვაწყო — ჩემი შინაგანი მეს დანახვებით, ქართული ლიტერატურის შინაგანი იმპულსების შეგრძნებით. ხომ მთავარია პირველი, ძლიერი ინტერესის გაღვიძება... ამ პრობლემაზე დოდო მასწავლებელი თურმე რა ხანია, მთელი სერიოზულობით მუშაობს. საგანგებოდ შეუსწავლია დიმიტრი უზნაძის სახელგანთქმული „განწყობის თეორია“.

თავისი მუშაობის პრაქტიკულ მიღწევებს უკვე საგანგებო თემადაც („დიმიტრი უზნაძისეული, განწყობის თეორია ლიტერატურის გაკვეთილზე“) აყალიბებს.

აქ პრინციპი ერთია: სკოლა მოსწავლისთვის არ უნდა იყოს თავშესაფარი, პირიქით, აქ უნდა დაიბადოს და გაიხსნას ყველა მისეული შემოქმედებითი საწყისი, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება, სითამამე და ჩვევა. მთავარია, მან რაიმე ფორმით მოიპოვოს ის შინაგანი თავისუფლება. პაერივით რომ სჭირდება ლიტერატურაზე შემოქმედებით საუბარს, მოიხსნას არტახები, რომლებიც გაკვეთილზე, ასე თუ ისე, მაინც არის...

ასე მივიდა დოდო ნათიძე სალონური ტიპის ლიტერატურის კაბინეტის შექმნის იდეამდე (მით უფრო, რომ ის სკოლის ნორჩ შემოქმედთა წრის ხელმძღვანელიცაა). ესეც დიმიტრი უზნაძისეულმა თეორიამ უ-

არნახა: ყველა საქმეს, და განსაკუთრებით, სწავლას, სჭირდება განწყობა.

უკვე მეორე წელია, 147-ე სკოლაში დოდო მასწავლებლის ნაამაგარი „სიტყვიერების კაბინეტი“ არსებობს. მრგვალი მაგიდა, წრიულად დადგმული სავარძლები, ფორტეპიანო მართლაც რომ ლიტერატურაზე საუბრისთვის განგაწყობს ადამიანს.



აქ ყველაფერი მართლაც ლიტერატურული საუბრებისათვის განაწყობს ადამიანს. აქ მოსწავლე ვერ გრძნობს, როდის პასუხობს, ან მის ცოდნას როგორ აფასებენ

აქ ვერცერთი მოსწავლე ვერ გრძნობს, მასწავლებელს როდის პასუხობს ან მის ცოდნას როდის აფასებენ. გარეგნულად ეს თანასწორთა საუბრებია. მსჯელობაა ჩვენს მრავალსაუკუნოვან დიდ ლიტერატურაზე, მის მწვერვალებსა და მაღლობებზე, მის ტკივილებსა და ლირიკულ გმირებზე. აქ თითოეული ნაწარმოების პერსონაჟი ცოცხალ, ხორციელ ადამიანად დაინახება; სინამდვილის ადლითა და არშინით იზომება მათი თითოეული ნამოქმედარი, ზნეობა, პიროვნულობა. ამიტომაც არის... რომ დოდო მასწავლებლის მოსწავლეებს არც იმ „ყბადაღებული" თემის წერა უჭირთ და არც ნებისმიერ ცხოვრებისეულ მოვლენაზე მსჯელობა. ისინი მიეჩვევნენ ერთსა და მთავარს — საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდეთ ყველაფრისადმი, ყველაფერი შეაფასონ გულისა და გონების მონაწილეობით.

არსებობენ ამქვეყნად ადამიანები, რომლებსაც ურთიერთობებში შეაქვთ ერთგვარი ჰარმონია. დოდო მასწავლებელიც ერთ-ერთი ამათთაგანია. ამიტომ არის, რომ, თავისი მომთხოვნელობის მიუხედავად, არც ერთ მოსწავლესთან ახლოს მისვლა და მეგობრობა არ უჭირს. იმიტომ, რომ მისთვის არ არსებობს კრიტერიუმი „კარგად სწავლობს ან ცუდად სწავლობს"... იმიტომ, რომ მის მიერ არცთუ იშვიათად დაწერილი „ორიანების" მიღმა ყოველთვის სამართლიანი, მიუკერძოებელი, მოყვარული ადამიანი ჩანს.

ბავშვებმა იციან, რომ ოჯახიც ასეთივე ჰარმონიული და თანხმიერი აქვს დოდო მასწავლებელს; თავის სამ ქალიშვილსაც საკმაოდ მომთხოვნად, მაგრამ მეგობრულად ზრდის; იციან ისიც, რომ ქართველთა სიმცირეს მტკივნეულად აღიქვამს და ორი-სამი შვილის შემატება კიდევ უნდა საქართველოსთვის. და, რაც მთავარია, ისინი იცნობენ მისი ცხოვრების კიდევ ერთ მხარეს — შემოქმედებას... პოეზია კვლავ არის ამ თავისებურად საინტერესო ქალის შინაგანი ცხოვრების მთავარი საყრდენი. სულ მალე გამოვა დოდო ნათიძის ლექსების პირველი წიგნი — „ცის დასიზმრება". დოდო მასწავლებლის მოსწავლეთა სახითაც მას ალბათ ბევრი დაინტერესებული მკითხველი გამოუჩნდება. ასე რომ, ბედნიერზე ბედნიერი ქალია დოდო მასწავლებელი. თუმცა „მცვივა ბედნიერ ქალის ნიღბებიო", — თავის ერთ ლექსში ასეც წერს: მართალია, ძალზე პირობითი ცნებაა ბედნიერება, მაგრამ როცა სახლში სამი თვალვარსკვლავა გოგო გიცდის და სკოლაში კიდევ სამჯერ ასი გეგულება, ალბათ ეს უბრალო პირობითობაც რეალობასავით უნდა დაიჯერო.

„უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ესე იგი გყვანან მოწაფენი, რომელთაც შენ ასწავლი ანუ წიგნსა, ანუ რომელიმე ხელობასა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირმოუთნელი ანგარიში უნდა მისცე შენს სინდისსა". — ეს სიტყვები გასული საუკუნის ცნობილ მოღვაწესა და პედაგოგს, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს ეკუთვნის. სინდისისათვის ანგარიშის ჩაბარება კი ხომ უნდა იყოს პატიოსანი მუშაკის, ქვეყნის ერთგული შვილის თანდაყოლილი თვისება... პირველი აუცილებლობა იმისათვის, რომ შენს შემდგომად „უკან ჰრჩეს კვალი განათლებული".

ფოტო
თ. ბველესიანისა

ნუგზარ აფხაზავა

## ნატვრა

სამარადჟამისოდ მლოცველი ვარ
ასე ახდენილი მწველი ნატვრის:
მძაფრ ბედნიერებად მომცემიან
ჩემი ფიქრია და ჩემი რატი.

მათ ეს სახელები ძველქართული
განა ჰაიჰარად ავურჩიე:
გული — მერანივით შემართული,
სულიც — ქართველური გავუჩინე.

ზეცამ ფოლადური მისცა წრთობა
და მზემ დაანათლა დიდი სითბო,
მინდა:
ერთს შეეძლოს თამარობა,
ხოლო მეორემ კი იდავითოს.

ყოველ მოქმედებას კარნახობდეს
დედა — საქართველოს სვე და ბედი.
მინდა:
ერთს მაიას ცეცხლი ჰქონდეს,
ხოლო მეორეს კი — ცოტნეს ქედი.

ვალი გაესტუმროთ მევალეთა,
ღვაწლი წინაპართა აათასონ,
ძენი დაეზარდოთ შევარდნებად,
მსხვერპლი არ დასჭირდეთ
პაატასი...

სამარადჟამისოდ მლოცველი ვარ
ასე ახდენილი მწველი ნატვრის:
მძაფრ ბედნიერებად მომცემიან
ჩემი ფიქრია და ჩემი რატი.



# გასროლა ნაკრძალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დიმიტრი ლობჟანიძე**

**მხატვარი თემურ ფხიკიძე**

**მოთხრობა**

— ჩემო ფარნაოზ, ამ შენს კოლეგას, სკოლა-ინტერნატის დირექტორს, გულწრფელი მადლობა ეკუთვნის, ეს ჩვენი კვირიკე რომ ასეთი კარგი ბიჭი გაუზრდია! — მერე კვირიკეს მიუბრუნდა: — შენ კი, ყმაწვილო, პირში ქებამ არ გაგათამამოს. ეს, რაც გითხარი, დღევანდელი შენი კარგი მასპინძლობის გამო გითხარი, დანარჩენი... კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ საუბარში სკოლა-ინტერნატის დირექტორი ჩაერია:

— დანარჩენი, პატივცემულო ოთია, ის გახლავთ, რომ მე ვერ გავიზიარებ თქვენს აზრს! ეს ყმაწვილი ისე კარგი რომ იყოს, როგორც თქვენ ერთი შეხედვით მოგეჩვენათ, მაშინ იგი სკოლა-ინტერნატიდან არ გამოიქცეოდა. მეორე დღეა, კულხას მთელი სკოლა-ინტერნატი გულგახეთქილი დაეძებს.

— მე ხომ სადმე უცხო მხარეში არ წავსულვარ, ჩემს სოფელში წამოვედი! — სცადა თავის მართლება კვირიკემ.

— ეგ შენ იცოდი, უცხო მხარესა თუ სოფელში რომ არ მიდიოდი, თორემ ჩვენ საიდან ვიცოდით, საით წახვედი, რომ დავმშვიდებულიყავით? — წყენით უთხრა დირექტორმა და უკმაყოფილოდ დაუმატა: — კიდეც რომ გვცოდნოდა, აქეთ რომ წამოხვედი, დამშვიდების უფლება მაინც არ გვექნებოდა. კულხადან ამ სოფლამდე კაი ასი კილომეტრია, ქვეყანაზე ათასი ოხერი დადის და ვინ მოთვლის, რამდენი უბედურება ხდება. შენ რომ რაიმე ცუდი ამბავი შეგმთხვეოდა, მე და შენს აღმზრდელ მასწავლებელსაც ხომ არ აგვცდებოდა სასჯელი... წამოსვლა თუ გინდოდა, წინასწარ უნდა გეთქვა ჩემთვის.

— რომ მეთქვა, გამომიშვებდით? — გამომწვევად ჰკითხა კვირიკემ დირექტორს.

— რა თქმა უნდა, არა! — გადაჭრით მიუგო დირექტორმა.

— ეგრეც ვიცოდი, — მშვიდად დაეთანხმა კვირიკე.— შარშან ხომ გთხოვეთ, სოფელში უნდა წავიდე და ჩემს სახლს მივხედო-მეთქი?

— მერე, მე რა გიპასუხე? — თავის უპირატესობაში დარწმუნებული კაცის კილოთი ჰკითხა დირექტორმა ბიჭს.

— რა და, მოიყვანე ვინმე უფროსი ნათესავი, შენს თავს იმას ჩავაბარებ და როცა დავრწმუნდები, რომ პატრონი და ახლობელი გამოგიჩნდა, მე პასუხისმგებლობა მოხსნილი მექნება და მაშინ სადაც გინდა, იქ მიბრძანდიო.

— ყოჩაღ! ყველაფერი სიტყვა-სიტყვით დაგიმახსოვრებია. ახლაც გიმეორებ: მოიყვანე რომელიმე უფროსი ნათესავი, ჩავაბარებ შენს თავს და ია და ვარდი ჰფენია შენს გზასა და კვალს! — სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ჯერ კვირიკეს შეხედა და მერე ციხვარგის საშუალო სკოლის დირექტორსა და თავმჯდომარეს გადახედა, ხომ მართალს ვამბობო.

— ნათესავები და გულშემატკივარი ახლობლები რომ მყოლოდა, სკოლა-ინტერნატში ვინ გამიშვებდა? თქვენ ხომ იცით, რომ ჩემი დედისა და მამის მშობლებიც და მათი ახლობლებიც ოცდაჩვიდმეტ წელში დაიღუპნენ. ამიტომ იყო, რომ დედაჩემიც და მამაჩემიც საბავშვო სახლში გაიზარდნენ. იმ ავარიის შემდეგ კი მეც სკოლა-ინტერნატში მოვხვდი, მაგრამ სულ იქ ხომ არ ვიქნები?!

— სულ რატომ? საშუალო სკოლას დაამთავრებ და მერე ოთხივე მხარეს გზა გახსნილი გაქვს, საითაც გინდოდეს, იქით წადი.

— საშუალო სკოლას აქ, ჩემს მშობლიურ სოფელშიც დავამთავრებ, თან მამისეულ სახლსაც ხომ პატრონობა სჭირდება! — ბიჭი ჯიუტად იდგა თავისაზე.

— მერე, მაგ შენს მამისეულ სახლს ვინ უნდა უპატრონოს? — დირექტორს ხმაში უნდობლობა გაერია.

— მე! — მშვიდად მიუგო კვირიკემ.

— გესმით?! — გაღიზიანებით მიუბრუნდა ციხვარგის სკოლის დირექტორს და საბჭოს თავმჯდომარეს სკოლა-ინტერნატის დირექტორი, მაგრამ სათქმელი ვერ დაამთავრა...

— უკაცრავად, ჩემო ბატონო, სიტყვას რომ გაწყვეტინებთ, ეს ბიჭი მარტო ხომ არ იქნება ამ სოფელში, ჩვენც ხომ აქა ვართ! — მოულოდნელად ჩაერია ლაპარაკში შემოსწრებული კაცი.

იგი, ასე, 40-45 წლისა იქნებოდა. საშუალოზე მაღალი იყო, შეუპოვარი, ოდნავ მკაცრი გამოხედვა ჰქონდა, აშკარად ეტყობოდა, რომ საქმეში დათმობა და უკანდახევა არ სჩვეოდა.

სკოლა-ინტერნატის დირექტორმა უკმაყოფილოდ შეხედა ახლად შემოსულს, მაგრამ მან დირექტორის ალმაცერი მზერა არაფრად ჩააგდო და იმავე კილოთი განაგრძო:

— ამ სახლში პატრონის დაბრუნებით გახარებულს მოსალმება სულ დამავიწყდა, საღამო მშვიდობისა! — ჯერ საერთო სალამი თქვა, მერე ისე, რომ პასუხს არ დაელოდა, პირდაპირ კვირიკესთან მივიდა, ხელი მაგრად ჩამოართვა და მიულოცა: — კეთილი იყოს, ჩემო კვირიკე, შენი დაბრუნება მამისეულ კერაზე! — მერე სკოლა-ინტერნატის დირექტორს მიუბრუნდა: — მე ამის კარის მეზობელი და ციხვარგის ნაკრძალის მცველი ცოტნე დოლაური გახლავართ. ისე, კაცმა რომ თქვას, მცველიც მე ვარ და დირექტორიც. ეს ნაკრძალი კი ამ ბიჭის მამის, ჩემი ბავშვობის მეგობრის, თვალია ორბელის დაარსებულია. დედამისი კი უნივერსიტეტის დამთავრების პირველი დღიდანვე ჩვენი სოფლის სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი იყო. ჰოდა, თუკი ორი შესანიშნავი ადამიანის ერთადერთი შვილი მამისეულ სოფელში დაბრუნდება და მშობლების მიერ დატოვებულ კარ-მიდამოს უპატრონებს, ამას რა სჯობია! იმის ნაცვლად, რომ ამ ბიჭის მამაპაპეულ ნაფუძვარზე დაბრუნებით გახარებული იყოთ, თქვენ მისდგომიხართ და საყვედურობთ, სკოლა-ინტერნატიდან რატომ გამოიქეციო!

ნაკრძალის მცველის ასეთი უეცარი შემოტევით, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა და ნირწამხდარმა სკოლა-ინტე-

გაგრძელება. იხ. „ნაკადული" № 5.

რნატის დირექტორმა ერთხელ კიდევ სცადა საკუთარი პოზიციის დაცვა.

— სწავლა...

მაგრამ სანამ დირექტორი სათქმელს დაამთავრებდა, ნაკრძალის მცველმა აღარ დააცადა:

— ისწავლის, ბატონო, ციხვარგაში მშვენიერი საშუალო სკოლა გვაქვს, ხოლო თუ უმაღლესში მოისურვებს სწავლის გაგრძელებას, კულხადანაც თბილისში უნდა წავიდეს სასწავლებლად და ციხვარგადანაც. ასე არ არის?! — მოულოდნელად მიუბრუნდა ნაკრძალის მცველი ციხვარგის სკოლის დირექტორსა და საბჭოს თავმჯდომარეს, ამით ისიც აგრძნობინა, კაცო, რომ გაჩუმებულხართ და ამ უცხო კაცთან ყველაფერზე მე მალაპარაკებთ, ხმა თქვენც ამოიღეთო.

— სწორედ რომ ასეა, — დაემოწმა სკოლის დირექტორი ნაკრძალის მცველს. — ჩვენი სკოლა მართლაც არავისგან დაიწუნება. დარჩეს აქ და ისწავლოს.

— სწორედ რომ აქ უნდა დარჩეს! — გადაჭრით თქვა საბჭოს თავმჯდომარემაც და სკოლა-ინტერნატის დირექტორს პირდაპირ შეხედა. — რახან ეს ბიჭი სოფელსა და მამაპაპურ ნაფუძარს თავისი ნებით დაუბრუნდა, ამას რა სჯობია!

სკოლა-ინტერნატის დირექტორი მიხვდა, რომ არ ღირდა საქმის გართულება.

— ჯანდაბას, რაც არის, არის. იყოს ისე, როგორც ამ ბიჭს სურს და თქვენც გინდათ — დარჩეს აქ და ისწავლოს კიდეც. ოღონდ, ჩემი თხოვნა ეს არის, სანამ იგი დამოუკიდებელ ცხოვრებას შეძლებდეს, ყურადღება არ მოაკლოთ, ამას ჯერ ბევრი არაფერი ესმის ცხოვრებისა და ხომ იცით... იგი მარტო ბუნების ცქერითა და სუფთა ჰაერის სუნთქვით ვერ იარსებებს.

— ვიცით, ვიცით, ბატონო, — დააიმედა იგი თავმჯდომარემ. — სოფელი განა ასე პირისწყალდაკარგულია, რომ საკუთარ ობოლს არ უპატრონოს!

— კეთილი, კეთილი, მჯერა, რომ ასე იქნება, — დაეთანხმა ინტერნატის დირექტორი. მერე კვირიკეს მიუბრუნდა. — აბა, ყოჩაღად იყავი, ჩემო კვირიკე, იცოდე, თუ გულმა ისევ გამოგიწიოს ჩვენკენ, ნუ მოგვერიდები, კულხას სკოლა-ინტერნატის კარი მუდამ ღია იქნება შენთვის, — თქვა ეს და ოთახიდან აჩქარებით გავიდა.

●

იმ დილით კვირიკეს ადრიანად გაეღვიძა და თვითონვე გაუკვირდა — ორი დღის შემდეგ ბოლო გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი, წუხელ გვიანობამდე იმეორებდა ბილეთებს და ახლა თუ ასე ადრიანად გაიღვიძებდა, არ ეგონა.

„თუმცა რაღა ადრეა, საწიორე მთას მზე მოსდგომია და სოფელიც ნახირს საძოვარზე მიერეკება. ადრე კი არა, მგონი, კიდევაც დამაგვიანდა. აქაური ბიჭების ამბავი რომ ვიცი, შეიძლება სულ მალე რომელიმე მათგანმა მომაკითხოს და ლოგინში რომ მნახოს, სასაცილოდ არ ეყოფათ", — გაიფიქრა კვირიკემ და მარდად წამოხტა. ხელ-პირი სასწრაფოდ დაიბანა და მაგიდაზე დაყრილი წიგნებიდან საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო აიღო. რამდენიმე ბილეთი კიდევ დარჩა გასამეორებელი და გადაწყვიტა, დღეს მოემთავრებინა ყველაფერი.

დიდგორში დავით აღმაშენებლის გამარჯვების ამბავს კითხულობდა, ოთახში რომ ნაკრძალის მცველის, ცოტნეს მეუღლე მაგდა მასწავლებელი შემოვიდა და საუზმე შემოუტანა.

მას შემდეგ, რაც კვირიკე სოფელში დაბრუნდა, ნაკრძალის მცველი და მისი მეუღლე ყურადღებას არ აკლებდნენ. თავის მხრივ, კვირიკეც ძალიან შეეგუა მათ, განსაკუთრებით კი — ცოტნეს.



მაგდა მასწავლებელმა საუზმე მაგიდაზე დაალაგა და კვირიკეს მიუბრუნდა:

— აბა, როგორ მიდის შენი მეცადინეობის საქმე?

— რა ვიცი, მაგდა მასწავლებელო, მე მგონია, რომ ძალიან კარგად, — ღიმილით დააიმედა კვირიკემ.

— შენ მათემატიკის გამოცდის წინაც ასე მაიმედებდი, ხუთიანს თუ არა, ოთხიანს უსათუოდ მივიღებო, მაგრამ ბოლოს გამომცდელებს სამიანის დაწერაც გაუჭირდათ. ამის გამო ფარნაოზ დირექტორმა მისაყვედურა, კარის მეზობლის გარდა, ამ ბიჭის კლასის დამრიგებე-

ლიც ხარ და სულ შენი ბრალია, კვირიკემ რომ მათემატიკა ასე სუსტად ჩააბარაო. რა უნდა მეთქვა. მართალი ხართ-მეთქი, დავეთანხმე.

— მომავალ წელს უსათუოდ გამოვასწორებ, — დაპირდა კვირიკე.

— მომავალ წელს რა იქნება, ამაზე ძნელი და ნაადრევია ახლა საუბარი, მაგრამ აი, ისტორია კი ნამდვილად კარგად უნდა ჩააბარო.

— ჩავაბარებ, მაგდა მასწავლებელო, თქვენ ხომ იცით, რომ საქართველოს ისტორია ძალიან მიყვარს. სამი ბილეთის გარდა, ყველა საკითხი თითქმის ზეპირად ვიცი. იმ სამ ბილეთსაც დღეს ვისწავლი.

— დაპირებაში, იცოცხლეთ, ტოლი არ გყავთ მოსწავლეებს, მაგრამ მთავარი შესრულებაა!

— არა, მასწ, რასაც დაგპირდებით, შევასრულებ კიდეც! — დაარწმუნა კვირიკემ.

— ვნახოთ, ღმერთმა ქნას, რომ ჩვენს თხას მგელი დაეჭიროს, — გაიცინა მაგდა მასწავლებელმა.

— დაეჭიროს! თუ თხა ვერ დაიჭერს მგელს, სამაგიეროდ, ვერც მგელი დაიჭერს ჩვენს თხას.

— კარგი, კარგი, წავედი, თორემ გამოცდაზე მაგვიანდება, შენ კი ჯერ ისაუზმე და შემდეგ ტყუილუბრალოდ არ გაცდე, იმეცადინე, — დაუბარა მაგდა მასწავლებელმა და ოთახიდან გავიდა.

კვირიკემ ისაუზმა და ის იყო, წიგნს მიუბრუნდა, რომ ბესო შემოვიდა.

— კვირიკე, შინ ხარ?! — იკითხა მან გაკვირვებით.

— აბა, მაშ სად უნდა ვიყო?! — არანაკლები გაკვირვებით მიუგო კვირიკემ მეგობარს.

— მდინარეზე მეგონე წასული.

— მდინარეზე რა მინდოდა?

— რა ვიცი, — თქვა ბესომ. — შენთან რომ მოვდიოდი, ხუციანთ ბეჟია შემხვდა და იმან მითხრა, კვირიკესთან ტყუილა მიდიხარ, მდინარე ციხვარგულა ადიდდა, ბიჭები იქ არიან სეირის საყურებლად და კვირიკეც იქ იქნება, მეც იქ მივდივარ და ერთად წავიდეთო. მე არ გავყევი, ვიფიქრე, მოდი ერთი, შევალ, ვნახავ, კვირიკე თუ შინ არის, მდინარეზე ერთად წავალთ-მეთქი. წამო, წავიდეთ. იცი, რა სანახავია ადიდებული ციხვარგულა?

— კი წამოვიდოდი, მაგრამ სამეცადინო რომ მაქვს?

— ბიჭო, შენ ამბობ მაგას?! მთელ კლასში საქართველოს ისტორია ყველაზე უკეთ შენ იცი! ფარნაოზ დირექტორმაც კი მთელი კლასის გასაგონად თქვა, კვირიკემ საქართველოს ისტორია თქვენში ყველაზე უკეთ იცისო. მდინარეზე წასვლამ გამოცდის ჩაბარებაში რა ხელი უნდა შეგიშალოს, იქ მთელი დღე ხომ არ უნდა დავრჩეთ! შენ გგონია, მე არ მაქვს სამეცადინო? ჯერ ნახევარი ბილეთებიც არ მისწავლია.

კვირიკეს ცნობისმოყვარეობამ სძლია, წიგნი დახურა და ბესოს გაჰყვა.

●

მდინარის ნაპირას, ტყისპირა მცირე მინდორზე, თითქმის ყველა ციხვარგულელ ბიჭს მოეყარა თავი. წინა დღეს მთაში მოსული წვიმისაგან გადარეული მდინარის ცქერით ერთობოდნენ. წყალს გაღმა-გამოღმა ქვიანი ჭალა ერთიანად დაეფარა, მხოლოდ ერთ ადგილას მოჩანდა კუნძულივით ამაღლებული შიშველი რიყე. აქ მოვარდნილი მდინარე ორად იყოფოდა. ერთი მოზრდილი ტოტი კუნძულს იქით მიედინებოდა და გაღაღმა ჭალაზე ტალღებად მიგორავდა. მეორე, უფრო მცირე ნაწილი იმ მხარეს მიედინებოდა, რომლის კიდეზეც ბიჭები იდგნენ.

— ბიჭებო, გაიხედეთ, მდინარეს ზემოდან რა მოაქვს! — უთხრა ბეჟიამ მეგობრებს და ხელით იქით ანიშნა, სადაც ვიწრო, კლდოვანი ხეობიდან უეცრად გამოვარდნილი მდინარე განიერ ჭალაზე შემოდიოდა. ყველამ იქით გაიხედა — წყალს რამდენიმე წიფლის ხე ძირიანად მოეთხარა და ბარისკენ მოაქანებდა. ბიჭები აღტაცებული უცქეროდნენ მდინარეს, რომელიც ამხელა წიფლებს თითისტარივით მსუბუქად მოათამაშებდა.

მოულოდნელად ერთი მათგანი წყალთაშუა რიყეზე ფესვებით რაღაცას წამოედო და თავთხელში კუნძულზე გაიჩხირა. ტალღები მთელი ძალით ეხეთქებოდნენ, ცდილობდნენ, ადგილიდან მოეწყვიტათ და გაეტაცნათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ხეს თითქოს წყლის ნება-სურვილზე რწევა მოსწყენოდა და რაკი მისგან თავის დაღწევის საშუალება ნახა, არ ნებდებოდა, ტოტები რიყისთვის მიებჯინა და ადგილიდან აღარ იძროდა.

უცებ ბიჭებმა მდინარის მიერ მოტაცებული ერთ-ერთი ხის ტოტს ბრჭყალებით ჩაფრენილი, საცოდავად გალუმპული დათვის ბელი შენიშნეს. ეტყობოდა, წყალს ხე ძირიანად რომ მოეთხარა, ბელიც იმასთან ერთად გამოეტაცნა. ბიჭების დანახვაზე ნადირი მოუსვენრად აწრიალდა, თითქოს დახმარებას ითხოვსო. წყალმა ის ხე, რომელზედაც დათვის ბელი იჯდა, თავთხელში გაჩხირულ წიფელთან სულ ახლოს ჩაატარა. საცოდავმა ალღოთი თუ იგრძნო, რომ მისი სიცოცხლის გადასარჩენად კუნძულზე შერჩენილი ხე უფრო საიმედო იყო, ვიდრე ის, რომლითაც წყალი მას თავქვე მიაქანებდა. ამიტომ ბევრი არ უფიქრია, როგორც კი იხელთა, ისკუპა და თავთხელ წყალში გაჩერებული წიფლის ტოტს წინა თათებით ჩამოეკიდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მოვარდნილმა მოზრდილმა ტალღამ თავზე გადაუარა და დაფარა, შეწუხებულმა ბიჭებმა იფიქრეს, ბელი წყალმა გაიტაცაო, მაგრამ როგორც კი ტალღამ ჩაიარა, დაინახეს, რომ ბელი ისევ ხის ტოტს იყო ჩაბღაუჭებული, მერე იმარჯვა, მთელი ტანით აიწია, ხეზე აცოცდა და ერთ მოზრდილ ტოტზე ისე შემოჯდა, წყალი რომ არ მისწვდომოდა.

ტალღები გამეტებით ეხეთქებოდნენ თავთხელზე შერჩენილ წიფელს.

საცოდავად მოკრუნჩხული დათვის ბელი კანკალმა აიტანა.

ბიჭები გულისფანცქალით გასცქეროდნენ სტიქიის პირისპირ დარჩენილ უმწეო ცხოველს.

წყალმა მოიმატა თუ ტალღებმა საყრდენი ქვიშა გამოაცალა, ხე უფრო მოირყა და ატორტმანდა.

ცხოველმა საშიშროება იგრძნო და აწრიალდა.

— ასე დიდხანს არ გაგრძელდება, მალე ალბათ ამ ხესაც წაიღებს წყალი და ბელიც უსათუოდ დაიღუპება, — თქვა შეწუხებულმა ბეჟიამ.

— რომ ვერაფრით ვუშველით? აბა, რა შეგვიძლია — უკმაყოფილოდ შეედავა გურამი.

— თუ ძალიან მოვინდომებთ... — არ იშლიდა ბეჟია.

— მაინც რა შეგვიძლია? თქვი, აბა, როგორ უნდა გადავარჩინოთ?

— როგორ და, გადავცუროთ მდინარის აქეთა, პატარა ტოტი და ბელი წყლიდან ხმელეთზე გამოვიყვანოთ!

— მერე და, ვინ გიშლის ხელს, გაცურე და გამოიყვანე! — ნიშნის მოგებით ურჩია ბეჟიას გურამმა.

— მე რომ ამ გადარეული მდინარის გადაცურვა შემეძლოს, სხვებს კი არ დაველოდებოდი, ავდგებოდი და გადავცურავდი, — თავი იმართლა ბეჟიამ.

— ჰოდა, ალბათ არც სხვებს შეუძლიათ და ამიტომ არიან გაჩუმებულები. ნეტავი ვინ გეგულება ჩვენს შო-

რის ისეთი, რომ თავი გასწიროს და ამხელა მდინარეში დათვის. თუნდაც სხვა რომელიმე ცხოველის გადასარჩენად შევიდეს? — მოუჭრა ბოლოს გურამმა და ამხანაგებს გადახედა. ხომ მართალს ვამბობო. ბიჭებს თავი დაეხარათ და ხმას არ იღებდნენ.

— შამშე, შენ რას იზამ, ვერც შენ გადაცურავ? — მოულოდნელად ჰკითხა ბიჭებში ჩამდგარ შამშეს ბეჟიამ და პასუხის მოლოდინში პირდაპირ შეხედა მას. უმალ ყველამ მისკენ იბრუნა პირი.

ბეჟია, შამშე და დანარჩენი ბიჭები ერთ კლასში სწავლობდნენ, მაგრამ შამშე წინა წელს კლასში დარჩა და სხვებზე ერთი წლით უფროსი იყო. იგი ამხანაგებში ყველაზე უკეთ ცურავდა, ზაფხულის არდადეგებს ბიძასთან, გაგრაში, ზღვაზე ატარებდა. როცა სიტყვა მოიტანდა, შამშე ბიჭებში სიამაყით იტყოდა ხოლმე, ზღვაში თევზივით ვცურავო.

ბეჟიას ახლა ყველაზე მეტად მისი იმედი ჰქონდა.

— რა უნდა ვქნა?! — აგდებულად ჰკითხა შამშემ ბეჟიას.

— რა და, წყალში თუ შეხვალ, იქნებ ის საცოდავი დათვის ბელი გადაარჩინო.

— რას ამბობ, ბეჟია?! სიცოცხლე კი არ მომძულებია, რომ გადარეულ ციხვარგულას დათვის ბელის გულისთვის ტალღებში ჩავუვარდე!

— რა ვიცი. საქვეყნოდ კი იკვეხნი ხოლმე, ზღვა როცა ღელავს, მე შიგ სწორედ მაშინ შევდივარო, და ეს მდინარე ზღვაზე მეტი ხომ არ არის?! — დაუფარავი წყენით მიახალა ბეჟიამ.

— ზღვაზე მეტი არ არის, მაგრამ ზღვაში ცურვა სულ სხვაა და მთის ამ გადარეულ მდინარეში კიდევ — სხვა.

— ვთქვათ, ეს მართლაც ასეა... — მოულოდნელად დაეთანხმა შამშეს ბეჟია, — მაგრამ ამდენი ბიჭი აქ ვდგავართ და სირცხვილი არ იქნება, რომ ეს საცოდავი დათვის ბელი წყალმა დაახრჩოს? — იკითხა მან და უმწეოდ მიმოიხედა.



— თუკი არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, რა ვქნათ? — ყველას მაგივრად იმართლა თავი გურამმა.

●

— რა მოხდა? — იკითხა ამ დროს ბესოსთან ერთად მოსულმა კვირიკემ და ცხვირჩამოშვებულ ბიჭებს გადახედა.

— გაღმა გაიხედე! ხეზე დათვის ბელია, მაგრამ ამხელა მდინარეში შესვლა არ გინდა? არა და, თუ წყალმა ის ხე წაიღო, მაგ საცოდავსაც ადვილად დაახრჩობს, — აუხსნა გურამმა ახალმოსულს.

კვირიკემ ჯერ დათვის ბელს გადახედა, შემდეგ თვალი მდინარეს ააყოლა და, თითქოს საკუთარ ფიქრებს ეხმაურებაო, ისე ჩაილაპარაკა:

— თოკი რომ იყოს... — ეტყობოდა, გუნებაში რაღაც გეგმას აწყობდა, მაგრამ მისი ხმამაღლა გამჟღავნება ჯერ ვერ გადაეწყვიტა. რიყეზე შერჩენილ ხეს კი წყალი სულ უფრო მეტად აქანავებდა.

— მერე, თოკი რომ იყოს, რა იქნება? — ინტერესით ჩაეძია ბეჟია და გულში იმედჩასახულმა შეხედა კვირიკეს. დანარჩენებმაც მისკენ იბრუნეს პირი. თუმცა წინასწარ არ იცოდნენ, რას მოიმოქმედებდა კვირიკე. მით უფრო, რომ ჯერ მისი არც ცურვა ენახათ და არც სხვა საქმეში ჰყავდათ გამოცდილი.

— თოკი რომ იყოს, შეიძლებოდა მდინარის ამ ტოტის გაცურვა და დათვის ბელის გადარჩენა, — გაამჟღავნა ბოლოს თავისი გადაწყვეტილება კვირიკემ.

— რას ამბობ, კვირიკე, ამ გადარეულ მდინარეში ახლა რომელი ჭკუათმყოფელი შევა? ვინ ჩაიგდებს დათვის ბელის გულისთვის თავს საფრთხეში?! — შეიცხადა ბესომ.

— რა იყო, რა ისეთი გადარეული ეგ არის, რომ შიგ კაცი ვერ შევიდეს? ერთი ეგაა, რომ ზომაზე მეტად მღვრიეა და ასე საშიში ამიტომ ეჩვენება თვალს, თორემ ამ კიდეს და იმ კუნძულს შორის რაც წყალი მოდის, მისი გადალახვა დიდი სიძნელე ნამდვილად არ არის, — დაამშვიდა ბესოც და სხვებიც კვირიკემ.

— იქნებ მართლაც არ იყოს ძნელი, მაგრამ გამოცდილი მოცურავისათვის და არა ჩვენნაირებისათვის, — არც ბესო თმობდა თავისას.

— ცოდვაა დათვის ბელი, თუ არ მივეშველეთ, დაიხრჩობა, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა კვირიკემ.

— შენ რომ დაგახრჩოს წყალმა ან სხვა, ეს უფრო ცოდვა არ იქნება?! შენ ჯერ კარგად არ იცნობ ციხვარგულას. ჩვენს მდინარეს არ უყვარს ხუმრობა და ზედმეტად თამამი ადამიანები.

— ნუ გეშინია, ვერ დამახრჩობს, — იმედიანად გაიღიმა კვირიკემ.

როგორც ბევრი სხვა მთის მდინარე, ციხვარგულაც საცურაოდ უვარგისი იყო, აქაური ბიჭებიდან იგი არამცთუ ადიდებული, გაყუჩებულ-დამშვიდებულიც კი თითქმის არავის გადაეცურა. მაგრამ რომ გაიგონეს, მდინარის აქეთა ტოტის გადალახვა და დათვის ბელის გადარჩენა შეიძლებაო, ყველას იმედი მიეცა და დაინტერესდა, კვირიკე მდინარეში შესვლას ნამდვილად თუ გაბედავდა. უმეტესობას მაინც ასე ეგონა, თავს იწონებს, ჩვენი გაკვირვება უნდა, თორემ მაგან კი არა, მდინარეში შესვლა შამშემაც ვერ გაბედა, შამშეს კი ცურვა ზღვაზე აქვს ნასწავლიო.

ისე, არც კვირიკეს მიაჩნდა ამ მდინარის გადალახვა იოლ საქმედ. არც ამგვარ უცნობსა და სახიფათო მდინარეში შესვლა ეხალისებოდა აგრერიგად, მაგრამ უმწეოდ დარჩენილი ცხოველი ეცოდებოდა და მისი გადარჩენა გულით უნდოდა, თან საკუთარი თავის იმედიც ჰქონდა.

— მე მაქვს სახლში კაპრონის ახალთახალი თოკი, სწორედ ისეთი, მთამსვლელები რომ ხმარობენ. ამას წინათ მამაჩემმა ჩამოიტანა ქალაქიდან. სიგრძით ორმოცდაათ მეტრზე მეტი იქნება, ორად რომ მოვკეცოთ, აქედან იმ ხემდე მაინც მისწვდება. თუ თოკი მართლა საჭიროა, წავალ და ხუთ წუთში მოვიტან, — მოულოდნელად განაცხადა გურამმა.

— მოიცა ერთი, რომელ თოკზე ლაპარაკობ! — სიტყვა ბანზე აუგდო ბესომ და მეგობარს მწყრალად შეხედა.

— მოიტანე, — მშვიდად უთხრა კვირიკემ და ფეხი ისე მოინაცვლა, თითქოს იმ წუთში აპირებდა მდინარეში გადაშვებას.

კვირიკე მდინარის ნაპირს აუყვა, შესასვლელად ყველაზე მოხერხებულ ადგილს ეძებდა. მეგობრებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ, ჯერ ხმას არავინ იღებდა, ყველა გურამის დაბრუნებასა და თოკის მოტანას უცდიდა. აინტერესებდათ — უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი დათვის ბელის გადასარჩენად კვირიკე ნამდვილად გამოიდებდა თავს, თუ გადამწყვეტ წუთებში, როცა გურამი თოკს მოიტანდა, უარს იტყოდა პირვანდელ გადაწყვეტილებაზე.

კვირიკე კი არც უკან დახევაზე ფიქრობდა და არც განზრახვაზე ხელის აღებას აპირებდა.

„ყოველ წყალს თავისებური ალღო სჭირდება, ტბაში სხვაგვარი ცურვაა საჭირო, აუზში კიდევ — სხვაგვარი, ხოლო მთის მდინარის დასაძლევად მარტო ცურვის ცოდნა არ კმარა. იქ მეტი ალღო და გამჭრიახობა გინდა კაცს. რაც მთავარია, მთის მდინარეს ჯიქურ არ უნდა შეება და ძალაში არ უნდა შეეჯიბრო. აქ ხერხი ყველაფერს სჯობია. შიგ ფეხდაფეხ შესული დინებას მორჩილად უნდა მიჰყვე და თან ნელ-ნელა უნდა „გასჭრა" იგი. თუ ამ წესს არ დაარღვევ, გაიმარჯვებ", — ისე ცხადად ჩაესმა კვირიკეს ყურში კულხას საცურაო აუზში მისვლის პირველ დღესვე მოსმენილი მწვრთნელის დარიგება, თითქოს აგერ ახლა, ამ წუთში ეთქვათ მისთვის და არა რამდენიმე წლის წინათ.

ამასობაში გურამიც მოვიდა. კოხტად დახვეული თო-



კის გორგალი ბიჭების ფეხებთან დააგდო და ყველას გასაგონად, ვითომც სხვათა შორის, თქვა:

— აჰა, თოკიც აქ არის.

ბიჭებმა ჯერ თოკს დახედეს, მერე კვირიკეს მიაჩერდნენ.

— აბა, დავიწყოთ, — მშვიდად თქვა კვირიკემ.

— ბიჭო, მოეშვი, რა, ამ სულელურ ახირებას! — ბესომ უკანასკნელად სცადა, ხელი აეღებინებინა განზრახვაზე. — ციხვარგულა ბარის მდორე წყალი არ გეგონოს, როგორც შენ ფიქრობ, ისე ადვილი არ არის მისი დაძლევა.

— რომ მოვეშვა, დათვის ბელს რაღა ეშველება?!

— მოიცა ერთი, რა დათვის ბელი...

დიდი-დიდი, ერთ საათს გასძლოს ხემ ამ ყოფაში. ბოლოს და ბოლოს ალბათ წყალი საყრდენს გამოაცლის, გაიტაცებს და იმ საცოდავ ბელსაც პირველსავე მორევში დაახრჩობს. ამიტომ, სანამ გვიან არ არის, უნდა დავეხმაროთ, — აღარ დაამთავრებინა კვირიკემ.

ეს მაინც თავისას არ იშლის, — წყენით მიუბრუნდა ბიჭებს ბესო და მერე ისევ კვირიკეს უთხრა: — კი, კარგია დათვზე ზრუნვა, მაგრამ ზოგი შენს თავზეც იფიქრე, რა მოგელის! მთავარი მდინარეში შესვლა კი არ არის, საქმე უკან გამოსვლაა.

— ნუ გეშინია, ბესო, უკან გამოსვლაც არ გამიჭირდება, — დაიმედა მეგობარი კვირიკემ.

— მე კიდევ გიმეორებ — ახლა ამ მდინარეში შესვლა სახიფათოა! — კიდევ უფრო გაცხარდა ბესო, რაკი დარწმუნდა, კვირიკე განზრახვაზე ხელის აღებას არ აპირებსო.

ბესოს სხვა ბიჭებმაც აუბეს მხარი და ახლა უკვე ყველამ ერთად სცადა კვირიკეს დაყოლიება, მაგრამ იგი თავისაზე იდგა.

— მე ამ თოკის ერთ ბოლოს წელზე მოვიბამ, მეორე ხელში გეჭიროთ და ნელ-ნელა მოუშვით, გაღმა რომ გავალ, თოკი ერთ-ერთ თხმელას მაგრად მოაბით, როცა განიშნებთ, თოკი თქვენსკენ მოსწიეთ. სხვა ნურაფერი გადარდებთ, — გამოუცხადა კვირიკემ ბიჭებს და ფეხი ფრთხილად შედგა მდინარეში.

●

ამასობაში ვიღაცამ სოფელში ჭორ-მართალი ამბავი მოიტანა — კვირიკე ამხანაგებს დანიძლავებია, ამ თქვენს ადიდებულ ციხვარგულას ისე გადავცურავ, ერთსაც არ მოვიხედავ უკანო. თუ დროზე არავინ მიეშველა, ისეა გადარეული მდინარე, ამ გათამამებულ ბიჭს უსათუოდ წაიღებს და მერე, ბევრიც რომ იცეთ თავში ხელი, ვერაფერს უშველითო.

სკოლის დირექტორი და კიდევ რამდენიმე კაცი იმ დროს მიიჭრნენ მდინარესთან, როცა გაღმა, თავთხელში გარიყულ წიფელთან გასულ კვირიკეს ერთი აგორებული ტალღა ზურგიდან წამოეპარა, დაეჯახა, წააქცია და თავზე გადაუარა. ნაპირზე მყოფებმა შიშისა და სასოწარკვეთილებისაგან შეჰყვირეს და ის იყო, თოკი მთელი ძალით უნდა მოექაჩათ, რომ კვირიკეს თავიც გამოჩნდა. ორივე ხელი მაგრად ჩაევლო წყალში მოქანავე წიფლის მოზრდილი ტოტისათვის და, უკვე სამშვიდობოს გასული, ფეხზე დგებოდა.

უვნებლად გადარჩენილი თანატოლი რომ დაინახეს, ბიჭებმა შვებით ამოისუნთქეს და ახმაურდნენ.

აქამდე შიშით გატრუნულ დათვის ბელს ადამიანის დანახვაზე, ეტყობა, გულში გადარჩენის იმედი გაუჩნდა, მოუთმენლად აწრიალდა, უკანა თათებზე შედგა და ბიჭს მიაშტერდა.

კვირიკემ თოკი სწრაფად მოიხსნა, თავთხელში შერჩენილი ხის ყველაზე მსხვილ ტოტს გამოაბა და მაგრად განასკვა. თვითონაც იმ ტოტს მოეჭიდა და ნაპირზე მყოფ ბიჭებს ანიშნა, თოკი გაქაჩეთო. სწორედ ამ დროს თავპირის მტვრევით მოიჭრა ნაკრძალის მცველი, ცოტნე.

კვირიკე რომ წყალში დაინახა, სხვა ვერაფერი მოახერხა და სკოლის დირექტორსა და იქვე მდგარ რამდენიმე კაცს უსაყვედურა, ამ ბიჭს თუ ჭკუა და გონება არ ეყო, თქვენ მაინც რა დაგემართათ, თითის სიგრძე ბავშვს ამ აზღვავებულ მდინარეში შესვლის ნება როგორ მიეცით, რომ დაიხრჩოს, სოფელ-ქვეყანას რა პასუხს აძლევთო.

— ჩვენ რა გვექნა... — სცადეს თავის მართლება [illegible]ცებმა. მაგრამ ცოტნემ სათქმელის დამთავრება [illegible]ლა.

— რა უნდა გექნათ და მდინარეში შესვ[illegible] უნდა მიგეცათ!

— სულ ტყუილა გვსაყვედურობ, ცოტნე, ჩვენც შენსავით, ეს წუთია მოვედით! — აუხსნა დირექტორმა.

— კარგი, კარგი, ახლა მთავარია, ბიჭი გამოღმა უვნებლად გამოვიყვანოთ, — ჩაილაპარაკა ნაკრძალის მცველმა და თოკს მიეტანა. მას დანარჩენებიც შეუერთდნენ. ყველამ ერთად ჩასჭიდა ხელი და მთელი ძალით მოქაჩეს.

ამასობაში მდინარე ხეს ქვეშიდან მოექცა, ადგილიდან ადვილად მოწყვიტა, ტალღებში აატივტივა და გატაცება დაუპირა, მაგრამ ლარივით გაჭიმულმა თოკმა არ დაანება.

ხე ნელ-ნელა მოცურავდა ნაპირისკენ. ბოლოს წყალმა იგი კიდეზე მოაგდო და გამორიყა კიდეც.

ნაპირს მოახლოებულ კვირიკეს ამხანაგები ყიჟინით მიეგებნენ.

ყვირილმა და შეძახილებმა დათვის ბელი დააფრთხო, ეტყობა, იფიქრა, თუ ახლა თავს არ ვუშველე, კარგი დღე არ დამადგებაო, და სანამ ყველა კვირიკეს ეხვეოდა, დრო იხელთა, ხიდან ნაპირზე მარდად ისკუპა და გვერდული ხტუნვა-ხტუნვით მახლობელი ტყისკენ უკან მოუხედავად მოუსვა.

ბიჭებმა თვალი მას მხოლოდ მაშინღა შეასწრეს, როცა ტყის პირს მიუახლოვდა. რამდენიმე ბიჭი დასაჭერად გამოუდგა.

შამშე და გურამი თითქმის ერთდროულად წამოეწივნენ გაქცეულს. შამშემ ისე ისკუპა, მეკარე რომ მოწინააღმდეგის ძლიერად დარტყმული ბურთის ასაღებად გადახტება ხოლმე, და უკანა თათში სწორედ მაშინ სწვდა ბელს, როცა მან მოახლოებული საშიშროება იგრძნო. ბელი განზე გახტა, მაგრამ შამშეს უკვე მაგრად ეჭირა ნადირის ფეხი. დათვის ბელმა მწყრალად დაიღრინა. შამშემ თავი ვერ შეიკავა და ცხოველიც და ბიჭიც ერთად გაგორდნენ ბალახებში.

შამშე რომ ფეხზე წამოდგა, ბელისათვის კისერსა და ფეხში ეკიდა ხელები და ასე გაკოჭილი მიიყვანა მდინარის კიდესთან მდგარ მეგობრებთან.

კვირიკეს გული დასწყდა, რომ ბელმა შამშეს ხელიდან გასხლტომა და მშობლიური ტყისთვის თავის შეფარება ვერ შესძლო.

— ბიჭებო, ხედავთ ამის თავხედობას კინაღამ ხელიდან არ გაგვისხლტა და ამდენი ხალხი საქვეყნოდ არ შეგვარცხვინა?! ასეთი პატარაა და ახლავე ასეთი ურჩი, უმადური და სიკეთედაუნახავი ჩანს, ეგ რომ გაიზრდება, მაშინ ხომ სათოფეზეც არ გაიკარებს კაცს! — ხუმრობანარევი წყენით თქვა შამშემ.

— ამ დათვის ბელის დაჭერით ამაოდ გაისარჯეთ, ბიჭებო! — უთხრა შამშესა და გურამს ნაკრძალის მცველმა.

— რატომ, ცოტნე ბიძია? — წყენა და გაოცება ვერ დაფარა შამშემ.

— იმიტომ, ჩემო შამშე, რომ წყლიდან გამოყვანის შემდეგ თქვენი ზრუნვა ამას აღარ სჭირდებოდა, იგი უკვე საკუთარ მამულში იყო. ტყეში უთქვენოდაც არაფერი გაუჭირდებოდა. ამიტომ თქვენთვისაც და მისთვისაც უმჯობესია, დაეხსნათ და ტყეში გაუშვათ. იქიდან კი, სადაც თვითონ სურდეს, იქით წავიდეს.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

# ნოდარ შამანაძე-60



ნოდარ შამანაძის შემოქმედებას ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. მისი პირველი ლექსი „საქართველო" ჟურნალ „პიონერში" 1951 წელს დაიბეჭდა. მას მოჰყვა სხვა ლექსები და მოთხრობები — „კიბეზე ბიჭები ადიოდნენ" (ამ მოთხრობისათვის ავტორს პრემია მიენიჭა), „სხივთა თამაში", „ყველაზე ძვირფასი", აგრეთვე პუბლიცისტური წერილები. ნ. შამანაძე, პოეტი, პროზაიკოსი და მეცნიერი, 82 წიგნის ავტორია, ამათგან 15 წიგნი ბავშვებისთვისაა დაწერილი.

ღვაწლმოსილ შემოქმედს ახლახან 60 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „ნაკადულის" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითა და სულით ულოცავენ ბატონ ნოდარს ამ შესანიშნავ თარიღს და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებენ მას.

## მიტომ მიყვარს

საქართველო მიტომ მიყვარს,
ჩემი დედულ-მამულია,
ამ მიწაზე პაპის პაპას
სიამაყით გაუვლია.
უთოხნია, უბარია,
ვაზი გაუხარებია,
გუთანს კვალში მიჰყოლია,
რქებდაგრეხილ ხარებიანს,
ქვევრი ღვინით აუვსია,
პური დაუხვავებია,
დედაბოძად შესდგომია
ტაძრებს დედოზარებიანს,
სამშობლოსთვის თავგანწირვა
სულ არ დაუზარებია,
მოძმე გაუმრავლებია,
მტერი დაუზავებია.
...საქართველო მიტომ მიყვარს,
წინაპრებს რომ ჰყვარებიათ.
დედასავით გიყვარდეთო,
ჩვენთვის დაუბარებიათ.

## დედა

ბიჭო, რა ბედნიერი ხარ,
ხალისდაუშრობელი, —
თავს დაგხარის, დაგფოფინებს
საყვარელი მშობელი.
მეც ვიყავი ბედნიერი
დედის ტკბილი ალერსით,
ახლა ხშირად მესიზმრება,
ძილში მისი ხმა მესმის.
გავილვიძებ, კვლავ ძილს ვნატრობ,
რომ მესიზმროს ისევე,
მაგრამ რაღა წამაძინებს,
ვბორგავ, ველარ ვისვენებ.

ბიჭო, იყავ მუდამ ასე
ხალისდაუშრობელი,
ვაჟკაცური საქმეებით
გაახარე მშობელი.

## სამშობლო

ჩემო ქვეყანაო,
მთის და ჭალისაო,
ცაო ნათლისაო,
მიწავ ვაზისაო,
საბას სიბრძნისაო,
შოთას აზრისაო,
ვაჟას ლექსისაო,
გლეხის ზღაპრისაო,
სავსე ქვევრისაო,
სავსე ბეღლისაო.
ჩვენო საფიქრალო,
ჩვენო სალოცავო,
ჯადოსნური ძალა
ნეტავი მომცაო,
მიწა აგიყვავო,
აგიმაღლო ცაო.

## ჯარისკაცის გახსენება

გულისძგერით მოვყევ შეღმართს,
იმ გორიან, ამ გორიანს,
საქორიავ, მოველ შენთან,
რომ არ მიცნო, არ მგონია.
დაზურგული მძიმე ტვირთით,
კიკნა ბიჭი გეხსომება,
თვალს აცეცებს აქეთ-იქით,
ტანჯვად უჩანს მას ცხოვრება.
მხრალს მოელტვის ტოტებგაშლილს.
შეისვენებს დაქანცული,
განაცური ყვირილაში
და ბედისგან განაცური.
გამოქარულ პანტა მხხალით
დამშეულ სულს ჩაიბრუნებს,
გაექცევა მზისკენ თვალი,
გადაუფრენს ხოდაბუნებს.
სიხარულის ყველა კარი
ომის სუსხით ჩაკოლვია,
მის თვალებზე ცრემლის ცვარი
ბევრჯერ ნახე, საქორიავ!
მიცანი? მე ვარ ის ბიჭუნა,
წლების ტვირთით გეახელი,
დღემდე ყრმობის გული შემრჩა,
ომის ეკლებს შენახევი.
ამ უბანში ცელქი შველი
ამქროლია, ჩამქროლია,
მასზე ფიქრი მახარებდა,
სხვა ოცნება არ მქონია.
იმ ოცნებას სიბერეშიც
შემახვედრე, საქორიავ!

## იმ ერთმა ღამემ

მე იმ ღამემდე ვიყავ ჭარმაგად,
გულიც მერჩოდა, მერჩოდა ჯანიც,
იმ ერთმა ღამემ უცებ გამთანგა,
დამაკაპტოვა ბოლმით და ჯავრით.
იმ ერთმა ღამემ ცხრა აპრილისამ
ცხრაჯერ დამჭრა და ცხრაჯერ მაწამა,
ველარ ვუძლებდი სულის ტკივილსა
და გულს მოწოლილ წყეულ
სანამლავს.
უბედურების ქარმა დაგვბერა
და ყვავილები ჩაგვიჭკნო ხელთა,
იმ შავმა ღამემ ჩამომაბერა,
ის ღამე თმაში შემომრჩა თეთრად.

# „ჯეჯილი“ 100

ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ პირველი ნომერი. „ჯეჯილის“ დაარსება ქართველ ქალთა აქტიური მოღვაწეობის ნაყოფი იყო.

ჟურნალის პირველი რედაქტორი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. მას მხარში ედგა ქართველ ქალთა შესანიშნავი პლეადა — ეკ. გაბაშვილი, სოფიო ციციშვილი, ეკ. მესხი, ეკ. ნიკოლაძე, დომინიკა ერისთავი (განდეგილი), ოლღა ბეჟანიშვილი, ელ. ლორთქიფანიძე და სხვ.

„ჯეჯილის“ პირველი ნომერი 1890 წლის იანვარში მიიღეს ხელისმომწერლებმა. იგი 1896 წლამდე ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა, 1896 წლიდან კი ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდა. „ჯეჯილის“ მხატვრული გაფორმება მაღალი დონისა იყო.

„ჯეჯილს“ ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა იოსებ დავითაშვილის ცნობილი ლექსის ორი სტრიქონი:

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო“.

პირველი საყმაწვილო ჟურნალის, „ნობათის“ დახურვის შემდეგ (1883-1885 წ.წ.) „ჯეჯილი“ ერთადერთი ჟურნალი იყო, რომელიც სულიერ საზრდოს აწვდიდა ქართველ მომავალ თაობას.

უდიდესი სიხარული განუცდია ამ ჟურნალის გამოცემით ქართველი ერის მოამაგეს ილია ჭავჭავაძეს. აი, რას წერდა დიდი ილია „ივერიის“ 1890 წლის 266-ე ნომერში: „დღეს დაურიგდათ ხელის-მომწერთ პირველი ნომერი ახალი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა“, რომელიც ამას შემდეგ ყოველ ორ თვეში ერთხელ გამოვა ქ-ნ ან. თუმანიშვილის რედაქტორობით.

მეტად კარგი რამ არის ეს პირველი წიგნი თვალისათვის, არც გული და არც ჭკუა არის დავიწყებული. ერთისა და მეორისათვისაც სამკალია საკმაო შიგ. „ჯეჯილის“ რედაქციას კარგი საჩუქარი დაუმზადებია ჩვენის მოზარდი თაობისათვის... დიდის სიამოვნებით გადავიკითხეთ თითქმის მთელი წიგნი ამ ახლად დაბადებულისა და ნორჩი ჟურნალისა და, უნდა ვთქვათ, გულითა და სულით ვისიამოვნეთ, დავსტკბით და უფრო ტკბილად „დავბერდით“, ვიდრე მამა-პაპის ნანადირძევი „აბრამიანი“ და „გოზინაყი“ დაგვაბერებდა“.

მართალია, ილიას შემოქმედებიდან ამ ჟურნალში მარტო ერთი ლექსი — „ბაზალეთის ტბა“ დაიბეჭდა, მაგრამ იგი მუდამ ამხნევებდა და მხარში ედგა „ჯეჯილის“ რედაქციას.

„ჯეჯილმა“ გარშემო შემოიკრიბა ქართველი მწერლობის საუკეთესო ნაწილი. ჟურნალს ავტორიტეტსა და სახელს უხვევდა აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ვაჟაფშაველას, შიო მღვიმელის (ქუჩუკაშვილის), თედო რაზიკაშვილისა და სხვათა მშვენიერი ნაწარმოებები.




ჟურნალ „ჯეჯილის“ მოღვაწეობის გზა ვარდ-ყვავილებით არასოდეს ყოფილა მოფენილი. მას არაერთხელ განუცდია ცენზურისა თუ კრიტიკის მკაცრი მახვილი. ცენზურამ 1905 წელს შესძლო კიდეც ჟურნალის დახურვა და მის აღდგენას 1907 წელს დიდი ჯაფა დასჭირდა.

„ჯეჯილში“ ქვეყნდებოდა დიდძალი ნათარგმნი მასალა როგორც რუსი, ასევე უცხოელი მწერლებისა. ჟურნალის ფურცლებზე ვხვდებით ა. პუშკინის, ლ. ტოლსტოის, ი. კრილოვის, ჰ. ანდერსენის, ძმები გრიმების, დეამიჩის, ჩ. დიკენსისა და სხვათა თხზულებების ქართულ თარგმანებს.

ჟურნალში მოღვაწეობდნენ, მისი არსებობისა და განმტკიცებისათვის იბრძოდნენ მაშინდელი განთქმული პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები: ლ. ბოცვაძე, ალ. ჭიჭინაძე, ივ. როსტომაშვილი, თ.კანდელაკი, ივ. ელიაშვილი, ივ. გომართელი, დ. თომაშვილი (ოყრეშიძე) და სხვ.

ჟურნალ „ჯეჯილს“ 1904 წლიდან მხარში ამოუდგა მეორე საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ (ორ წიგნად — მოზრდილთათვის და მცირეწლოვანთათვის).

„ჯეჯილმა“ იარსება მთელი 30 წლის განმავლობაში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებასა და წარმატებაში.

მურად კერძევაძე

ბივი გეგეჭკორის
მიერ
მოთხრობილი

# აკაკი წერეთლის ცხოვრება

### აკაკი სხვიტორში.
### ანა. გლეხების მოგონებები.

აკაკის გული მუდამ სხვიტორისკენ მიუწევს. უფრო ზაფხულობით ჩამოდის, ივლისში, და სექტემბრამდე რჩება.

ახლა აქ მხოლოდ ანაა, აკაკის უფროსი და. დედამ მას მკურნალობა ასწავლა და ავადმყოფებთან დადის.

ანა ლამაზია, ტანმაღალი, ქერა, ლურჯი თვალები აქვს, ენამოსწრებულია. სახარება კარგად იცის და დიაკვანი როცა არ არის, წიგნს ეკლესიაში ის კითხულობს. აკაკი ოხუნჯობს: საოცარი ქალია ანა, ყველა ავადმყოფის წამალს ერთსა და იმავე ქილიდან არიგებსო.

ანა მკაცრი ქალია. გლეხი გიორგი ზაბახიძე იგონებს: ათი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი, დიდი ზამთარი იდგა, დედაჩემს თავი ასტკივდა და გვითხრა, აკაკის დასთან, ანასთან მიდით, წამალი გამოართვით, იქნებ მიშველოსო. მე და ჩემი ძმა ილიკო წავედით, ერთი აბაზი გაგვატანეს. ცუდად გვეცვა. ქალამნებში წყალი და თოვლი შედიოდა. მივედით სასახლეში მე და ილიკო, კართან ქუდმოხდილები ავიტუზეთ, ოთახში შესვლა ვერ გავბედეთ, ვხედავთ, ბუხარში ცეცხლი გუზგუზებს, დაბალ სკამზე კი აკაკის და ანა და კიდევ ვიღაც კაცი სხედან. ანა ჩვენკენ შემობრუნდა და გვკითხა, რა გინდათ, რისთვის გამოგაგზავნესო? ვუთხარით, დედას თავი სტკივა, წამალზე მოვედით, შუშა და ერთი აბაზი გამოგვატანესო. ამ დროს ჩვენკენ ის კაციც შემობრუნდა და გვკითხა ვისი შვილები ხართო? როცა ვუთხარით, თავზე ხელი გადაგვისვა და გვითხრა, მაქსიმეს კარგი შვილები ჰყოლიაო, თან ჩვენს ქალამნებს დაჰყურებდა. ამ დროს ანაც შემოვიდა. წამალი შემოიტანა... მე დედას გატანებული აბაზი გავუწოდე და ის იყო ფული უნდა გამოერთმია, რომ აკაკიმ უთხრა: ანა, გეთაყვა, აბაზს მე მოგცემ, მაგ ბავშვებს ნუ გამოართმევო, და ხელი ჯიბისაკენ წაიღო. ანა გაბრაზდა და უთხრა: შენ სულ ასე იცი, ვნახოთ, მაგითი გლეხებს როგორ გაამდიდრებო. აკაკიმ ჯიბიდან ორი შაური ამოიღო და გვითხრა: საჩხერეში წადით, თქვენს აბაზს ეს ორი შაურიც დაუმატეთ და ქალამნები იყიდეთო...

აკაკი რომ მეტად გულკეთილი და გულჩვილია, ამაზე ბევრი სხვიტორელის მოგონებაშია საუბარი.

ნატალია მაჭარაშვილი იგონებს: ერთხელ საქათმეში მელა დავიჭირეთ და შევამწყვდიეთ. აკაკიმ გაიგო და გლეხს შეეკითხა: რა ქენი, დათია, ის მელა მოკალიო? დათიამ უპასუხა: არ მომიკლავს ჯერ, ბატონო. თუ კაცი ხარ, გაუშვიო, ძალიან შემოეხვეწა. როგორ გავუშვა, ბატონო, ქვეყანა ამოაგდო, ქათმები გამიწყვიტაო, უარობდა დათია, მაგრამ აკაკი იმდენს ეხვეწა, ბოლოს მელა მაინც გააშვებინა...

სხვიტორელი გლეხი ხანდრო არჩვაძე მოგვითხრობს: ერთხელ მე და ჩემმა მეზობლებმა ძალიან ლამაზი არჩვი დავიჭირეთ. აკაკი ნასადილევს თავისი სახლის წინ გამოხულიყო და დასეირნობდა. ეზოში შევედით, მივესალმეთ და ვუთხარით, ჩვენო ბატონო, ეს არჩვი თქვენთვის მოგვირთმევია-მეთქი. აკაკიმ მადლობა გადაგვიხადა, ვისაუბრეთ, ბოლოს წამოსასვლელად წამოვდექით და ამ დროს აკაკიმ გვითხრა: ეს არჩვი ამ ეზოში გაუშვით, სამჯერ უკან თუ მოიხედა, მაშინ აღარსად წავა და თუ ერთხელ მეტად არ მოიხედა, მაშინ ნამდვილად არ დაბრუნდება და გაიქცევაო. ჩვენ აკაკის კეთილი გულის ამბავი ვიცოდით და ისიც ვიცოდით, რომ თუ არჩვს გავუშვებდით, უკან აღარ დაბრუნდებოდა. მაგრამ გავუშვით. არჩვმა ერთი კი მოიხედა და ისე მოკურცხლა, რომ მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთო...

აკაკის გლეხები სიყვარულით ხვდებიან, მასთან სასახლეში დაიარებიან, ესაუბრებიან, რჩევას ეკითხებიან. აკაკი მათ პატივს სცემს, მოიპატიჟებს ხოლმე და უსადილოდ არ უშვებს.

ბავშვი იქნება თუ დიდი, იმის ოთახში რომ შევა, აკაკი მაშინვე ფეხზე წამოდგება და სკამს თავისი ხელით მიუტანს. ცალკე პურს არ შეჭამს. თუ მათ ოჯახში გლეხია, ანას ეტყვის, ცალკე არ დასვაო.

ივანე ცქიტიშვილი იგონებს: ჩვენს სოფელში ერთი საწყალი კაცი იყო, ფილიას ეძახდნენ. საჭმლის გამკეთებელი არავინ ჰყავდა. როცა აკაკი შინ იყო, დაუძახებდა: ჩემო ფილია, მუდამ აქ მოდი და სადილი აქა ჭამე, ხომ ვიცი. არაფერი გაგაჩნია და კიდეც რომ გქონდეს, გამკეთებელი არავინ გყავსო.

აკაკი სხვიტორში რომ ჩადის, გლეხებისთვის საჩუქრები ჩააქვს და უთვლის, მნახეთო. მოთხრობაში „სოფელ ალის აოხრება“ აკაკი წერს: „როცა ჩემს სოფელში ვარ ხოლმე, ძალიან მიყვარს მოხუცებულ სოფლელებთან საუბარი, იმათ ქცევასა და სიტყვა-პასუხს ისევ ძველებური ქართული სული უდგასო“.

აკაკი გლეხებს ეკითხება, ამ ბალახს, ამ ხეს, ამ სოფელს რა ჰქვიაო, და ყველაფერს იწერს.

აკაკი ჩაცმულობას ყურადღებას არ აქცევს, რაც უნდა მიუტანონ, ჩაიცვამს.

დილით რძეს ან ჭიქა ჩაის მიირთმევს, სიცხეში კი მურაბიან წყალს სვამს.

ხილში განსაკუთრებით ყურძენი უყვარს, საჭმელებში კი — ლობიო.

შუადღისას დგება. თმააბურძგნული გამოდის, ყველას ღიმილით გადმოხედავს. ჯერ ჯაგრისით კბილებს გამოიხეხავს, გადასარევი კბილები აქვს (ილია ზურაბიშვილი იგონებს, სიკვდილამდე ისეთი მაგარი კბილები ჰქონდა, რომ კბილით კაკლის მტვრევაში მეჯიბრებოდაო... ნედლი კაკალი უყვარდა და არ მახსოვს, როდისმე სამტვრევი ეხმაროს, რაც უნდა კირკიტი ნაჭუჭი ჰქონოდაო... საკუთარი კბილით გაუტეხავ კაკალს გემო არა აქვსო...). მერე ნელ-ნელა პირს დაიბანს, გრძელი, ლამაზი თითები და ხელები, თაფლისფერი თვალები, გამომეტყველი და ნათელი სახე აქვს. იშვიათად განრისხდება, მხოლოდ ხელს ჩაიქნევს, მისი პასუხი ეს არის. თუ გაჯავრდება, მწარე ენა აქვს. შინაურებში ლექსის კითხვა არ უყვარს.

როცა აგრილდება, აკაკი ეზოში გამოდის, ხალიჩაზე წამოწვება, წიგნებს კითხულობს და ხან ლექსებსაც წერს.

აკაკი უმეტესად სხვიტორში წერს. თავის ოთახში ჩაიკეტება და წერს. „თორნიკე ერისთავს“ სამ თვეში დაწერს, ზამთრის სამ თვეში...

### დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა. სასტუმროდან — სასტუმროში. „ჩემი თავგადასავალი“.

1886 წლის 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიის მეხამე კლასიდან გამორიცხული შეგირდი იოსებ ლაღიაშვილი სემინარიის რექტორს ჩუდეცკის ხანჯლით მოკლავს. ამ თავზარდამცემი მკვლელობის მიზეზი ისაა, რომ ლაღიაშვილს ჟურნალ „ოტეჩესტვენიე ზაპისკის“ და დღიურს უპოვნიან. დღიურში იგი სემინარიაში გამეფებულ აუტანელ რეჟიმზე ლაპარაკობს. ამის გამო თვრამეტი წლის ჭაბუკს სემინარიიდან გამორიცხავენ და უსასრულოდ სასოწარკვეთილს მკვლელობას ჩაადენინებენ.

ჩუდეცკის დამარხვის დროს რეაქციონერი ეგზარხოსი პავლე წარმოთქვამს სიტყვას, რომლის დაბეჭდვას მთლიანად გაზეთი „კავ-

გაგრძელება. იხ. „ნაკადული“ № 5.

კაზიც“ კი ვერ გაბედავს. ეგზარხოსი დასწყევლის იოსებ ლაღიაშვილს, იმ ოჯახს, რომელმაც იგი შვა და იმ ქვეყანას, რომელმაც იგი გამოზარდა.

ქართველი ხალხისა და ეროვნული ღირსების დასაცავად ქართველ თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი ეგზარხოსს ქვიშხეთიდან წერილს მოსწერს:

ამბობენ, რომ თქვენ ის ქვეყანა, რომელიც თქვენგან მხოლოდ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა, დაგიწყევლიათ; იმასაც ამბობენ, რომ, თითქოს იმ უცოდვილესი სიტყვის გამო, განზრახვა გაქვთ, ქართველი ერის წინაშე ბოდიში მოიხადოთ და თუ ეს მართალი არ არის, ღირსებას მხოლოდ იმით გადაირჩენთ, თუ საქართველოდან სამუდამოდ წახვალთო...

ამ წერილის გამო დიმიტრი ყიფიანს სტავროპოლში გადაასახლებენ და ვერაგულად მოკლავენ. ეს ამბავი ქართველ ხალხს თავზარს დასცემს. დაკრძალვის დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან თბილისში თავს მოიყრის ხალხი. ცხედარს ოლღას (ახლანდელი ლენინის) ქუჩაზე ვერის ჯვართან დახვდებიან. პროცესიამ უნდა გაიაროს გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტით ერევნის (ახლანდელი ლენინის) მოედანზე, მერე სოლოლაკის (ახლანდელი კიროვის) ქუჩაზე და შემდეგ უნდა ავიდეს პეტრე დიდის (ახლანდელი ძერჟინსკის) ქუჩიდან მთაწმინდაზე, მაგრამ პროცესიას პოლიცია ოპერის თეატრის წინ გზას გადაუჭრის და უნდა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩისაკენ შეაბრუნოს. პროცესია, რომელსაც ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე მიუძღვის, პოლიციას არ დაემორჩილება. პოლიცია ეპისკოპოსის ხელით შეჩერებას ვერ გაბედავს. პროცესია მთავრობის სასახლეს რომ მიუახლოვდება, იქ კუბოს შეაჩერებენ, დაასვენებენ და პანაშვიდს გადაუხდიან, რადგან დიმიტრი ყიფიანი ქალაქის ყოფილი თავიც არის. სასახლიდან კი არავინ იხედება, ფანჯრები დაკეტილია.

ცხედარს მთაწმინდაზე აასვენებენ და პირველ სიტყვას აკაკი წერეთელი იტყვის: დიმიტრი ყიფიანი საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულიაო. ილია აქ სიტყვას არ იტყვის, მაგრამ შემდეგ ორ წერილს მიუძღვნის. აკაკი ხუთი წლის შემდეგ ქართული პოეზიის შედევრს, „განთიადს“ დაწერს.

აკაკის არასოდეს, არსად, არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში არ უმუშავია. ერთხელ (1889 წ.) ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორობას შესთავაზებენ, და უარს განაცხადებს: დირექტორობა და საერთოდ მოხელეობა ჩემთვის ბორკილი იქნებაო. ეს ბორკილი ხელს შემიშლის იმ საქმეში, რომელსაც ამდენი ხანია ვემსახურები. იქნებ ვინმემ მითხრას: ეგ რა საქმეა, სულ აქეთ-იქით მოუსვენრად მოარულსა გხედავთ, შენი ერთ ადგილზე ყოფნა არ შეგვინიშნავსო. ამ შედარებას თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ და ჩემი თავი ფუტკარს მინდა შევადარო. ფუტკარი მუდამ დაბზუის, აქეთ-იქით დაფრინავს, ერთ ადგილზე იმის მუშაობას ვერავინ ხედავს, მაგრამ იმის ნამუშევრით კი სარგებლობენ... ფუტკარი რომ დაიჭირონ, დაამწყვდიონ, დაბან და ის ისარი ამომგლიჯონ, რომლითაც ფუტკარი მუშაობისას ხელის შემშლელს იგერიებს, მშვიდობიან, მოსვენებულ და უწყინარ არსებად გადაიქცევა, მაგრამ ჩვენ იმ თაფლს ვიქნებით მოკლებულნი, რომლითაც ხანდახან პირს ჩავიტკბარიელებთ ხოლმე და აღარ გვექნება ის სანთელიც, ბნელს რომ გვინათებსო... „თუმცა იმდენად არა, მაგრამ შედარებით ცოტაოდნად კი ჩემი თავი მეც პატარა, ძალიან პატარა ფუტკრად მიმაჩნია...“

არც ქუთაისში და არც თბილისში აკაკის მუდმივი ბინა არა აქვს. ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობს, ხან — მეორეში. თავისი მამულიდან მცირე შემოსავალი აქვს, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის კრების გადაწყვეტილებით ყოველწლიური პენსია ეძლევა, მაგრამ მაინც ხელ უფულოდ არის და როგორც ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს, შეძლებისამებრ ყველა ეხმარება. სასტუმროს მეპატრონეები ბინაში და სასმელ-საჭმელში არ ახდევინებენ, მხოლოდ ანგარიშს წარუდგენენ და ხელს აწერინებენ.

1884 წელს აკაკი ცხოვრობს სასტუმრო „პარიზის“ ნომრებში, რომელიც მოთავსებულია პატარა ორსართულიან სახლში, ჭავჭავაძის




ქუჩისა და რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა კუთხეში, იმ ადგილას, სადაც ახლა პროფკავშირების სახლია. ის სახლი ვინმე ხუნდაძეს აქვს იჯარით აღებული. ხუნდაძე აკაკის ერთ ოთახს უსასყიდლოდ უთმობს.

თედო სახოკია 46 წლის აკაკის ასე აგვიწერს:

მაღალი, წარმოსადეგი, მხარბეჭიანი, აწეწილი ხუჭუჭი, შავი გრუზა თმა და წვერ-ულვაში აქვს, მეტად მაღალი შუბლი და ვაჟკაცური, ღვთაებრივი სახე, ცოტათი კეხიანი ცხვირი, დიდრონი, ნაპერწკლის მფრქვეველი, შორსმჭვრეტელი და ჭკვიანი თვალები, ამ სახეს ვინც ერთხელ დაინახავს, ვერ დაივიწყებს. ვინც აკაკის ჩაუვლის, ქალი იქნება თუ კაცი, არ შეიძლება, უკან არ მოიხედოს და პოეტს თვალი არ გამოაყოლოს...

ორი წლის შემდეგ რუსეთიდან ჩამოსული მეუღლით აკაკი ცხოვრობს სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში, იმ ადგილას, სადაც ახლა გრიბოედოვის თეატრია. ამ დროს აქ ბინადრობენ აგრეთვე შექსპირის მთარგმნელი ივანე მაჩაბელი და გერმანელი მთარგმნელი არტურ ლაისტი.

სასტუმროდან სასტუმროში ხეტიალი წლიდან წლამდე გრძელდება. აკაკის ოჯახური სითბო აკლია და ლექსებში უფრო ხშირად ლაპარაკობს მარტოობაზე, ავადმყოფობასა და მოახლოებულ მოხუცებულობაზე.

„ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, ძნელი ყოფილა ქალარაო“, ამბობს აკაკი, ხოლო ლექსში „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ თავისი ცხოვრება ასე აქვს დახატული: სილარიბე სულ მუდამ კვალში მდევდა, კარიდან კარზე მატარებდა, ვისაც შემწეობას ვთხოვდი, ხელი არ გამომიწოდა, ახლა სიყვარული და სიმდიდრე რაღად მინდა, დავბერდი, დავუძლურდი, სახე დამიჭკნა და დამეღარაო. „ავადმყოფ მგოსანში“ კი ბედს ევედრება: „ბედო შავპირო, უპირო, ამრევო გზა და კვალისა, სულს ნუ ამომხდი, მაცალე დახამხამება თვალისა!.. აჩრდილიღა ვარ წარსულის და ლანდი მომავალისაო...“

ერთ წერილში იგი ამბობს: მე ბევრი არასოდეს მდომებია, მხოლოდ მსურდა, რომ მყუდროება და მუშაობის საშუალება მქონოდა, მაგრამ დღიური ლუკმა და მოსვენება არ მეღირსა, სანამ ახალგაზრდა და ჯანმრთელი ვიყავი, ყველაფერს ვითმენდი, მაგრამ ახლა ხანში რომ შევედი, დავსნეულდი, მხნეობა თანდათან მღალატობს, ექიმები მკურნალობას და საზღვარგარეთ წასვლას მირჩევენ, მაგრამ ორიოდე გროში ვერ მოვაგროვე, რომ თავს ვუშველო და უაზროდ აქ არ ჩავკვდეო...

აკაკი ხშირად ლაპარაკობს საზოგადოების უსულგულობაზეც. საზოგადოება თავის მწერლებს არ უფრთხილდებაო. ალექსანდრე ყაზბეგზე ამბობს, გულშემატკივარი, პირისუფალი და ყურისმგდებელი არა ჰყავდა, ბოლოს სულით ავადმყოფმა ლაზარეთში თავი ამოყო, მისი ნაწერები ხელიდან ხელში გადადიოდა, იმას კი ლაზარეთში თუთუნი ენატრებოდაო...

აკაკი საზოგადოებას მოუწოდებს, მწერალს სიკვდილის მერე კი არა, თანაგრძნობა სიცოცხლეში გამოვუცხადოთ და სიყვარული სიცოცხლეში ვაგრძნობინოთო.

1894 წელს აკაკი „კვალში“ თავისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოების „ჩემი თავგადასავლის“ პირველ ნაწილს ბეჭდავს. ამ მოგონებებში აღწერილია აკაკის ცხოვრება გიმნაზიაში შესვლამდე. ეს ნაწარმოები აკაკის განსაკუთრებით უყვარს. როგორც მოხუცი ზამთარში ბუხართან შვილიშვილებს თავის თავგადასავალს მოუთხრობს. მეც ისე მინდა ჩემი თავგადასავალი გავიხსენო, ის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი სიავკარგის სარკე იქნებაო.

ვლადიმერ ბერიაშვილი

მხატვარი ზაურ დეისაძე

ზღაპარი

# კლდემიჯა



კლდე იდგა. რაც თავი ახსოვს, ასე იდგა, ან კი სად უნდა წასულიყო? იგი დედამიწამ შობა და იმედი ჰქონდა, რომ სანამ დედამიწა იარსებებდა, ისიც იქნებოდა.

კლდე იყო ძველი, მრავალ ქარტეხილში გამოვლილი, დაშაშრულზედაპირიანი, ყინვით დამსკდარი, შლეგი ნაკადებით დახრამული, მცენარეთა ფესვებით დახრული, მაგრამ ჯერაც გულმტკიცე და ტანბუმბერაზი.

დროდადრო მოსწყდებოდა ლოდი და წავიდოდა გრიალით უფსკრულში. კლდეს გული შეეკუმშებოდა, ლოდს თვალს გააყოლებდა და ამოიოხრებდა. ასეთი ქვები — მისი სისხლი და ხორცი — მრავლად ეყარა ხევში. პატარა მდინარის ფსკერი ამ ქვებით იყო მოგებული. ახალ ქვას უდრტვინველად მიიღებდა მდინარე, მოეფერებოდა, მიეალერსებოდა, თავის ადგილს მიუჩენდა, მერე გვერდს აუვლიდა ან თავზე გადაევლებოდა და აგრძელებდა ბუნებისაგან დადგენილ გზას.

ერთ ზამთარს ძლიერი ყინვები დაიჭირა. ეს დრო ყველაზე ძნელი იყო კლდისთვის. ის იყო, კიდევ ერთ მოწყვეტილ ლოდს გააყოლა ჩვეულებრივ თვალი, გულიც ჩვეულებრივ შეეკუმშა და ჩვეულებრივ ამოიოხრა, რომ უცებ ქვემოდან ძახილი მოესმა:

— ვაიმე, გვერდები! რისთვის მომიცილე, დედა, რატომ ჩამჩეხე ხევში, სამაგისო განა რა დაგიშავე?!

კლდემ გაოცებით ჩამოხედა. ქვა იყო, ცოტა უჩვეულო ფორმისა, მაგრამ მაინც ქვა, ისეთივე, მრავლად რომ ეყარა მის ფერხთით და... ქვამ უკან დაიწყო ამოცოცება. ლოდებს ებღაუჭებოდა, მაღლა მოძვრებოდა, უმოკლეს გზას ეძებდა, რომ როგორმე მშობლის მკერდზე თავისი ადგილი დაეკავებინა. ყინულზე ფეხი უსხლტებოდა, უცურავდა, მაგრამ სლუკუნ-სრუტუნით ისევ მაღლა მოძვრებოდა და დედას დახმარებას სთხოვდა. კლდეს ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს, გაფაციცებული ადევნებდა თვალს ქვის ბორტყიალს. ამოვიდოდა ქვა ცოტაზე, დაუცდებოდა ფეხი და ისევ ხრამში მიგორავდა, ისევ და ისევ...

— მცივა, დედი! მშია, დედი! შენთან მინდა, დედი!

— მართალია, მაგას სცივა კიდეც და შია კიდეც, — დაუდასტურა გაფუყულმა სვავმა, რომელიც კლდის ქიმზე შემომჯდარიყო და ხეობას გასცქეროდა, იქნებ სადმე საკბილოს ვკიდო თვალიო.

— რატომ? — იკითხა გაოცებულმა კლდემ, თვითონ მას ხომ არასოდეს გამოეცადა არც სიცივე და არც შიმშილი.

— ადამიანებიც ისევე გრძნობენ სიცივესა და შიმშილს, როგორც სვავები.

— კი მაგრამ, — კლდე ჩაფიქრდა, — ის ხომ ჩემი ნატეხია, ადამიანი როგორღაა?

— მე კარგად ვიცნობ ადამიანებს. ადამიანია, პატარა ადამიანი... და შენი შვილი. — სვავმა ტიტველი კეფა მოიქექა, მასაც ვერ გაეგო, რატომ იყო ასე.

„პატარა ადამიანი" კი კვლავ ცდილობდა კლდეზე აფოფხებას, სიცივისაგან კანკალებდა, ქსუტუნებდა, ცრემლებს ღვრიდა, ცრემლები ზედვე ეყინებოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად ებღოტებოდა გათოშილ სალს.

სვავი ცალი თვალით ჩამოჰყურებდა ჯიუტს და ტკბილად აჯრიალებდა: „ცოტა მაღლიდან რომ დაგორდებოდეს... რა ხანია, ლეში არ მიგემია".

კლდემ თითქოს გაიგოო მისი ფიქრები.

— სვავო, რამდენი ხანია ჩემს მკერდზე ცხოვრობ, რამდენი ხანია ქარიშხლებისა და ყინვისაგან გიფარავ?

სვავმა მხრები აიჩეჩა:

— დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ რად მაყვედრი?

— სულაც არ გაყვედრი, კვლავაც იცხოვრე, როგორც გენებოს, ოღონდ ერთი თხოვნა შემისრულე. ეს ჩემი ნატეხი აქ გაითოშება, მე კი ვერაფერს ვუშველი. წაიყვანე ადამიანებთან, აგრემც შვილები გაგიმრავლდება, გულ-მუცელი მეწვის, მაგის საცოდაობას რომ ვუყურებ. წაიყვანე, გაიზრდება და ამ სიკეთეს არ დაგვივიწყებს, შენც გამოგადგება და მეც. და თუნდაც არ გამოგვადგეს, მთავარი ეს ხომ არ არის? ჩემი შვილია, სვავო, გემუდარები!

სვავს ხმა აღარ ამოუღია. აიწია, ფრიალოს ჩამოუფრინა, კლდებიჭას კლანჭები ფრთხილად ჩაავლო და მახლობელი სოფლისაკენ გასწია. „ორივეს გამოგვადგებაო? მე კი გამომადგება — ადამიანი რომ არ იყოს, ჩემს გასაძღომ ლეშს სად ვიპოვი. რომ ნადირობენ, იმდენს ხოცავენ, ნახევარიც ვერ მიაქვთ ხოლ-

მე. ღმერთმა მიცოცხლოს ადამიანები! მაგრამ კლდეს რაში უნდა გამოადგეს?! ფიჰ!"

სვავმა კლდებიჭა სოფლის ბოლოს, ერთი ეზოს ჭიშკართან ჩამოსვა. ქოფაკს გაეთამაშ-გამოეთამაშა, რომ უფრო მეტად გაეავებინა და მის ღავღავზე პატრონს გამოეხედა. მერე, რაკი ბიჭი საიმედო ხელში დაიგულა, ერთი ირაო კიდევ შეჰკრა სოფლის თავზე, ცხვარ-ბატკანს ოფოფები დაუფრთხო და ბუდისაკენ გაფრინდა.

●

სვავს სიცხისაგან სული უგუბდებოდა, ენა გადმოეგდო და ძაღლივით ქასქასებდა. გზას გახედა და კლდისაკენ მომავალი ბიჭი დალანდა.

— დედა, დედა! — კლდებიჭამ ციცაბო აირბინა, კლდეს მკერდზე დაემხო და ეამბორა. — გამარჯობა, დედა, რომ იცოდე, როგორ მომენატრე!

კლდემ ბიჭი მკერდში ჩაიკრა, თვალები აუწყლიანდა.

— როგორა ხარ, შვილო, ადამიანებს როგორ შეეჩვიე?

— კარგად, დედი, ისე მიმიღეს, როგორც საკუთარი შვილი. ჩემს გარდა კიდევ შვიდი ჰყავთ, მაგრამ წარბიც არ შეუხრიათ, ისე შემიფარეს. მეც იმას ვჭამ, რასაც ისინი, მეც იმას ვიცვამ, რასაც ჩემი ძმები. დღე ვშრომობთ, საღამოს ტაშ-ფანდურას ვმართავთ და ვართ მხიარულად და ბედნიერად. მტერს არ ვაცინებთ და მოყვარეს არ ვიმდურებთ.

ბიჭს დაკერებული ახალუხი ეცვა, მოროღვეული ქალამნებიდან დაჩრჩილული წინდა გამოსჩროდა. კლდეს გული დაეწვა. სწორედ ისე ამოიოხრა, ლოდის უფსკრულში ჩახეთქებისას რომ იცოდა ხოლმე.

— შვილო, ამ ბილიკით, რომლითაც ამოხვედი, ისევ დაბლა დაეშვი, ძირიდან ოცი ნაბიჯი გადმოთვალე მაღლა, მერე ხუთი — მარჯვნივ, მიხროვილი ქვები გაშალე, იქ ერთ ნაპრალს მიადგები, რასაც იმ ნაპრალში იპოვნი, ამოიღე და აქ მოიტანე.

ბიჭი ისე მოიქცა, როგორც კლდემ უთხრა. ნაპრალი მონახა და იქ ნაპოვნი შეკვრა დედას მიუტანა.

— ეს რა არის, დედი?

— მცირე განძია. ერთმა კაცმა მომაბარა, თვალის ჩინივით გაუფრთხილდიო. მეც ვუფრთხილდებოდი და აქამდე შემოვინახე. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, ის კაცი მეტად არ გამოჩენილა, ალბათ ცოცხალი აღარ არის და საიდუმლოს გათქმა ცოდვაში არ ჩამეთვლება. წაიღე, შვილო, ეს განძი, გამოგადგება...

— რაში გამომადგება? — ბიჭმა გაიცინა.

— კეთილ ხალხს შეუფარებიხარ და ამ განძსაც სიკეთით მოიხმართ — ჩაიცვით, დაიხურეთ, ცოტა ხანს გეყოფათ, მერე კი... ღმერთი მოწყალეა.

ბიჭი დაჰყვა კლდის ნებას.

— ოღონდ ერთ რამეს გთხოვ, ხშირად მომაკითხე ხოლმე, შენი ცქერით დამტკბე, მეც მინდა, ცოტა გავიხარო, ვიდრე... — კლდემ აღარ დაასრულა.

— მოგაკითხავ, აუცილებლად მოგაკითხავ, დედი, ხშირად მოვალ ხოლმე! — კლდებიჭამ განძი ახალუხში გამოჰკრა, კლდეს მკერდზე ეამბორა და მხიარული სტვენა-სტვენით გაუდგა გზას.

— ჰმ, მოგაკითხავს, აბა რას იზამს, მით უმეტეს ახლა, როცა შენს მკერდში დამალულის გემოს გაიგებს. არ უნდა მიგეცა! — გაფხორილი სვავი ბიჭისკენ არც იხედებოდა.

— რა გამოცანებით მელაპარაკები? რატომ არ უნდა მიმეცა? — კლდეს, ცოტა არ იყოს, ეწყინა.

— იმიტომ! მე ადამიანებს უკეთ ვიცნობ! — სვავმა ფეხი მოინაცვლა და გასაფრენად შემართა, ეტყობა, სადღაც საკბილო შეამჩნია. — მზად იყავი, მალევე გესტუმრება შენი შვილი, ოღონდ იცოდე, ნურაფერს გაიკვირვებ.

— ის ხომ ჩემი შვილია!

— შენი შვილია, მაგრამ... ადამიანია. ხომ გითხრა, ბედნიერად ვცხოვრობთო, რაღა გინდოდა?!

სვავი უფსკრულში გადახტა, ქვასავით ჩაეშვა, მერე ჰაერის ნაკადს ფრთები შემოსცხო, მაღლა აიწია და საშოვარზე წაყანყალდა.

დარჩა კლდე გულნატკენი და გაოგნებული.

●

დიდი ხანი არ გასულა, რომ კლდებიჭა ისევ გამოჩნდა. ლურჯი სატინის ხალათი და ჭრელ წინდებში ჩატანებული შარვალი ეცვა, ფეხზე რბილი კალოშები ულაპლაპებდა, მხარზე ტომარა მოეგდო.

— გამარჯობათ, — ჩაიბურტყუნა. თავი არ აუწევია, ფერდას ნელი ნაბიჯით აუყვა, გულდაგულ გადაზომა ოცი ნაბიჯი, მერე მარჯვნივ — ხუთი, ტომრიდან წერაქვი ამოიღო, ხელისგულები დაიფურთხა და წერაქვი მოუქნია: „ჩახ, ჩახ!.."

— რა გინდა, შვილო?! — აღმოხდა კლდეს.

კლდებიჭამ არაფერი უპასუხა.

მესამეჯერ რომ გაუმეორა კითხვა, მაშინღა აღირსა პასუხი, — ვითომ არ იციო, — წაიბურტყუნა და წერაქვის ქნევა განაგრძო.

— მანდ განძი აღარ არის.

ბიჭს ხმა არ ამოუღია, ჩამოჯდა, ქარი ამოიღო და მუშაობა განაგრძო.

— ხომ გითხარი, არ უნდა მიგეცა, — ნიშნის მოგებით უთხრა კლდეს სვავმა. — თუ გინდა...

კლდე მიუხვდა სათქმელს და შეშფოთებულმა შესთხოვა:



— ნუ ჩაჩეხავ, მაინც ჩემი შვილია...

— შენი ნებაა, მაგრამ...

— წადი!

— ეჰ!.. — სვავმა თავი გადაიქნია და აფრინდა.

საზარელმა ტკივილმა მთელ ტანში დაუარა კლდეს. ადრე მის მკერდზე გზა გაჭრეს, ორმოებიც ამოთხარეს ბოძებისათვის, მაგრამ ასე არა სტკენია, ბიჭი თითქოს შიგ გულში ურტყამდა წერაქვს.

— უცხოსთან მაინც არ უნდა მოქცეულიყავი ასე, — მორიდებით უსაყვედურა შვილს.

— როდემდე მეცადა, იქნებ სულაც არ აპირებდა გაფრენას?! განძი მინდა! — ბიჭი სულ უფრო და უფრო ღიზიანდებოდა.

— უცხოსთან არ უნდა მოქცეულიყავი ასე, მეტყოდი და... — უყურებდა კლდე კლდებიჭას და უკვე ეჭვი ეპარებოდა, რომ ის მისი ნაშობი იყო.

— მაშასადამე, კიდევ გაქვს, ხომ?! გაქვს, და არ მაძლევ! განძი მინდა, განძი! — ბიჭი ერთბაშად გამოცოცხლდა და ახლა უკვე უმისამართოდ, მარჯვნივ თუ მარცხნივ დაუშინა, ზემოთ თუ ქვემოთ დასცხო კლდეს. წერაქვი საწყალობლად ჟღრიალებდა, სალს ნაფხვენები სცვიოდა, კლდე კვნესოდა.

— შეჩერდი, შვილო, დამშვიდდი, ნუ ნერვიულობ, გული გეტკინება. გეტყვი, სადაც მაქვს განძი შენახული, იმ კაცმა საიმედოობისათვის ორ ადგილას ჩამარხა თავისი ავლა-დიდება. გეტყვი, ოღონდ ფრთხილად იყავი, იცოდე, სიმდიდრე ბედნიერებას როდი ნიშნავს.

კლდებიჭას გაუხარდა, ტომარას ხელი დაავლო და დამბადებელს მოლოდინით მიაჩერდა.

— მოიცა ცოტა ხანს, ჩამოჯექი, დაისვენე, ოფლი შეიშრე, თორემ გაცივდები. პირველად რომ მოხვედი, მითხარი, ბედნიერად ვცხოვრობთო. განძი რომ მიიტანე, მას მერე როგორ წავიდა თქვენი ცხოვრება?

— ბედნიერად არა, ისა, — გაიღრიჭა კლდებიჭა, — მთელი დღე ოფლსა ვღვრიდით, საღამოს კი უშნოდ ვაჩხაკუნებდით ფანდურს და ვხუნტრუცობდით. სისულელე ყოფილა ყველაფერი! ნამდვილი ბედნიერება ახალუხში გახვეული წავიდე აქედან, შემომხედე, როგორ ჩავიცვი და გამოვეწყე! ჩემი ძმებიც ასე ჩაცმულ-დახურულები არიან. — კლდებიჭამ ხმას დაუწია. — ამ განძს კი მხოლოდ მე მოვიხმარ, მაშინდელივით კი არ გადავაყრი ყველას თავზე.

— რატომ ამბობ „ყველასო“, ისინი ხომ შენი ძმები არიან?!

— ძმები არა!.. — გაუტრიზავა ბიჭმა, — რაში მჭირდებიან!

— ასე არ შეიძლება, შვი...

— რაო? შენ უნდა მასწავლო ჭკუა?! — კლდებიჭა გაცეცხლდა, წერაქვს ხელი დაავლო და დაუშინა და დაუშინა. — ხომ მითხარი, მოგცემო, ხომ მითხარი, მოგცემო! — მერე წერაქვი დააგდო, მიწაზე დაემხო და აზლუქუნდა. — დედა, რომ იცოდე... ჩემი ძმები ისეთი ცუდები არიან.... არაფრად მაგდებენ, ყველაზე მეტს მამუშავებენ, თავში მიბარტყუნებენ, სანახევროდ მაშიმშილებენ, რატომ უნდა გავუნაწილო?! არ გინდა, შენი შვილი ბედნიერი იყოს? მომეცი განძი..

— წაიღე, წაიღე, — კლდემ ამოიოხრა, — ოღონდ ჭკუით მოიხმარე. იცოდე, მე მეტი აღარაფერი მაქვს, ჩემი იმედი ნუღარ გექნება, რაც მქონდა, სრულად მოგეცი.

კლდებიჭა წამოხტა, მითითებულ ალაგას მოთხარა, ტომარა გაავსო და უკანმოუხედავად დაეშვა თავქვე.

სვავი ბუდის კიდეზე ჩამოჯდა, წამოჩიტულ ბახალას ნისკარტი დაავლო და გასაფრენად მოემზადა.

— სად მიხვალ, რატომ მტოვებ, ნუთუ გეწყინა, წეღან რომ გითხარი, წადი-მეთქი? — გაუკვირდა კლდეს.

— მე მაშინაც გითხარი, განძი არ მისცე-მეთქი. ორჯერ კი ვირიც არ წაიბორძიკებს ერთსა და იმავე ადგილას. მე მივდივარ, კლდებიჭა კიდევ მოვა... ბუდისათვის სხვა ადგილი უნდა ვეძებო.

დარჩა კლდე უარესად გულნატკენი და გაოგნებული.

●

კლდებიჭა ამჯერად ორცხენა ეტლით მივიდა. მუშები მიიყვანა, თან რაღაც იარაღები და ყუთები მოიტანეს, კლდის დახვრეტა და ყუთებიდან ამოღებული შეკვრების ჩაწყობა დაიწყეს. კლდებიჭა ეტლიდან არ გადმოსულა, შორიახლო გააჩერა და იქიდან იძლეოდა მითითებებს.

— ხომ გითხარი, შვილო, აღარაფერი მაქვს-მეთქი?! — კვნესოდა კლდე.



— მაგასაც ვნახავთო, — ჩაიბურტყუნა კლდებიჭამ. ახალთახალი უძიროები ეცვა, ტანზე — ვერცხლის ქამრით გადაჭერილი ატლასის ხალათი, თავზე — ბუხრის ქუდი. კლდისათვის არც შეუხედავს, ქამარი მოუშვა და ბალიშებზე გადაწვა.

...ჯერ მიწა იძრა. ცხენებმა ყურები ცქვიტეს და დაიფრუტუნეს. მერე საზარლად დაიქუხა. კლდე აიწია, თითქოს ბაყბაყდევმა დასტაცა ხელი და მიწიდან ააგლიჯაო, მერე ძირს დაენარცხა და დაფხვნილ-დაქუცმაცებული გადაიშალა.

მუშები ყიჟინით შეესივნენ დაშლილ კლდეს და ბარებითა და ნიჩბებით დაიწყეს თხრა, რაღაცას ეძებდნენ. მაგრამ კლდებიჭა ვერაფერს ხედავდა, შიშისაგან თვალებგაფართოებული აღვირს ჩაფრენოდა და დაფეთებული ცხენების შეკავებას ცდილობდა. მოსახვევში ეტლი აყირავდა, ცხენებმა გაიწიეს, ღვედები დაწყდა, ხელნა გადატყდა. აცახცახებული ცხენები კიდევ დიდხანს მირბოდნენ, ვიდრე თავი სამშვიდობოს არ დაიგულეს, მერე შეჩერდნენ და ბალახის წიწკნა დაიწყეს.

ქარაფებზე აგორებული ეტლიდან კი ხევის ფსკერამდე ფიცრებისა და ლითონის გროვამღა ჩააღწია.

მუშებმა შელამებამდე თხარეს და ქექეს კლდის ნარჩენები და როცა ვერაფერი იპოვეს, უკმაყოფილო ბუზღუნით დაიშალნენ, თან „კლდეკაცს“ ლანძღავდნენ: „მოგვატყუა, მოგვატყუაო“.

ქვა-ღორღმა ხევი ჩახერგა. პატარა მდინარემ დაგუბება დაიწყო, მოიმატა, აიწია, აზვირთდა და ერთ დროს ზვიად კლდეს თავზე გადაევლო. რაც ადამიანებს გადურჩა, წყალმა დაფარა.

მერე ირგვლივ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

დილით სვავმა ხევს მიაშურა, იქნებ საკბილო რამე ვნახოო, მაგრამ იქ მხოლოდ უძიროები, ბუხრის ქუდი და ვერცხლის ქამრით გადაჭერილი ატლასის ხალათში გამოხვეული ლოდი იპოვა...

# ძველი ზნეობის გაკვეთილები

## (აკაკი ხოშტარიას ცხოვრებიდან)

დღეს, როგორც არასდროს, ერთიანია სრულიად საქართველო. მაგრამ... უჭირს კიდეც მას, როგორც არასდროს, ამიტომაც შვილების შემწეობა და გამოდგომაც დღეს ყველაზე მეტად სჭირდება. ამჯერად გვინდა გავიხსენოთ მამულიშვილი, რომელმაც მთელი თავისი ღონე და შემძლეობა, მთელი თავისი გონებრივი და ზნეობრივი ნიჭიერება მოახმარა მშობელი ხალხის კეთილდღეობას და, რომელიც უცხო ქვეყნებიდანაც, მართლაც რომ, ყველა ჩვენგანისათვის სამაგალითო კეთილშობილებით ემსახურებოდა საქართველოს.

ეს კაცი გახლავთ აკაკი ხოშტარია — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მრეწველი, ქველმოქმედი, თავისი საერთაშორისო საქმიანი კონტრაქტების წყალობით მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მაღალ პოლიტიკურ და კომერციულ წრეებთან დაახლოებული კაცი.

ბატონი აკაკი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ქვეყნის განვითარებისთვის გულშემატკივარი და განუზომლად ქველი მამულიშვილი. მას პირველს აუტაცნია ქალაქ ფოთის თავის — ნიკო ნიკოლაძის იდეა და დიდძალი თანხა გაუღია ფოთსა და აბაშას შორის რკინიგზის ასაგებად და ასამოქმედებლად. მასვე, ერთ-ერთ პირველს, გაუწევია ყველაზე ღონიერი მატერიალური შემწეობა ახალშექმნილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის. პარიზში ცხოვრებისას ერთ-ერთ გამოფენაზე მას შეუძენია ჯერ კიდევ ახალბედა ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტი მხატვრის ანდრე ლოტის სურათები, რომლებიც, ცოტა მოგვიანებით, საჩუქრად გადაუცია საქართველოს ხელოვნების მუზეუმისთვის.

თავისი სამრეწველო-სავაჭრო მუშაობის გამო ძირითადად სპარსეთში მცხოვრები ეს ცნობილი ქართველი მეცენატი, თავისი მოღვაწეობით არასოდეს მოსწყვეტია მშობლიურ საქართველოს. სპარსეთის საქმიან წრეებში იგი საკმაოდ ანგარიშგასაწევი ფიგურა ყოფილა — ირანის თევზის მთელი სარეწების, საპნის მონოპოლიისა და ნავთობის კონცესიების მფლობელი. მასვე დაუარსებია კონსტანტინეპოლის ცნობილი თურქულ-სპარსული ბანკი, სადაც არაერთ ქართველ ახალგაზრდას წვრთნიდა კომერციულ-საფინანსო საქმეებში. სამრეწველო-კომერციულ ასპარეზზე ქართველთა მასობრივი გამოსვლა ყოფილა ამ საუკეთესო მამულიშვილის ერთი დიდი ოცნება, ამ საქმის დაწინაურებისათვის იგი განსაკუთრებით ბევრს ცდილობდა მის მიერვე თბილისში გახსნილ რამდენიმე მსხვილ კერძო საწარმოშიც.

რუსეთში განსწავლულ აკაკი ხოშტარიას კარგად ესმოდა თანამედროვე საქართველოში მაღალგანათლებულ სპეციალისტთა სიუხვის აუცილებლობა. ამიტომ წლების მანძილზე უმაღლესი განათლების მისაღებად იგი უცხოეთში თავისი ხარჯით აგზავნიდა ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდობას. მათგან რამდენიმე მოგვიანებით ცნობილი მეცნიერიც დადგა.

მიუხედავად თავისი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა, უმძიმეს 20-იან წლებში აკაკი ხოშტარიამ დიდად გაუმართა ხელი ახალშექმნილ საბჭოთა სახელმწი-

საქართველოს
ეროვნული

ელენე დიდიმამიშვილი
რკალიდან: „ფიქრი ტაოსა და კლარჯეთზე"

## 1. „რუსთაველის საქართველოვ, შენ გენაცვალე!"

(ასე მღერიან იქაური
ქართველები)

თქვენ მხოლოდ პაპა
გიამბობთ ზღაპარს —
საქართველოზე...
და ის ზღაპარი
ბრწყინავს ალბათ
მაღალ მდელოზე...
ზვიად მთათა და
ყვავილნართა
მაღალ ჩეროზე —
საქართველოზე...
იმ დიდ ზღაპარ
საქართველოზე...
იმ დიდი მესხის
საქართველოზე...

## 2. უნთებენ სანთლებს

შორეულ სიზმრით
მოვიარე, ჩემი ტაო,
ჩემი კლარჯეთი,
სადაც ვიხილე
ვაზი, მსხმოიარე
ხელით გამრჯეთი...
ბედით, ავბედით
მინებებული
მდუმარე ტაო...
რაღაცას ელტვის...
რაღაცას დაობს...
გაჰყურებს მუნჯად
უდაბურ კლარჯეთს...
რა დრონი ხარჯეს,
რა დრონი ხარჯეს...
და ორნივ სანთლებს
უნთებენ მარად
წინაპართ ამაგს...
და ორნივ ისევ
მდუმარედ დგანან...
მდუმარედ დგანან...

## 3. მარად მაღალი

ვიყავ ალალი,
მაღალი, ლაღი,
ჩემი სამხრეთის
მხარიც და მცველიც...
მახლდნენ გმირთ-გმირნი,
ფარანი მათი
ციურ ნათებას
მაფრქვევდა ბნელით...
მრავალ სიკეთის
შევქმენ დარები,
ჰყვაოდნენ მარად
ქალაქნი ჩემნი...
მაღალი ტაძრით
რეკდნენ ზარები
და გუგუნებდნენ
მაღალი ბჭენი.
გაუმაძღართა —
ოდიდან ავთა —
გამიპეს მკერდი,
გული მგზნებარე...
და დამიტოვეს
ჭრილობა ღიად...
თუმც ქარიშხალნი
სულს მიწეწავენ, —
მე ისევ ჩემი
სახელი მქვია!...
მე მესხთა მიწის
სახელი მქვია...

## 4. არ ივიწყებენ ქართველნი ქართულს

არ ივიწყებენ
ქართველნი ქართულს,
ვერ შესცვლის ვერც-რას
დროის დინება...
ვერ მოაშოროს
მგზნებარე წარსულს —
ვერც ხვატმა და ვერც
თოვლის ზვინებმა.
როს წუთისოფლით
ბედი იმღვრევა,
შენ მაინც უძლებ,
რაგინდ სწუნობდე...
ასე გადადის
ქართვლის სიმღერა
დასაბამიდან
— უსასრულომდე...

ფოს. მის მიერ საგანგებოდ შექმნილი კომპანია „ხოშტარია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა" ე. წ. „ხოშტარიას პურით" ირანიდან რეგულარულად ამარაგებდა მთელ საბჭოთა კავშირს, ვიდრე ეს უკანასკნელი მასთან პატიოსან კომერციულ პარტნიორობას ისურვებდა.

აკაკი ხოშტარიას სახელთან არის დაკავშირებული თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე, 13 ნომერში მდებარე დიდებული შენობაც, რომელშიც დღეს საქართველოს მწერალთა კავშირია მოთავსებული. ალბათ ბევრმა თქვენგანმა იცის კიდეც — ეს ცნობილი ქართველი მეცენატის დავით სარაჯიშვილისეული სახლია. 1914 წელს, როცა სარაჯიშვილს გაყიდვა გადაუწყვეტია, თბილისელებს იმხანად ირანში მცხოვრები აკაკი ხოშტარიასთვის უთხოვნიათ მისი შეძენა.

ა. ხოშტარიას აქაც არ შეურცხვენია პირი — შეუსყიდია ეს დიდებული სასახლე და იტალიიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ოსტატების ხელით სულ მალე საფუძვლიანად გაურემონტებ-განუახლებია კიდეც. ამ მეცადინეობით მას თითქმის მთლიანად შეუცვლია სარაჯიშვილების ამ ყოფილი სამოსახლოს გარეგნული იერ-სახე: დაუმშვენებია იგი საზამთრო და საზაფხულო ბაღებით, იტალიიდან ჩამოტანილი ანტიკვარული ნივთებით.

პირველი მსოფლიო ომის დროს ახალშეძენილი სასახლე ა. ხოშტარიას დროებით საქართველოს მენშევიკური მთავრობისთვის დაუთმია. ომის დროს სასახლეში მოწყობილი ჰოსპიტალი მედიკამენტებითა და სურსათ-სანოვაგით მისგანვე მარაგდებოდა. მოგვიანებით, საფრანგეთში გამგზავრების წინ, ბატონ აკაკის ქართველი მწერლებისათვის უსასყიდლოდ უბოძებია ეს დიდებული შენობა.

შორს დარჩენილ სამშობლოზე ფიქრი და ზრუნვა ბევრ ქართველ მამულიშვილს ქცევია ბედისწერად... ბედისწერამ ისინი დააახლოვა: თითოეული მათგანი ცდილობდა, თავისი ყოველდღიური საქმიანობით გამოდგომოდა საქართველოს. პარიზში ცხოვრების დროს ა. ხოშტარია დიდ თანადგომას უწევდა უცხოეთში ქართული ეროვნული განძეულის მცველს, დიდ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს, გარკვეული პერიოდის მანძილზე თავისი ფულით „ინახავდა" კიდეც განძეულს, გამუდმებით ზრუნავდა მისი უსაფრთხოებისათვის.

ასეთი იყო თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მამულიშვილი, ასე რომ სჭირდება დღესაც საქართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის მიუძღვნა აკაკიმ „ჩანგური“

**ნინო ღვინერია**

აკაკის პირველი პოეტური ნაწარმოები, რომელშიც მკვეთრად გამოიხატა მხატვრული სიტყვის საზოგადოებრივი დანიშნულება და ამოცანები, იყო ლექსი „ვარდის ხმაზედ“ („მე ჩანგური მისთვის მინდა“), რომელიც პირველად დაიბეჭდა გიორგი წერეთლის ყოველთვიურ ჟურნალ „კრებულში“ 1871 წელს.

აკაკის სიცოცხლეში ეს ლექსი ხუთჯერ გამოიცა და ხუთივე გამოცემაში ლექსს წამძღვარებული ჰქონდა: „ვუძღვნი ანა მუსხელიშვილისასა“.

ვინ იყო ეს ქალი, რომელსაც აკაკიმ მიუძღვნა პოეტის მაღალი დანიშნულების ამსახველი სტრიქონები?

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს.

რით დაიმსახურა ამ მანდილოსანმა ეს დიდი პატივი? რა სულიერ კავშირში იმყოფებოდა მასთან „წმინდა აზრისა და წმინდა გულის“ თაყვანისმცემელი პოეტი?

ანა მუსხელიშვილი, იგივე ანა ღოღობერიძე, არის დაი ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ღოღობერიძისა.

ქუთაისში ღოღობერიძეების ოჯახის ხშირი სტუმარი და ახლო მეგობარი იყო აკაკი. აქ გაიცნეს ერთმანეთი ჩვენმა მგოსანმა და ახალგაზრდა ქალმა, შემდგომ კი დაახლოვდნენ და დამეგობრდნენ. პოეტს ანა სწორედ ისეთ ქართველ ქალად მიაჩნდა, რომელიც გამოადგებოდა მამულს მომავალ ბრძოლაში, დასახული მიზნების მიღწევაში. ამიტომაც მიუძღვნა მას თავისი შესანიშნავი სტრიქონები.

ანა დაიბადა 1842 წელს ქუთაისში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში, დედის დახმარებით მიიღო. შემდეგ დაამთავრა წმინდა ნინოს ოთხკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ბავშვებს საფუძვლიან ცოდნას ვერ აძლევდა, მაგრამ ცოდნის დანაკლისის შევსება ანამ თვითგანვითარებით შეძლო. მისთვის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები საუკეთესო და განუყოფელი მეგობრები იყვნენ. სისტემატური კითხვით, ბეჯითი და ენერგიული მეცადინეობით ანამ შეძლო, სათანადოდ მომზადებულიყო.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ანა ღოღობერიძე ცოლად გაჰყვა პოლკოვნიკ მუსხელიშვილს და საცხოვრებლად ახალციხეში გადავიდა. გათხოვების შემდეგ იგი ჩვეულებრივ ერთფეროვან ცხოვრებას როდი აჰყოლია. მან გადაწყვიტა, ამ ჩამორჩენილ მხარეში დაეარსებინა ქალთა დაწყებითი სასწავლებელი, სადაც სწავლა უფასო იქნებოდა. ამ კეთილშობილურ განზრახვას მან გასული საუკუნის 70-იან წლებში შეასხა ხორცი და სკოლის შენახვის ხარჯებიც თვითონ იკისრა.

ახალციხეში ანა მუსხელიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა თანამედროვეთა უდიდეს პატივისცემას იწვევდა. ქალთა უფასო სასწავლებლის დასახმარებლად ეწყობოდა ლატარიები, ალეგროები, მხატვრული საღამოები, რომელთა შემოსავალი მთლიანად ეგზავნებოდა სასწავლებლის დირექციას.

1874 წლის ბოლო რიცხვებში ოჯახურმა პირობებმა ანა აიძულა დაეტოვებინა ახალციხის სკოლა და დროებით გადასახლებულიყო ქუთაისში. მან ქუთაისშიც ენერგიულად განაგრძო საზოგადოებრივი საქმიანობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ზრუნვა ღარიბ მოსწავლეთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის. ამის გამო ანასტასია თუმანიშვილი წერდა: „იმის სახლში კერავდნენ ყმაწვილებისათვის ტანისამოსს, მისივე თაოსნობით იმართებოდა საქველმოქმედო წარმოდგენები. ამ დროს დაარსდა ქუთაისში საქველმოქმედო საზოგადოება ეპისკოპოს გაბრიელის თაოსნობით, რომლის თავმჯდომარედ კიდევ ეს ქალი იყო ამორჩეული“.

1879 წლის 28 აპრილს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელმა თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა, ბანკის მოგებიდან გადადებულიყო საჭირო თანხა სათავადაზნაურო სკოლის დაარსებისათვის, რომლის მოწყობა და მართვა-გამგეობა ეთხოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. როგორც ამ საზოგადოების აქტიური წევრი, ანა ინიშნება მზრუნველობის თავმჯდომარედ და სკოლის მართვა-გამგეობის ერთ-ერთ წარმმართველად. სასწავლო წლის დასაწყისშივე ანა ღარიბი ბავშვებისათვის ითხოვს დახმარებას: „მოსწავლეთა ნაწილს დიდ დაბრკოლებას აძლევს ის უკიდურესი სიღარიბე, რომელიც მათ იძულებულს ხდის ხშირად გაუშვან სწავლა, დააკლონ გაკვეთილებს, რაც მათ სწავლაზე ხშირად ეტყობა. ცუდ მდგომარეობაში მყოფნი, ისინი ავად ხდებიან, ხშირად საჭიროებენ აუცილებელ სასმელ-საჭმელს და სასწავლო ნივთებს. ის 350 მანეთი, რომელიც მზრუნველების ხელში იყო ღარიბ მოსწავლეთათვის, მეათედ ნაწილსაც არ ერგო“.

ანა მუსხელიშვილს თვით უხდებოდა საკუთარი თანხის გაღება, რათა დახმარებოდა ღარიბ ქართველ ბავშვებს.

სიცოცხლის ბოლო ხუთი წელი ანამ ახალციხეში გაატარა. იგი აქ ავად გახდა, მაგრამ სულგრძელი და სათნო ქალი ავადმყოფობით გამოწვეულ ტკივილებს არავის უმხელდა.

1890 წლის მაისში ანა გარდაიცვალა თბილისში. მისი ცხედარი ქართველმა ხალხმა პატივით მიაბარა დიდუბის პანთეონს.



„ბიბლია" ის წიგნია, რომელიც ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს წაკითხული, მაგრამ ამავე დროს იგი რთული გასაგებია, მეტადრე ყმაწვილებს უჭირთ მისი გაგება. უთუოდ ამით ხელმძღვანელობდა დიდი იაკობ გოგებაშვილი, როცა „სალვთო წიგნის" იმგვარ ინტერპრეტაციას ჰკიდებდა ხელს, რომელიც სწორედ მოზარდი თაობისათვის იქნებოდა განკუთვნილი. და ესეც ჩვენი დიდი მასწავლებლის უსაჩინოესი ღვაწლია უცილობლად.

„ბიბლიური ისტორიები" ჰქვია ი. გოგებაშვილის მიერ ინტერპრეტირებულ „ბიბლიას", რომლის ბეჭდვასაც დღეიდან ვიწყებთ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.




ჩვენ ვიცით, რომ ყველა ადამიანი დედ-მამისაგან იბადება. აგრეთვე ვხედავთ, რომ ცხოველები ცხოველებისაგან ჩნდებიან, მცენარეები მცენარეებიდან მრავლდებიან. მაგრამ პირველი დედ-მამა როგორღა გაჩნდა? პირველი ცხოველები და მცენარეები როგორღა დაიბადნენ ქვეყანაზედ? ისინი შექმნა ღმერთმა. ღმერთი არის ყოვლის შემოქმედი, ყველაფრის დამბადებელი. მან გააჩინა ცა, მან შექმნა დედამიწა და მან დაბადა ყველაფერი, რასაც კი ქვეყნიერებაზედ ვხედავთ. თვითონ ღმერთი კი არავისგან არ შექმნილა და არავისგან არ დაბადებულა. იგი ყოველთვის იყო, არის და იქნება, ამიტომ ღმერთს ჩვენ ვუწოდებთ საუკუნო არსებასა.

კაცი როცა რაიმე ნივთს აკეთებს, მასალასა ხმარობს. ღმერთმა კი ქვეყანა არაფრისაგან შექმნა. კაცი საქმის დროს ჯაფასა სწევს, ხელებსა და ასოებს ამუშავებს. უფალმა კი მთელი ქვეყანა შექმნა მარტო სიტყვით, ბრძანებით. ამიტომ ღმერთს ვუწოდებთ ყოვლისშემძლებელსა.

უფალს შეეძლო ყველაფერი ერთს წამს გაეჩინა, მაგრამ სხვაფრივ ინება: ცისა და დედამიწის შექმნას ექვსი დღე მოანდომა.




თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცისა და დედამიწის მასალა. ეს მასალა არეული იყო ერთმანეთში და ამ ნარევზედ იწვა საშინელი სიბნელე. მაშინ უფალმა პირველ დღეს ბრძანა: „იქმნას ნათელი!" და იმწამსვე გამობრწყინდა ნათელი. ნათელი გაჰყო სიბნელისაგან, პირველს უწოდა დღე და მეორეს ღამე. მეორე დღეს უფალმა ბრძანა: გაჩნდეს ცა! და ერთს თვალის დახამხამებაში გაჩნდა ხილული ცა და გადაეკრა დედამიწას მოლურჯო გუმბათივით. მესამე დღეს — წყალი. ღვთის ბრძანებით წყალი გაიყო ხმელეთისაგან და შეგროვდა მდინარეებად და ზღვებად, ხოლო ხმელეთმა აღმოაცენა ბალახი, ხეხილი და ყველა მცენარე. მეოთხე დღეს უფალმა გააჩინა მნათობნი ცისანი, მზე, მთვარე და ვარსკვლავები. მეხუთე დღეს შექმნა თევზნი წყალში და ფრინველნი ჰაერში. მეექვსე დღეს უფალმა გააჩინა ნადირნი და ყველა ცხოველნი ხმელეთზედ მცხოვრებნი, და უკანასკნელად შექმნა ადამიანი.




ყველა სხვა ქმნილებანი ღმერთმა გააჩინა სიტყვით ანუ ბრძანებით. ადამიანის შექმნა კი სხვაფრივ ინება: ჯერ სთქვა: „შევქმნათ ადამიანი ხატად და სახედ ჩვენდა!"; მერე აიღო მიწა, გააკეთა კაცის სხეული და ჩაბერა მას უკვდავი სული. ასე დაიბადა ქვეყანაზედ პირველი კაცი, რომელსაც დაერქვა სახელად ადამი.

ადამმა დაათვალიერა ყველა ცხოველი და ვერ ჰპოვა მათ შორის თავისი მსგავსი, თავისი თანასწორი. მისთანა გონიერი და მეტყველი არ ერია ცხოველებში არც ერთი და ამიტომ ადამს არ შეეძლო თავისი აზრი ვისთვისმე განეზიარებინა, თავისი სიხარული სხვისთვის შეეტყობინებინა. მაშინ ადამმა მარტოობა იგრძნო. ღმერთმა რომ ეს შენიშნა, სთქვა: არ არის კარგი ადამის მარტოდ დარჩენა, გავუჩინოთ მას თანაშემწე, მეგობარი; მოჰგვარა ადამს ღრმა ძილი, გამოუღო გვერდიდან ნეკნი და შეუქმნა მეგობარი — ცოლი, რომელსაც დაარქვა ევა. მერე აკურთხა ორივე და უთხრა: აღორძინდით, გამრავლდით, აავსეთ ქვეყანა და უგალობდეთ მასზედა. დადგა მეშვიდე დღე და უფალმან განისვენა საქმისაგან.



სამოთხე
(დაბ. 2,8-17).

ადამ და ევას საცხოვრებლად ღმერთმა მოამზადა ერთი უმშვენიერესი ბაღი, რომელსაც ერქვა სამოთხე, შეიყვანა შიგ ისინი და დაასახლა. მთელი სამოთხე სავსე იყო მრავალგვარი ხეხილითა, საამური იყო მათი ცქერა, უფრო კიდევ სასიამოვნო იყო აქ ორი ხე, რომელიც იდგა შიგ შუა სამოთხეში. ერთს ერქვა ხე სიცოცხლისა, მეორეს ხე ცნობისა კეთილისა და ბოროტისა. პირველი ხის ნაყოფს იმისთანა ძალა ჰქონდა, რომ იმის მჭამელი სულ მუდამ ცოცხალი იქნებოდა და სიკვდილი მას ვერ მიეკარებოდა. მეორე ხეზე კი აი, რა უბრძანა უფალმა ადამსა: ნება გაქვს სჭამო სამოთხის ყველა ხეხილის ნაყოფი, მაგრამ ამ ხილის ჭამა კი შენთვის ამიკრძალნია. თუ ამ ჩემს ნებას შენ დაარღვევ და სჭამ აკრძალულ ხილსა, იმავ დღეს მოკვდები.

ნეტარი ცხოვრება ჰქონდათ ადამსა და ევას სამოთხეში. არაფერი არ აკლდათ, ავადმყოფობა იმათ არ იცოდნენ, დარდი იმათ არა ჰქონდათ და მუდამ სიხარულში იყვნენ, გონება მათი გართული იყო ახლად შექმნილი მშვენიერი ქვეყნის შესწავლით, გული მათი იყო სავსე ღვთის, ერთმანეთის და ყოველის ქმნილების სიყვარულით, სინიდისი ჰქონდათ წმინდა და უცოდველი. ღმერთს ისინი უყვარდა, როგორც თავისი შვილები და ღმერთსაც ისინი შეჰხაროდნენ, როგორც თავის კეთილ მამას. უფალი მალიმალ მიდიოდა მათთან სამოთხეში, უმართავდა საუბარსა და ასწავლიდა ყველაფერს, რასაც თავისი გონებით ვერა სწვდებოდნენ... მაგრამ, საუბედუროდ, ეს ნეტარება დიდხანს არ შერჩათ მათ და მერე სრულიად დაჰკარგეს.

### ეშმაკის შური

ადამ და ევას ჰყავდა ერთი დაუძინებელი მტერი. მას უნდოდა მოეკლო ისინი ნეტარი ცხოვრებისათვის და დაეღუპა საუკუნოდ. ეს მტერი იყო ეშმაკი. ვინ იყო ეშმაკი? საიდან გაჩნდა და როდის იყო შექმნილი?

ეშმაკი უწინ იყო ერთი ანგელოზთაგანი, რომელიც ღმერთმა ხილული ქვეყნის გაჩენამდე შექმნა. სხვა ანგელოზებსავით იგი იყო უსხეულო, უხილავი, გონიერი, თავისუფალი წმინდა სული და ემსახურებოდა თავის შემოქმედსა. მაგრამ შემდგომ გაამპარტავნდა, მოინდომა ღმერთთან თანასწორობა, აღარ ისურვა მისი დამორჩილება, ზოგი სხვა ანგელოზიც



მიიმხრო თავისაკენ და წინ აღუდგა უფალსა. ამისათვის უფალმა ის თავისი მომხრეებით დასწყევლა და ციდან ჩამოყარა უფსკრულში. შემდეგ ამისა ეშმაკი გახდა სული ბოროტი, რომელიც ღვთის ყველა ქმნილებას ემტერება; დაუძინებლივ ცდილობს, რომ ადამიანს ცუდი აზრები, ბოროტი განზრახვა ჩაუდოს გულში და მავნე საქმეები ჩაადენინოს.

ეშმაკს შურდა ადამ და ევას ნეტარება და ამიტომ მოინდომა მათი შეცდენა და გაუბედურება. თავისი განზრახვის ასასრულებლად იგი შეძვრა გველში და შევიდა სამოთხეში.



შეცოდება
ადამ და ევასი
(დაბ. 3, 1-7)

გველმა, რომელშიც ეშმაკი იყო, იპოვა სამოთხეში აკრძალული ხე და მის გვერდით ხეზე ავიდა. ერთხელ ევა სამოთხეში დასეირნობდა და როცა ამ ადგილს მიუახლოვდა, ეშმაკი, გველში მყოფი, მიცოცდა მას-



სოლომონ ბრძენი

თან და ტკბილის ხმით ჰკითხა: ღმერთმა თქვენ მართლა აგიკრძალათ სამოთხის ყველა ხილი? ევა კარგად ხედავდა, რომ მასთან უბრალო გველი არ ლაპარაკობდა, მაგრამ ყური მაინც არ მოარიდა და უპასუხა: არა, ჩვენ ყველა ხილის ჭამის ნება გვაქვს; მარტო ერთი ხის ნაყოფი, რომელიც შუა სამოთხეში დგას, აგვიკრძალა უფალმა და გვითხრა: რა დღესაც თქვენ იმ ხილსა სჭამთ, იმავე დღეს დაიხოცებითო. ტყუილია, — მტკიცედ უთხრა ეშმაკმა; ღმერთმა კარგად იცის, რომ იმ ხილის ჭამით არამც თუ მოკვდებით, არამედ, აგეხსნებათ თვალნი, შეიქნებით ღმერთებად და გეცოდინებათ ყველაფერი, კეთილიცა და ბოროტიც. საუბედუროდ, დაუჯერა ევამ ეშმაკს, გადუდგა ღვთის მცნებასა, მოსწყვიტა აკრძალული ხილი და ჭამა. მერე მიუტანა ადამსა და იმანაც ჭამა. შემცდარნი მალე მოვიდნენ გონზედ და იგრძნეს, რომ ღმერთს საშინლად აწყენინეს და შეიქნენ მის წინაშე ცოდვილნი. თვალნი მათ მართლა აეხილათ, მაგრამ კეთილისა და ბოროტის ცოდნის მაგიერ იმათ დაინახეს თავიანთი სიტიტვლე და ერთმანეთის შერცხვათ, მანამდისინ კი, თუმცა უტანისამოსონი იყვნენ, სიტიტვლეს არა გრძნობდნენ, არც სირცხვილი იცოდნენ, იმიტომ რომ იყვნენ უმანკონი, უცოდველნი და ნათლით შემოსილნი. სიტიტვლის დასაფარავად მათ დაგლიჯეს დიდი ფოთლები ლეღვისა, გადააბეს ერთმანეთზედ და ტანზედ აიფარეს.



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

## „ბაზალეთისა ტბის ძირას“

მაშინ პატარა ვიყავი. დედამ ექსკურსიაზე წამიყვანა თავის სადამრიგებლო კლასთან ერთად. ბაზალეთის ტბა უნდა გვენახა.

დილა-სისხამზე დავიძარით. ჩვენი აჟრიამულებული ავტობუსი მხიარულად დაადგა დუშეთის გზას.

გრძელი გზა იყო, მაგრამ საოცრად ლამაზი. ირგვლივ ჯეჯილი ხასხასებდა, აქა-იქ ლურჯკაბიანი ღიღილოები ყელყელაობდნენ. მომხიბლავად იღიმებოდნენ.

მე კი უკვე ბაზალეთის ტბაზე ვფიქრობდი. პატარა კი ვიყავი, მაგრამ ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“ უკვე ზეპირად ვიცოდი და ძალიან მიყვარდა. რაც მთავარია, დაარწმუნებული ვიყავი: მივალ ახლა ტბაზე, ერთს ჩავხედავ და იმ ოქროს აკვნის საიდუმლო თვალწინ გადამეხსნება-მეთქი...

ცოტაც და, ტბაც დავინახეთ... მშვიდი, დიდებული! ჩავიმუხლე მის ნაპირზე და დიდხანს მოლოდინით დავჩერებოდი...

უცებ მომეჩვენა, რომ იგი აიმღვრა, მოიქუფრა, აიქოჩრა, თითქოს გაბრაზდა, უცნაურად აიტალღა, გადაიხსნა და... მე ოქროს აკვანი დავინახე, ნამდვილი ოქროს აკვანი!

უბედნიერესი ვიყავი იმ წუთს. ბაზალეთის ტბამ ხომ მხოლოდ მე გამომარჩია და გამანდო თავისი საიდუმლო, დამანახა მის ფსკერზე ჩადგმული ოქროს აკვანი, აკვანი, რომელშიც ოქროსქოჩრიანი ყრმა იწვა, სამშობლოს გამოსახსნელად დაბადებული, ამირანივით ღლეობითა და საათობით რომ ეზრდებოდა და უვაკაცდებოდა ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას.

დარწმუნებული ვარ, 9 აპრილს მაშინ იგი იქ იყო, მოედანზე, თბილისში, და სანამ თვითონ დაეცემოდა შუბლგაჩეხილი, ათობით სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილის ჯურღმულს.

მერე კვლავ დაიბადა... დაიბადა და კვლავაც რეკს ჩემი სამშობლოს გამოღვიძების ზარებს, წინ მიუძღვის ჩვენი ერთგულების ფსკერზე ჩაძირული ოქროს აკვნებისაკენ, რომ თითოეულ ჩვენგანშიც სამშობლოს თავდადებული მცველი გამოაღვიძოს.

ციცინო ნოზაძე,
ხაშური, მე-8 საშუალო
სკოლა, VIII კლასი.



„ნაცარქექია“.
თათია პაპალაშვილი.
10 წლის.

### თამარს

...ილეწებოდნენ საუკუნენი
შავსა და წითელ სამოსში,
ინთქმებოდნენ მიუსაფარი დღენი,
ათას ჭირ-ვარამს გამოვლილი
და დაწყევლილი.
...დათოვლილ მთებზე ფეხშიშველი,
მზისა და მთვარის მშვენიერი ასული მოდის,
მოდის თამარი!..
მოდის და მოაქვს კელაპტრები დაუდნობელი.
განათებულა ძოწისფერად ქვეყნიერება,
ამღერებულან ვარსკვლავები წმინდა ნათებით...
...დროის სისხლიან ლიანდაგზე ილეწებოდნენ,
ილეწებოდნენ და ჰკიოდნენ საუკუნენი.
შენ მოდიოდი,
შენ მოდიოდი,
ქალღმერთო თამარ!
ჩვენკენ მოგქონდა
უკვდავების წამლით სავსე
თასი დიდრონი...

ნატო ალავიძე,
თბილისი, 112-ე
საშუალო სკოლა,
IX კლასი.



„ჩემი სახედარი“.
ირაკლი ჯანჯღავა, 7 წლის.
სოხუმი, IV საშ. სკოლა.

### ნატვრა

ღმერთო, ავის მქმნელს
ავი ზრახვები
შეაცვლევინე,
დედას ლამაზად
შვილის გაზრდა
შეაძლებინე,
დაღლილ,
მაშვრალ მგზავრს
კაკლის ჩრდილში
შეასვენინე,
მრუდ გზაზე
დამდგარს
კეთილ გზაზე
შეახვევინე....
მოყვრის დანახვა
ყოველ ქართველს
შეაძლებინე,
ეს ქვის კედელი,
ღმერთო, როგორმე
დაგვანგრევინე...
თავისუფალი
საქართველოსთვის
ერთხელ თვალი
შემავლებინე!..

ეკა კვიციანი.
მესტია, ბეჩოს საშუალო
სკოლა, X კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეული ხე

თამარის ციხესთან ერთი ხე დგას. დგას ცოტა მოშორებით, სალ კლდეზე, და მაინც ცოცხლობს და იზრდება. იბრძვის და იმარჯვებს. ვინ იცის, რამდენჯერ დასთოვებია თავზე, რამდენჯერ დასწვიმებია, მაგრამ დგას მაინც ამაყად და შეუვალად.

ვინ იცის, რამდენი ქარიშხალი გამოუვლია, რამდენჯერ უწამებია ბუნებას მისი სპეტაკი სული, მაგრამ იგი ისე ჩასჭიდებია კლდეს თავისი მძლავრი ფესვებით, რომ მკაცრმა ბუნებამაც კი ვერაფერი დააკლო. ის არავის აწუხებს, დგას ეულად. ხანდახან თუ მიაკითხავენ ფრინველები, უჭიკჭიკებენ ნაირგვარ სიმღერებს და გაფრინდებიან. კოდალა, თითქოს ვალის მოსახდელად, ერთი-ორჯერ ჩაუნისკარტებს თავის ბასრ ნისკარტს, მაგრამ ისიც მალევე გაშორდება ხეს. წავა და ხის გარშემო ისევ სიჩუმე დაისადგურებს.

ადამიანის ხელი მას ვერ მისწვდება, ვერ წაბილწავს. ვინ იცის, კიდევ რამდენი წყალი ჩაივლის, რამდენი ქარიშხალი გადაიქროლებს, კიდევ რამდენ ათეულ წელს გაუძლებს ხე.

ბარაქალა შენ, ეულო ხეო!

ალექსანდრე ჩახნაშვილი,
მაჩხაანის საშუალო
სკოლა, VI კლასი.

## ხვალ მე წავალ

გავეპარები ჩუმ ნაბიჯით პირველულ
სიზმრებს
და ზღვის ნაპირზე
შევჩერდები
ორიოდ წამით,
ნისლიან შორეთს შურით გავხედავ
და ხსოვნაში ჩავიმარხავ ტალღის
ფორიაქს.
ჰო, ხვალ მე წავალ,
ხმამაღლა ვიტყვი ამდენი ხნის
ნაკოწიწებ მტირალა ლექსებს
და აღელვებით დამუხტული
გავემგზავრები,
გავემგზავრები მუქ-ლურჯ ფერებით
გადატვირთულ მრუმე სივრცეში.
სიჩუმე კი თქვენთან დარჩება,
როგორც ჩემი მკრთალი აჩრდილი,
ჰო, ხვალ მე წავალ...

## თოვლი უდაბნოში

თეთრი თოვლი
ცხელ უდაბნოში,
როგორც ბუნების სასწაული
მოულოდნელი....
ყვითელი ქვიშა, შესუდრული
თოვლის სუდარით,
და შემცივნული სირაქლემები...
დამტვერილ თოვლში
მოაბიჯებს დაღლილი სპილო
მძიმე ხორთუმით,
ამღვრეული, ცივი თვალებით.
უდაბნო,
თოვლში ჩაძირული,
როგორც გემბანი
აბობოქრებულ, მცივანა ზღვაში...
თეთრი თოვლი უდაბნოში,
ქვიშიან თხემზე,
როგორც ბუნების სასწაული
მოულოდნელი...

ნანა აკობიძე,
ცაგერი, ისუნდრის სკოლა,
IX კლასი.

## უთქვენოდ...

მე ვერ ვიგრძენი
გაზაფხულის ძალის მოკრება,
ვერ შევამჩნიე ატმის ნაზი,
ლამაზი კვირტი.
ვერ შევიგრძენი
ვერც ლურჯ იის სურნელით თრობა,
ვერ შევეთვისე, ვერ ვიგრძენი,
ვერ დავუკვირდი,
ვერ ვხედავ ნათელს, ირგვლივ ბნელა,
ძალიან ბნელა,
რის გაზაფხული, რა გაზაფხული —
ვერაფერს ვამჩნევ,
უთქვენოდ მზეც კი ვერ ანათებს
ისე ძლიერად,
ბატონო მერაბ!

ნინო ჩართოლანი,
გორი, ქვახვრელის საშუალო
სკოლა, IX კლასი.




„მთიულეთი". ალ. კედელაშვილი,
სიღნაღი, ანაგის საშუალო სკოლა, II კლასი.



კოშკი და ეკლესია. დათო ფხიკიძე, 6 წლის.



მაყურებელს ხიბლავს ბორჯომის კულტსახლთან არსებული ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ნიბლიას“ (ხელმძღვანელი — თ. ხაჩიძე) კონცერტები

## სასაფლაოზე

ის ტიროდა, ტიროდა თავაულებლად. მისი თმა მიწას ნაზად ეხებოდა, თითქოს ეფერებოდა.

მოსთქვამდა სრულიად უცხოს საფლავზე, მისი სურათი რომ დროს შეეჭამა და ზედ სახელისა და გვარის ასოები მიეყოლებინა. მხოლოდ დაბადებისა და გარდაცვალების წლები დაეტოვებინა. მაგრამ მას არაფერი აინტერესებდა. ტიროდა.

ტიროდა თმაჩამოშლილი, მუხლებზე დაჩოქილი, იცოდა, ეს იყო მისი ვალი.

საფლავი ბალახს მოეცვა. ის იდგა წელამდე ბალახში და მოსთქვამდა. აქ არავის მოუყვანია. თავისით მოვიდა, დაიჩოქა, თმა ჩამოუშვა და ატირდა. მის მეტი არავინ ჰყავდა საფლავს. ისიც იდგა და უხმოდ, უსიტყვოდ ქვითინებდა.

უცხო საფლავზე ტიროდა ტირიფი...

ზურაბ კაზიშვილი,
თბილისი, 22-ე საშუალო სკოლა. X კლასი.

## მე დავბრუნდები

(ვუძღვნი ავლანელ ბიჭებს)

მე დავბრუნდები საქართველოსთვის
თქვენი ვაჟკაცი, მებრძოლი ბიჭი,
ჩამომშორდება ის წლები შფოთვის,
რის გახსენებაც მე ძლიერ მიჭირს.
მე დავბრუნდები, ვით მტრების
რისხვა,
ალალი გულით, ცოცხალი თავით,
მერე დავდგები სამშობლოს ბურჯად
მამა-პაპათა ნაქონი ხმალით.

ნიკოლოზ კვახაძე,
მცხეთა, ძეგვის საშუალო სკოლა, IX კლასი.

## მამულს

ამ სალოცავზე უძვირფასესი
სხვა სალოცავი თუ რამ ვიწამო,
შენი ტკივილით და სიხარულით,
თუ არ ვინაღვლო, თუ არ ვიხარო,
მამულო, შენთვის გამიზნულ ტყვიას
თუ განვერიდო, ზურგი ვაქციო,
წინაპართ სისხლით გაჟღენთილ მიწას
თუ ვუღალატო, თუ შეველიო,
წყეულმა ეშმამ თუ დამიმონოს
და მის ცდუნებას ოდესმე ავყვე,
ნუ შემიბრალებთ, წყეულიმც ვიყო,
დე, ყვავ-ყორნების საჯიჯგნი გავხდე!

მარიკა კვიციანი,
მესტია. სოფ. ბეჩო.



„ჩემი სოფლის კარმიდამო“.
ცირა ბოლქვაძე,
ხულო, თაგოს არასრული სკოლა. VII კლასი.
1988 წ.



„ლაშქრად წასვლა“.
ჯაბა ზურებიანი, 10 წლის.
მესტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პოლ მაკარტნი

„ცამეტი წლისა ვიქნებოდი, როცა მამამ საყვირი მიყიდა. მაშინ ეს ძალზე მოდურ საკრავად ითვლებოდა. საყვირზე დაკვრა ვისწავლე თუ არა, მივხვდი, რომ სიმღერაც მინდოდა, მაგრამ თუ საყვირს არ მივატოვებდი, ვერ ვიმღერებდი და არჩევანი გიტარაზე შევაჩერე. ჯერ ჩვეულებრივ გიტარაზე ვუკრავდი, მაგრამ რაღაც არ გამომდიოდა, ხელი რიტმს ვერ გრძნობდა, ვიღლებოდი. კარგა ხანს ვერაფერს ვხვდებოდი და აი, ერთხელაც ამერიკელი მუსიკოსის სლიმ უიტნის ფოტო ვნახე, მარცხენა ხელით უკრავდა! მაშინ მივხვდი, რაშიც იყო საქმე, მეც ხომ ცაცია ვარ! ავდექი და სხვა გიტარა შევუკვეთე, შებრუნებული...

15-16 წლის ვიყავი, როცა ჯონ ლენონი გავიცანი და ჩვენ დავიწყეთ სიმღერების ერთად წერა", — იგონებს პოლ მაკარტნი.

რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ... 48 წლის პოლ მაკარტნის ჭაღარა გამოერია, პაპაც გახდა, ის უწინდელი ხალისი და ენერგია კი ჯერაც არ დაშრეტია, არც მის სახელსა და დიდებას დაჰკლებია რამე. „ბითლზის", სახელგანთქმული ლივერპულელი ოთხეულის ერთ-ერთი წევრის პოპულარობა კვლავაც უდიდესია.

ბევრი, 30 სიმღერა დაწერეს პოლ მაკარტნიმ და ჯონ ლენონმა, ვიდრე მათი შემოქმედება აღიარებას მოიპოვებდა. გასაოცარმა ნიჭმა და დაუცხრომელმა შრომამ თავისი გაიტანეს და ოთხი ლივერპულელი ყმაწვილი ჯერ ადგილობრივი მასშტაბის ვარსკვლავებად, მერე კი მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის კერპებად იქცა...

მერეც, კვარტეტი „ბითლზი" ძირითადად პოლისა და ჯონის ნაწარმოებებს ასრულებდა. მათი ერთობლივი თხზულებების დიდი უმრავლესობა როკ-მუსიკის კლასიკაში შევიდა, ბრწყინვალეა მათ მიერ ცალ-ცალკე დაწერილი სიმღერებიც. მაკარტნის მთელი შემოქმედება, ადრეული სიმღერებით დაწყებული („გიყვარდე", „ზაფხულის დრო", „მხოლოდ იმიტომ", „გუშინ", „მიშელ" და მრავალი სხვა), და ბოლო დროს დაწერილებით დამთავრებული, დღესაც ჟანრის მშვენებად ითვლება.

ოცი წელი გავიდა „ბითლების" ოთხეულის დაშლის დღიდან, ფანატიკოსის ტყვიას შეეწირა ჯონ ლენონი, ცალ-ცალკე გამოდიან რინგო სტარი და ჯორჯ ჰარისონი, სხვა პარტნიორებთან ერთად გამოდის პოლ მაკარტნიც. რვა წელი ითანამშრომლა მან ფირმა „კოლამბიასთან", მერე კი კვლავ „კეპიტოლს" დაუბრუნდა. იგი კვლავაც უწინდელი გატაცებით მუშაობს, წერს, უკრავს, მღერის, უშვებს ფირფიტებს, ალბომებს, მის საყვარელ სიმღერებად კი კვლავაც რჩება „ბითლზის" პერიოდის „გუშინ" და „შენ იცი ჩემი სახელი, დახედე ტელეფონის ნომერს". ახალახან პოლ მაკარტნიმ ხელი მოაწერა კონტრაქტს ფირმა „მელოდიასთან": საბჭოთა კავშირში უნდა გამოვიდეს ექსკლუზიური ფირფიტა როკ-ნ-როლის კლასიკის 13 კომპოზიციით.

პოლ მაკარტნი თავის ოჯახთან ერთად სოფელში ცხოვრობს. პოლის მეუღლე ლინდა პროფესიით ფოტოგრაფია. მათი უფროსი ქალიშვილი ხევა ოცდაშვიდის, მომდევნო, მერი — 20, სტელა — 18, ვაჟიშვილი ჯეიმსი კი — 12 წლისაა. პოლი და ლინდა ვეგეტარიანელები არიან, ორივეს ძალიან უყვარს ბუნება.

„ბავშვობა ლივერპულის, ამ უზარმაზარი ინდუსტრიული ქალაქის გარეუბანში გავატარე. ეს სოფელი ადგილი იყო, თანაც ძალიან ლამაზი. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ჩიტების ყურება. მას შემდეგ კი, რაც „ბითლზს" წარმატება ხვდა, ჩვენ ქალაქის გიჟურ ცხოვრებაში ჩავებით. ერთი სასტუმროდან მეორეში გადავდიოდით, ვერც ვერსად გახვიდოდი და ვერც ვერსად გაისეირნებდი. მაგალითად, იაპონიაში რომ გამოვდიოდით, პოლიციის მანქანებით გადაგვყავდით და გადმოგვყავდით. ძალიან დიდი ხნით მოვწყდით ბუნებას. ლინდა რომ შევირთე, შოტლანდიაში ფერმის ყიდვა გადავწყვიტეთ"...

გარდა მუსიკისა, პოლი გატაცებულია ფერწერით, უყვარს თევზაობა, თუმცა ანკესზე წამოგებულ თევზს აუცილებლად უკანვე წყალში უშვებს.

ერთხელ, როცა მაკარტნის ჰკითხეს, რა აზრისა ხარ საკუთარ შემოქმედებაზეო, მან უპასუხა: „თუ ჩემმა სიმღერამ ერთ ადამიანს მაინც უშველა, მაშასადამე, მე ტყუილად არ მიცხოვრია".

# ზღაპარი პატარა ანგელოზზე

ლ. ანტარჯანამი
მხატვარი კარლო ფაჩულია

ტყის ანგელოზთა პლანეტაზე მუდამ გაზაფხული იყო. ხეებსა და ბუჩქებს უხვად ესხა გემრიელი ნაყოფი. ვაზები მწიფე წვნიანი მტევნებით დახუნძლულიყო. ტბებისა და ნაკადულების კრისტალივით სუფთა და კამკამა წყლებში მოცურავე დუმფარები და ლოტოსები ირგვლივ საამურ სურნელს აფრქვევდნენ. ერთთავად ინდური გუგულების, ბულბულების, შაშვებისა და სხვა ფრთოსნების გალობა-ჭიკჭიკი გაისმოდა. ყვავების, არწივებისა და ძერების ხსენებაც კი არ იყო ტყის ანგელოზთა პლანეტაზე. ბედნიერები იყვნენ ანგელოზები, ცეკვა-სიმღერაში ატარებდნენ დროს, თუ მოიღლებოდნენ, პირს თაფლითა და ხილით ჩაიტკბარუნებდნენ და ხეთა ჩრდილში წამოწვებოდნენ დასასვენებლად. როდესაც ცეკვა-თამაში მობეზრდებოდათ, დედამიწისაკენ მიფრინავდნენ. ხედავდნენ დედამიწაზე მცხოვრებთა ჩაგვრასა და გაჭირვებას და კიდევ უფრო მეტად აფასებდნენ თავიანთ პლანეტაზე გამეფებულ ბედნიერებას. ტყის ანგელოზები ცდილობდნენ, არასოდეს ეტირათ, ანდა რა ჰქონდათ სატირელი? — საკვებად ძალიან გემრიელი და ტკბილი ნაყოფი ჰქონდათ, წყურვილის მოსაკლავად — სუფთა, კამკამა წყალი, სათამაშოდ კი — უამრავი მეგობარი, ხოლო თუ იშვიათად ვინმე მაინც ატირდებოდა, ბუმბულები სცვივოდა.

ერთხელ რამდენიმე ანგელოზმა დედამიწაზე გადაწყვიტა გაფრენა. ამის შესახებ პატარა ცისფერთვალება, ლოყაწითელმა ანგელოზმა შეიტყო, რომელსაც, ის-ის იყო, ამოსვლოდა თეთრი, ღრუბლის ქულასავით ნაზი ფრთები, და მასაც მოუნდა უფროს ანგელოზებთან ერთად უცხო ქვეყანაში გაფრენა.

— მეც წამიყვანეთ, გეთაყვა, — სთხოვა მათ პატარა ანგელოზმა, — ამბობენ, იქ, სადაც თქვენ მიფრინავთ, არის მთები, მდინარეები, და ადამიანები. ფრთები უკვე მაქვს, მაგრამ ჯერ არსად ვყოფილვარ.

ანგელოზებმა გაიცინეს:

— ნეტავ, შენ სად გინდა გაფრენა? ჯერ დედაშენიც არ არის იმ ასაკისა, რომ დედამიწაზე გაფრინდეს, შენ ვერ გაუძლებ იქაური ჭირისა და უბედურების ყურებას, ატირდები და ფრთები დაგცვივა. ჩვენ კი არ გვსურს, ტყის პლანეტის ნაზი პირმშო საზიზღარ მატლ-ადამიანად იქცეს, ჭუჭყსა და მტვერში იხოხოს. ცოტაც მოითმინე, სულით და ხორცით მომაგრდი, ისწავლე, მშვიდად უყურო ბევრ რამეს და მერე ვნახოთ.

მაგრამ ბავშვები ყველგან ჯიუტები არიან — ტყის ანგელოზთა პლანეტაზეც კი. არც იქ ისვენებენ, სანამ თავისას არ გაიტანენ, და არც ცისფერთვალება, ლოყაწითელა პატარა ანგელოზი იყო გამონაკლისი.

— გემუდარებით, მეც წამიყვანეთ იმ პლანეტაზე, სადაც მთები, მდინარეები და ადამიანებია, მეც მინდა ვიცოდე, რა არის უბედურება და ცრემლი!

ბოლოს და ბოლოს ტყის ანგელოზებმა დაუთმეს პატარას, ოღონდ ფიცი ჩამოართვეს, რომ რაც უნდა ეხილა, არ იტირებდა და არ ჩამორჩებოდა ანგელოზთა გუნდს.

და მალე ანგელოზები წყნარი სიმღერით გაუდგნენ გზას. მიფრინავდნენ ფართოდ გაშლილი ფრთებით, ხალხს კი ეგონა, ცაზე თეთრი ღრუბლები მიცურავსო. რაც უფრო დაბლა ეშვებოდნენ ანგელოზები, მით უფრო სცილდებოდნენ თავიანთ პლანეტას. ჩაუფრინეს იაქშასა* და განდარვანთა** პლანეტას და მიუახლოვდნენ პლანეტას, სადაც იყო მთები, მდინარეები და ადამიანები. პატარა ანგელოზი ძალიან გახარებული ჩანდა, ეს ხომ მისი პირველი მოგზაურობა იყო. ის უკვე ხედავდა მწვანით შემოსილ მთებს, მდინარეებსა და ბობოქარ ოკეანეს და აღფრთოვანებული ამბობდა:

— რა მშვენიერებაა! თქვენ კი უბედურებისა და ცრემლის საუფლოს ეძახით!

დიდ ანგელოზებს გაეცინათ პატარას გულუბრყვილობაზე და უპასუხეს:

— ცოტაც მოითმინე და მერე ვნახოთ, რას იტყვი!

კიდევ დიდხანს იფრინეს ღრუბელთა შორის, მარადთოვლიან მწვერვალებს ჩაუფრინეს, მიწას მიუახლოვდნენ. საღამო ხანი იყო და ელნათურები პატარა ვარსკვლავებივით კიაფობდნენ. გამოჩნდა მაღალი სახლების გრძელი მწკრივები, მათ შორის კი, როგორც ჭიანჭველები თავიანთ ბუდეში, ისე ფუსფუსებდნენ და მიმოდიოდნენ ადამიანები. ისეთი ხმაური იდგა, როგორც ფუტკრის სკაში.

უფროსმა ანგელოზებმა უთხრეს პატარას:

— აი, ისიც, ადამიანთა სამყარო.

---

* იაქშა — ჯადოქარი.

** განდარვანი — ციური მუსიკოსი.

რომლის ნახვასაც ასე ეშურებოდი. ადამიანებს აქვთ ყველაფერი: მაღალი სახლები, მანქანები, თვითმფრინავები. მხოლოდ ერთი რამ აკლიათ — ერთმანეთის სიყვარული, და განა უსიყვარულოდ შეიძლება ბედნიერი იყო?

პატარა ანგელოზი ყველაფერს აკვირდებოდა. აქამდე მას არასოდეს ენახა სახლები. ტყის ანგელოზთა პლანეტაზე სახლები არ არის. სამაგიეროდ, არის სიყვარული. უკვირდა პატარას, განა რა ქვეყანაა ისეთი, სიყვარული რომ არ არსებობსო.

ერთი უზარმაზარი შენობიდან, რომელიც დიდ მოედანზე იდგა, მუსიკისა და სიმღერის ხმა მოისმოდა. შენობა უამრავი ნათურით იყო გაკაშკაშებული. გარშემო ამწვანებული ხეები და ბუჩქები, ნაზად მობიბინე ყვავილთა მწკრივები ეკრა. შენობიდან უდარდელი სიცილი და მხიარული საუბარი ისმოდა. პატარა ანგელოზს ეჭვი შეეპარა უფროსების ნათქვამში: როგორ შეიძლება უბედურება იყოს იმ პლანეტაზე, სადაც ამდენი ლამაზი ყვავილია და სადაც ასე იცინიან და მღერიან?

მაგრამ უცებ მის თვალწინ სულ სხვა სურათი გადაიშალა: იმ დიდი სახლის სიახლოვეს, საიდანაც სიმღერა და სიცილი მოისმოდა, იყო სასაკლაო. ცხვრები, რომლებსაც ისეთი თეთრი და ფაფუკი მატყლი ჰქონდათ, როგორც ღრუბლის ქულები, ძროხები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ხალხს რძეს აძლევდნენ, მამლები, რომლებიც ყოველ დილით ყივილით ამცნობდნენ ქვეყანას გათენებას — ყველა დასაკლავად მოეყვანათ სასაკლაოზე. ადამიანებს ხორცი უნდათ, მათ უხორცოდ არ შეუძლიათ! გარშემო ამდენი ხე და ბუჩქია, რომლებსაც ტკბილი და გემრიელი ნაყოფი ასხია, ამდენი ყანა და ბოსტანია, მაგრამ შიმშილის დასაცხრობად მათ აუცილებლად ცხოველთა ხორცი უნდათ! პატარა ანგელოზმა ველარ გაუძლო ამ სანახაობას და უფროსებს შეეხვეწა:

— მოდით, კიდევ სადმე გავფრინდეთ, აქაურობას გავეცალოთ.

უფროსმა ანგელოზებმა სიცილი დააყარეს:

— ჩვენ ხომ გაგაფრთხილეთ, პატარავ... აი, ეს არის დედამიწა.

და ანგელოზებმა ფრენა განაგრძეს. გადაუფრინეს ქვეყანას, სადაც ცხოვრობენ შავკანიანი ადამიანები; გადაუფრინეს აგრეთვე ქვეყანას, სადაც ცხოვრობენ თეთრკანიანი ადამიანები; იხილეს ქვეყანა, სადაც მზე ყველაფერს წვავს; იხილეს ის ქვეყანაც, სადაც არემარე თოვლითა და ყინულით არის დაფარული და სადაც აუტანლად ცივა. პატარა ანგელოზი ყველაფერს გაოცებული უცქეროდა.

აი, მაღალ, განათებულ შენობაში თავი მოუყრიათ წარჩინებულ ადამიანებს, საუბრობენ ომსა და მშვიდობაზე და თან ერთმანეთს აშინებენ იარაღით, რომელსაც შეუძლია, ერთ წუთში გაანადგუროს ყოველივე სულიერი დედამიწაზე. შემდეგ ანგელოზებმა გადაუფრინეს ქვეყანას, სადაც ომი მძვინვარებდა. ჩვენს პატარა ანგელოზს აქამდე ომის შესახებ



არაფერი სმენოდა. საერთოდ, ანგელოზთა პლანეტაზე ომის ხსენებაც არ იყო. ახლა კი მათ ომის საშინელი სურათი გადაეშალათ თვალწინ: ადამიანთა ერთი ნაწილი ტყვიებით და ხიშტებით ხოცავდა სხვა ადამიანებს, ზუსტად ისეთივეებს, როგორებიც თვითონ იყვნენ. მიწა მოირწყო სისხლით. ყველაფერი კვამლის შავ ღრუბელში გაეხვია, უცებ საშინელი გრუხუნით ჩაიქროლეს ფოლადისფრთიანმა თვითმფრინავებმა. ანგელოზებს თეთრი ღრუბლის ქულებივით ქათქათა ფრთები ჰქონდათ და სადაც უნდა გაფრენილიყვნენ, არასოდეს არავისათვის ზიანი არ მიუყენებიათ. ეს გრუხუნა ურჩხულები კი, რასაც გადაუფრენდნენ, გადამწვარსა და გადაბუგულს ტოვებდნენ. პატარა ანგელოზს თვალები ცრემლით აევსო, მაგრამ არ უტირია, თავი შეიკავა.

— ეს ხალხი გაგიჟდა? — იკითხა მან, — რისი გულისთვის ხოცავენ ერთმანეთს? რა არ ჰყოფნით? თითქოს ყველაფერი აქვთ დედამიწაზე: ხეები, ბუჩქები, რომლებიც ტკბილ, გემრიელ ნაყოფს იძლევა, უხვწყლიანი მდინარეები, მთები, მოყვარული დედები, ბავშვები...

— სულელო, დედამიწაზე ფასი არაფერსა აქვს, — უპასუხეს უფროსმა ანგელოზებმა, — არც ნაყოფს, არც ხილს, არც სიმღერას, არც დედობას და არც ბავშვობას. იქ კაცი კაცს გროშადაც არ აფასებს. დედამიწა დაყოფილია ცალკეულ სახელმწიფოებად, რელიგიებად, კასტებად და პოლიტიკურ ორგანიზაციებად. ასეთ გარემოებაში საკმარისია, რომელიმე მმართველმა ბრძანოს, ერთმანეთი ხოცეთო, ადამიანები დაუფიქრებლად იწყებენ ერთმანეთის ხოცვას.

პატარა ანგელოზს ძალიან შეებრალა ადამიანები, რომ შეძლებოდა, დაეშვებოდა დედამიწაზე და ამ უგუნურ ხალხს მოუწოდებდა: „შეჩერდით, დაფიქრდით! ნუ შებილწავთ ამ მშვენიერ ქვეყანას სისხლითა და შავი კვამლით! ისწავლეთ ერთმანეთის სიყვარული, რადგან სიყვარულის გარეშე არ არსებობს ბედნიერება!"

მაგრამ მას არ შეეძლო ამის გაკეთება.

და ანგელოზებმა განაგრძეს ფრენა. დაინახეს ლამაზად მობიბინე პურის ყანები, ყვავილთა სურნელოვანი ბაღები, მათ გვერდით კი — მშიერ-ტიტველი ხალხი. მშობლებსა და შვილებს ერთმანეთი დავიწყნოდათ. ბედნიერება და სულიერი სიმშვიდე ეწადათ, მაგრამ ვერსად ეპოვათ. ცოდვების ეშინოდათ, ხშირად კი სცოდავდნენ, ერთმანეთს აუტანელ ტკივილს აყენებდნენ. პატარა ანგელოზს გული ეტკინა. ტყის ანგელოზთა პლანეტაზე ხომ მუდამ სიყვარული და ბედნიერებაა! რა იქნება, რომ ადგეს და წაიყვანოს ადამიანები იქ?

— იმისთვის, რომ მათ იქ ყველაფერი გააფუჭონ? — აღშფოთდნენ უფროსი ანგელოზები.

დადგა უკან დაბრუნების ჟამი. გზად რაღაც სოფელს გადაუფრინეს. საამურ სურნელს აფრქვევდნენ ირგვლივ ნაირფერი ყვავილები. ფრთახატულა პეპლები ყვავილიდან ყვავილზე დაფარფატებდნენ, ჩიტები გალობდნენ და ბავშვებიც ყვავილებივით მოღიმარნი და პეპლებივით უდარდელნი იყვნენ. როგორც იქნა, ანგელოზებმა იხილეს თვალის გასახარი სურათი და პატარა ანგელოზს გული დასწყდა, დაენანა დედამიწასთან განშორება, თუმცა იქ ბევრი ცრემლი და ბოროტება იხილა. რა გასაკვირი იყო, დედამიწას ხომ მიზიდულობის ძალა აქვს, ყველას იზიდავს, ვინც კი მიუახლოვდება, მაგრამ დაბრუნების დრო იყო და პატარა ანგელოზმა, თითქოს ემშვიდობებაო დედამიწას, ერთხელაც მიმოავლო მას მზერა, და უცებ მთვარის ნაზ შუქზე პატარა სახლი შენიშნა, რომლის ზღურბლზეც ქალი ჩამომჯდარიყო და ქვითინებდა. რადგან ანგელოზებს სხვათა აზრების გამოცნობის უნარი შესწევთ, უმალ მიხვდნენ, რომ ეს ქალი ქვრივი იყო და რვა შვილი ჰყავდა, ოთხი ვაჟი ომში დაღუპვოდა, ორი კი ხელისუფალთ დაეხვრიტათ, რადგან ბრძოლაზე უარი უთქვამთ; მეშვიდე ომის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის დაეპატიმრებინათ, ხოლო მერვე, უმცროსი ვაჟი, შიმშილისა და მძიმე შრომისაგან მოურჩენელ სენს შეეპყრო და გუშინ გარდაცვლილიყო. მოხუცი სულ მარტო დარჩენილიყო. აქამდე ღონე მაინც ერჩოდა, ახლა კი ძალა სულ გამოლეოდა, ნუგეშს არავინ სცემდა, იჯდა და ქვითინებდა. მას შვილები წაართვეს და საყვარელი ადამიანებიდან აღარავინ დარჩენოდა, მაგრამ მის თვალებში მაინც მოსჩანდა სიყვარულის დაუცხრომელი წყურვილი.



პატარა ცისფერთვალება, ვარდისფერლოყება ანგელოზმა, რომელსაც ღრუბლის ქულებივით თეთრი და ნაზი ფრთები ჰქონდა, ვეღარ აიტანა ამდენი, ძალიან მოუნდა, მისულიყო და მოხვეოდა ამ ტანჯულ ქალს, დაემშვიდებინა, ენუგეშებინა საბრალო დედა. უნებლიეთ ცრემლები წამოუვიდა, უცებ ფრთები დასცვივდა და თითქოს მოწყვეტილი ვარსკვლავიაო, ძირს დაეშვა, დედის გვერდით.

მას შემდეგ ტყის პლანეტის ანგელოზთაგან დედამიწაზე აღარავინ მოფრენილა. მაგრამ თქვენ ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ მწუხარებისაგან ატირებულ დედას ან ტკივილებით შეწუხებულ ბავშვს ხანდახან ცრემლნარევი ღიმილი გადაურბენს ხოლმე სახეზე.

ამბობენ, რომ ის ფრთებდაცვენილი ცისფერთვალება, ლოყაწითელი პატარა ანგელოზი ახლაც დადის დედამიწაზე და ამშვიდებს ყველას, ვისაც უჭირს.

იქნებ რომელიმე თქვენგანს დაუნახავს იგი?

თარგმნა ნინო წერეთელმა

დენიზა გოზალიშვილი

# სპელეოლოგია და სპელეოტურიზმი

სპელეოლოგია — გამოქვაბულებისა და მღვიმეების შესწავლა ჩვენში ჯერ კიდევ ორმოციან წლებში დაიწყო, პირველი სპელეოლოგიური კომისია საქართველოს ალპურ კლუბთან შეიქმნა გამოჩენილი გეოგრაფის, ლევან მარუაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. მას ეკუთვნის აბრსკილისა და მოგვიანებით — სხვა მღვიმეების კვლევა. პირველად ლ. მარუაშვილმა იწინასწარმეტყველა დასავლეთ საქართველოში, გაგრის კირქვულ მასივში ღრმა კარსტული უფსკრულების არსებობა. მისი განმარტებით, „მღვიმე ეწოდება დედამიწის ქერქში არსებულ სიღრუეს, ანუ რელიეფის შეზნექილ ფორმას, რომელიც გამოვსებულია ჰაერით ან წყლით, და შემოფარგლულია რა უმთავრესად ქანით, უკავშირდება (ერთი ან რამდენიმე შესასვლელით) ატმოსფეროს ან ჰიდროსფეროს".

სპელეოლოგიას კავშირი აქვს არქეოლოგიასთან. ბევრი აქრეოლოგიური აღმოჩენა, კერძოდ პალეოლითში (ქვის ხანაში), მღვიმეებთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა და განვითარდა სპელეოტურიზმი.

თუ მთამსვლელები მწვერვალებისაკენ მიილტვიან, სპელეოლოგები მათ საპირისპიროდ, ქვესკნელში ჩადიან ხოლმე; ისევე, როგორც მთამსვლელებს, მათ სპეციალური საჭურვლისა და ტექნიკის გამოყენება სჭირდებათ, მზად უნდა იყვნენ ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად. მაგრამ ამ სიძნელეებს ანაზღაურებს ის ფანტასტიკური სურათი, რომელიც იქ ხვდებათ: დიდი დარბაზები, ზემოდან დაშვებული თეთრი ან ყანგისფერი ლოლუები — საუკუნეების განმავლობაში წარმოქმნილი კირქვოვანი ნაყონი — სტალაქტიტი; მისი წვეთები ქმნის ნაღვენთს, რომელიც ქვევიდან ზევითკენ იზრდება. ეს სტალაგმიტია... ერთმანეთთან შერწყმის შემდეგ ისინი ქმნიან უჩვეულო ფორმის სვეტებს — სტალაგნატს. მართლაც ზღაპრული სანახაობაა მღვიმე-დარბაზებში: სხვადასხვა ფორმის კირქვის „ყვავილები", ბრჭყვიალა „მარგალიტები", ხელოვნურ სინათლეზე გუმბათქვეშ ათასფრად ციმციმებს კამკამა უძირო ტბები, მდინარეები, ჩანჩქერები, გაუვალი ლაბირინთები. ეს მიწისქვეშეთის ჯადოსნური სამყაროა, რომელიც ჩვენმა სპელეოლოგებმა ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადეს.

1961 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფესორ ზურაბ ტინტილოზოვის მეთაურობით გამოიკვლია ახალი ათონის მღვიმე. დღეისათვის იგი მოწყობილია ევროპული სტანდარტების მიხედვით. მღვიმეებში ჩასვლა შეიძლება სპეციალური ტრანსპორტით. ყოველ მღვიმე-დარბაზს თავისი სახელი აქვს და ელექტრიფიცირებულია. ასევე, მნახველებისთვის ხელმისაწვდომია წყალტუბოს რაიონში არსებული სათაფლიის მღვიმე, რომლის მახლობლად მილიონობით წლის წინათ მცხოვრები ძუძუმწოვარა გიგანტების — დინოზავრების ნაკვალევებია.


სტალაქტიტი


სტალაგმიტი

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტთან მუშაობს კარსტოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი გეოგრაფი შალვა ყიფიანი.

ამჟამად საქართველოში შექმნილია ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოება. მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში მოეწყო შეხვედრა ამ საზოგადოების პრეზიდენტთან ცნობილ სპელეოლოგ თამაზ კიკნაძესთან, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორ ზურაბ ტინტილოზოვთან, სწავლულ მდივანთან, სპელეოლოგ კიაზო რაქვიაშვილთან, საინტერესო საუბარს უძღვებოდა დოცენტი შალვა ყიფიანი. მოსწავლეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს უპასუხა და წყალტუბოს ახალაღმოჩენილ მიწისქვეშა მღვიმეებზე, მათ გამოყენებასა და ხალხის სამსახურში ჩაყენებაზე ილაპარაკა ჯუმბერ ჯიშკარიანმა...

სასახლეში ბავშვებს უჩვენეს ზ. ტინტილოზოვისა და თ. კიკნაძის ფილმები. ეს ფილმები რამდენჯერმე იყო დაჯილდოებული როგორც საბჭოთა, ასევე უცხოელ სპელეოლოგთა შეკრებებზე.

დღეისათვის ქართველი სპელეოლოგები და სპელეოტურისტები მსოფლიოში კარგად არიან ცნობილნი, ისინი მიწვეული იყვნენ საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის და სხვა ქვეყნების სპელეოლოგებთან. მათ მოაწყეს ერთობლივი ჩასვლები როგორც ამ ქვეყნების, ასევე ჩვენს მღვიმეებში. არის ყველა მონაცემი, ვირწმუნოთ, რომ უახლოეს ხანში ქართველი სპელეოლოგები სიღრმეში ჩასვლის რეკორდს დაამყარებენ.



# ჩვენი სამზარეულო

განყოფილება მიჰყავს
**ნ. ავალიანს**

ჟურნალის მრავალრიცხოვანი მკითხველების, კერძოდ, გოგონების თხოვნით ვიწყებთ ახალ განყოფილებას, რომელშიც შეძლებისდაგვარად სისტემატურად შემოგთავაზებთ ქართველი და სხვა ხალხების ეროვნული კერძების, ნამცხვრისა და ტკბილეულის რეცეპტებს, რჩევებს, რომლებიც დიასახლისობაში ძალიან წაგადგებათ.

სტუმრის მიღება, მისი ღირსეული პატივისცემა უხსოვარი დროიდან დევს ქართველი კაცის ბუნებაში. საქართველო განთქმულია თავისი ისტორიის, კულტურის, არქიტექტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლებით, მაგრამ იგი არანაკლებ არის ცნობილი თავისი მაღალი სამზარეულო კულტურითაც — იშვიათი გემოვნებით მომზადებული კერძებით, ღვინოებითა და ყურძნის წვენისაგან დამზადებული ნაირგვარი ნაწარმით.

ჩვენ შევეცდებით, ცოტა რამ მაინც მოგითხროთ ზოგიერთი მათგანის შესახებ, მოგაწოდოთ გემრიელი ნამცხვრებისა და ტკბილეული დესერტების მომზადების წესები. თქვენი აქტიურობის იმედიც გვაქვს: კარგი იქნება, თუ თქვენი შემოთავაზებული რეცეპტებით ან რაიმე პრაქტიკული წინადადებებითაც გაგვახარებთ.

### როგორ გავაწყოთ სადღესასწაულო სუფრა

წარმოიდგინეთ, რომ დღეს სტუმრებს ელით! დედას კი, ბუნებრივია, ილზე ბევრი საქმე აქვს და თქვენზე უკეთესი დამხმარე არც ეგულება. ნუ დაუცდით დედის თხოვნას — თვითონ შესთავაზეთ დახმარება სუფრის გაწყობაში.

სუფრის გაწყობის წესი ასეთია: თუ სადღესასწაულო სადილს ან ვახშამს ვმართავთ, სასურველია, მაგიდას თეთრი სადღესასწაულო სუფრა გადავაფაროთ, ხოლო სტუმრებს თუ მხოლოდ ჩაიზე ან ყავაზე ვეპატიჟებით, ფერადი სუფრა გვიჯობს. ისეც ხდება ხოლმე, რომ დიასახლისს უჭირს შესაფერისი სადღესასწაულო სუფრის შერჩევა, ასეთ დროს სუფრას წარმატებით ცვლის ნაჭრის მრგვალი ან ოთხკუთხედი ხელსახოცები, რომლებზეც სტუმრებისათვის განკუთვნილ ჭურჭელს სათითაოდ დავალაგებთ.

სუფრის გაწყობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ რამდენი კაცი გვყავს სადილად მოწვეული და თითოეული სტუმრისათვის დავაწყოთ თითო თეფში, ზედ დადებული ისეთივე ფორმისა და ფერის მომცრო თეფშითურთ. თეფშის მარჯვენა მხარეს თეფშისკენ მიქცეული მჭრელი პირით მოთავსდება დანა. თეფშის მარცხენა მხარეს კი — ჩანგალი, რომელიც კბილებით მაგიდაზე უნდა დავამხოთ. თუ სუფრაზე წვნიანის მოტანასაც ვაპირებთ, დანების მარჯვნივ თითოეული სტუმრისთვის სუფრის კოვზებიც უნდა დავაწყოთ, ოღონდ იმგვარად, რომ ისინი, ჩანგლებივით, პირქვე იყოს დამხობილი. იმ შემთხვევაში, თუ დესერტი არ გვაქვს, კოვზებს თეფშების წინ დავდებთ. თეფში დესერტისთვის (ან პურისა და ხაჭაპურისთვის) თავსდება ძირითადი თეფშის მარცხენა მხარეს, მეორე მხარეს, ძირითადი თეფშის მარჯვენა კუთხეში, იწყობა ჭიქები. ღვინის, ანუ ძირითადი სასმელის, ბოკალი თავსდება თეფშიდან მარჯვენა მხარეს; კიდეში მას მარცხნიდან უნდა მივუდგათ ჭიქა შედარებით რბილი სასმელისათვის.



აქვე გვინდა საგანგებოდ დავაზუსტოთ რამდენიმე დეტალიც: სუფრაზე დადგმული კერძების გადმოსაღებად მათთან ერთად სუფრაზე უნდა მივიტანოთ საგანგებო ჩანგლებიცა და კოვზებიც.

თუ სუფრა სავახშმოა და მხოლოდ ცივი კერძებისაგან შედგება, შეიძლება, კერძები ერთდროულად დავაწყოთ სუფრაზე. დესერტის მიტანის წინ მაგიდა შეძლებისდაგვარად უნდა გავათავისუფლოთ ზედმეტი კერძებისა და ჭურჭლისაგან.

უნდა დავიმახსოვროთ ერთიც: წვნიანი, ამასთან, ჩაი და ყავა სუფრაზე უნდა მივიტანოთ სტუმრისგან მარცხენა მხრიდან. სხვა კერძები (როგორც ცხელი, ასევე — თევზეული, ბოსტნეული, ხაჭაპური, ნამცხვარი) მივიტანოთ სტუმრისგან მარჯვენა მხრიდან, ამავე მხრიდან უნდა ავალაგოთ სუფრიდან ნახმარი ჭურჭელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჯანჯების გამომცემი მიდა

ხალხურ ინსტრუმენტებში რეზონატორად გამომშრალი გოგრები, ბამბუკები და სხვადასხვა საგნები გამოიყენება. მაგრამ ყველაზე ორიგინალურ რეზონატორად ითვლება უგანდის ტომებში პოპულარული „მიწის ციტრა". ეს ჩვეულებრივი ორმო დაფარულია სიმებგადაჭიმული თხელი სახურავით.

### ჰაერზე მსუბუქი ძანდაკება

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საჰაერო ბურთს მხოლოდ ბურთის ფორმა ჰქონდა. ახლა ყველანაირი ფორმისა და ზომის აეროსტატებსა და მონგოლფიერებს (ცხელი ჰაერით ავსებულ ბურთებს) ამზადებენ. ასეთი „ბურთი" აუშვეს ამას წინათ თურქეთში. მისი სიმაღლე 61 მეტრია (დაახლოებით ოცსართულიანი სახლის ტოლა). ეს არის გამოსახულება XVII საუკუნის თურქეთის სულთნის, სულეიმან ბრწყინვალისა, რომლის მმართველობისას ოსმალთა იმპერიის სიძლიერემ მწვერვალს მიაღწია.

### მდოგვი კოღოების წინააღმდეგ

მალარია ისევ მრავალ სიცოცხლეს იწირავს. კარგა ხანია მისი მკურნალობისა და პროფილაქტიკის ეფექტური მეთოდები შეიმუშავეს, მაგრამ შედეგი მაინც არასაიმედოა — მალარიის კოღოები არ ისპობა.

მიმართეს ბიოლოგიურ ხერხსაც: კოღოების თავშეყრის ადგილას უშვებენ ღამურებს: თითოეული ღამურა საათში 700 კოღოს შთანთქავს. საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა კოღოების გამრავლების ადგილებში მდოგვის თესლის გაფრქვევა — იგი მწებარეა, კოღოების მატლებს პირს უწებავს და ისინი შიმშილით იხოცებიან.



### იხვი... მკითხველი

ამერიკის დრეიკის უნივერსიტეტში ჩატარებული ექსპერიმენტის გმირმა იხვმა ლანსმა იცის კითხვა. იგი არჩევს სიტყვებს: აკენკე, შეჩერდი, იმღერე, ბურთი.

დოქტორი კენეტი ლოიდი ამბობს, რომ იხვებს არაჩვეულებრივი მხედველობა აქვთ.

## საინტერესო სიახლეები

### მაგნიტური მატარებელი

დასავლეთ ბერლინში გამოსცადეს მსოფლიოში პირველი საქალაქო მატარებელი, რომელიც მაგნიტურ „ბალიშზე" მოძრაობს. იგი 180 მგზავრს იტევს და 10 წუთის ინტერვალით დადის. მატარებელი უბორბლებოა, მისრიალებს მიმმართველებზე, რომლებიც 1,5 მეტრი სიმაღლის ბოძებზეა გადებული. ვაგონის ძირსა და მიმმართველს შორის სანტიმეტრ-ნახევრის სიჩქის ღრიჭოა. მატარებელს მემანქანე არა ჰყავს. მის მოძრაობას ტელეკამერით ემსახურება ორი კაცი. ასეთი მატარებლის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი არ აბინძურებს გარემოს.

### ავტომატიზებული გარაჟი

ერთმა ფრანგულმა ფირმამ დააპროექტა ავტომატიზებული გარაჟი. იგი რვასართულიანია, არც კიბეები აქვს და არც პანდუსები. მანქანები ლიფტით აჰქვთ და ჩამოაქვთ. ასეთი კონსტრუქცია საშუალებას იძლევა, მნიშვნელოვნად დაიზოგოს შენობისათვის საჭირო მიწის ფართობი.

### მზით განათებული გვირაბი

როცა შვეიცარიელმა ინჟინრებმა ერთ-ერთი საავტომობილო გვირაბი გაიყვანეს და მის ვახანათებლად საჭირო კაბელის მონტაჟი და ელექტროენერგიის ხარჯი გაიანგარიშეს, აღმოჩნდა, რომ ყოველივე ეს ძალზე ძვირი ჯდებოდა. მაშინ ინჟინრები სხვა გზას დაადგნენ. ახლომდებარე მთის ფერდობზე მათ განალაგეს 812 ცალი 86 ფოტოელემენტიანი მზის ბატარეა. ამ სისტემის გამოსავალში დადგმულია ბუფერული აკუმულატორები, რომლებიც უზრუნველყოფენ გვირაბის განათებას ღამითაც და ღრუბლიან ამინდშიაც.

### ავტომატიკა მუზეუმის დარბაზებში

ლუვრის ბოლოდროინდელი რეკონსტრუქციის დროს მუზეუმი აღჭურვეს მრავალრიცხოვანი ხელსაწყოებით, რომლებიც დარბაზებში ქმნიან აუცილებელ კლიმატს, რაც ექსპონატების უკეთ შენახვისთვისაა აუცილებელი. ავტომატიკა „თვალს ადევნებს" ტემპერატურას, ტენიანობას, განათებას, ვენტილაციას, სახანძრო უსაფრთხოებას, გარდა ამისა, რეაგირებს ექსპონატზე თითის მიკარებისასაც კი. მთელი ინფორმაცია თავს იყრის ორ ცენტრალურ კომპიუტერში, რომლებიც თვალის დახამხამებაში რეაგირებენ ნებისმიერ დარღვევაზე.

### უხიფათო მაღარო

თუ მაღაროში მეთანია, დღეს-ხვალ აფეთქებას უნდა ელოდო. ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიგონეს გადამწოდი, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს მეთანის არსებობა ნორმალური ტემპერატურის პირობებში. გადამწოდს აბის ფორმა აქვს და განსაკუთრებული სითხითაა ავსებული. მეთანის არსებობისას სითხეში იწყება ელექტროქიმიური რეაქცია, წარმოიქმნება ელექტროდენი და გაისმის გამაფრთხილებელი სიგნალი.

### ორიგინალური მოპედი

ავსტრიელმა პენსიონერმა მარტინ შვაბმა, ყოფილმა ზეინკალმა, ააგო ორთქლისძრავიანი მოპედი. ქვაბი შეშით ან ქვანახშირით ხურდება და ორთქლს ტურბინას აწვდის. დანადგარი მოპედის უკანა მხარესაა დამონტაჟებული და პენსიონერს ზურგი მუდამ თბილად აქვს ხოლმე.

### მომავლის ავტომობილი

ამ ცოტა ხნის წინათ მეხიკოში გამართულ „მომავლის ავტომობილთა" კონკურსზე საუკეთესო ხუთეულში მოხვდა მოსკოველ




კონსტრუქტორთა მიერ დაპროექტებული და აგებული მსუბუქი ავტომანქანა „კომპაქტი".

ამ მანქანის კომფორტული სალონი ხუთ კაცს იტევს, თუმცა მისი ზომები ჩვეულებრივზე ნაკლებია. აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტიც ძალზე მცირეა — სულ 0,27. ასევე, მინიმალურია მანქანის წონა — 880 კგ საწვავით სავსე ავზითურთ.

მანქანა ბენზინ-წყალბადის საწვავზეა გაანგარიშებული, ერთი სავსე ავზით მას 200 კმ-ის გავლა შეუძლია, საათში 100 კმ სიჩქარეს 18 წამში ავითარებს, მაქსიმალური სიჩქარე კი 150 კილომეტრია საათში. ავტომობილის მთავარი კვანძების მუშაობას თვალ-ყურს ადევნებს კომპიუტერი.



● სათის პლასტიკის კორპუსის სამაგრი ყური თუ გაგიტყდა, ძალიან ნუ დაღონდები. უშუალოდ კორპუსში გახურებული ნემსით ორი ნახვრეტი გააკეთე და საათზე სამაჯური საკანცელარიო კავით დაამაგრე.

● ელექტროსადუღარას სადენი ხშირად იხეხება და წყდება შემყვანთან, იმ ადგილას, სადაც ის სადუღარას კორპუსს უერთდება. ამ უწესივრობის გამოსწორება ძნელი არ არის: პლასტმასის ნაწნეხი წმინდა ხერხით ჩამოხერხე, სადენი გაანთავისუფლე, ბოლოები გამხურებლის გამოსავალს მიარჩილე და შემყვანის ნაცვლად ჩვეულებრივი შტეფსელის ჩანგალი დააყენე.

● თუ ფანქარს თუნუქის ან რბილი ფოლადის რგოლს ჩამოაცვამ, ხოლო დაზგასთან კედელს მაგნიტს მიამაგრებ, ფანქარი ბურბუშელაში არ ჩაგივარდება და მუდამ თვალწინ გექნება. მაგნიტზე სახაზავისთვისაც მოიძებნება ადგილი.

● კედელზე კაფელის მისაკრავი მრავალი წესი არსებობს. აი, კიდევ ერთი ხერხი, უფრო მარტივი და საიმედოც: კაფელის ოთხ კიდურა წერტილთან ცხელი ბიტუმი დააწვეთე და სწრაფად მიაკარი კედელს.

● თვითონვე შეგიძლია დაამზადო ძალზე მოსახერხებელი საკიდი ჰალსტუხებისათვის. ნახაზს დახედე და მიხვდები, რომ ამისათვის საკმარისია მავთული, ორი ნახვრეტი კარადის კედელში და რამდენიმე სარეცხის სამაგრი.

● სამღებრო ფუნჯი ხშირი ხმარებისას იცრიცხვება — ჯაგარი სძვრება ხოლმე. ნუ იჩქარებ ასეთი ფუნჯის გადაგდებას — მის ლითონის სალტეს ნახვრეტი გაუკეთე, შიგ წებო ჩააწვეთე და ფუნჯი კიდევ კარგა ხანს მოგემსახურება.











# სარჩევი


ნ. ხარაზიშვილი — „უკან ჰრჩეს კვალი განათლებული" (ნარკვევი) . . . . . . . . გარეკ. 2
ნ. აფხაზავა — ნატვრა (ლექსი) . . . . . . . 3
დ. ლობჟანიძე — გასროლა ნაკრძალში (მოთხრობა) . . . 4
ნ. შამანაძე — ლექსები . . . . . . . . 10
მ. ქერძევაძე — „ჯეჯილი" — 100 (წერილი) . . . . . 11
ვ. გეგეჭკორი — აკაკის ცხოვრება (წერილი) . . . . 12
ვ. ბერიაშვილი — კლდებიჯა (ზღაპარი) . . . . . 14
მაღალი ზნეობის გაკვეთილი (წერილი) . . . . . . 17
ე. დიდიმამიშვილი — ლექსები . . . . . . . 18
ნ. ღვინერია — ვის მიუძღვნა აკაკიმ „ჩანგური"? (წერილი) 19
ი. გოგებაშვილი — ბიბლიური ისტორია . . . . . 20
აისი . . . . . . . . . . 22
პოლ მაკარტნი (წერილი) . . . . . . . . 25
ლ. ანთარჯანაში — ზღაპარი პატარა ანგელოზზე . . . . 26
დ. გოზალიშვილი — სპელეოლოგია და სპელეოტურიზმი (წერილი) . . . . . . . . . 29
საოჯახო სამზარეულო (წერილი) . . . . . . . 30
ჭადრაკული — ჭადრაკი ლონური სარკე; საინტერესო სიახლენი . . . . . 31
გამოცანები . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . გარეკ. 3


ყდის 1-ლ გვერდზე — ჯ. კასრაძის სლაიდი.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა, (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამშრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ.მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 27.04.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.06.90 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90\ 1/8$ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 1080. ტირაჟი 117000 ეგზ., უე 08014.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხს წერილობით არ ვცნობებთ.

«Накадули» журнал для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90\ 1/8$. учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,85.
Тираж 117.000 экз. Цена 20 коп.



© „ნაკადული", 1990 წ.

## კროსვორდი

თარაზულად: 3. ინგლისელი დრამატურგი და პოეტი;



7. ქათმის ჯიშის ფრინველი; 9. რძის პროდუქტი; 10. სიყვარულისა და სილამაზის მფარველი ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 12. მტაცებელი ფრინველი; 16. ჯილდო; 18. საცალფეხო გზა; 20. ახალამოსული ბზირი და წმინდა ბალახი; 21. საქართველოს ძველი დედაქალაქი; 22. ნახშირის გასაჩალებელი თავლია ლუმელი; 23. შუაცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი იმერეთში; 24. ქიმიური ელემენტი, ვერცხლისფერი ლითონი; 27. თუნუქით შემოჭედილი სახურავიანი ხის ყუთი; 30. მომცრო ჩიტი; 32. მცენარის ნორჩი ტოტი; 33. ძველი და შუა საუკუნეების ქალაქი და ნავსადგური საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე; 34. გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი; 35. მაგნიტი.

შვეულად: 1. საგნის ზეპირი გადმოცემა, საჯარო გამოსვლა; 2. წერილობითი ძეგლებისა და ისტორიული საბუთების საცავი; 4. მალალხარისხოვანი მინა; 5. სიმებიანი სამუსიკო საკრავი; 6. თევზის საჭერი მოწყობილობა; 8. მტაცებელი ფრინველი; 11. სინათლის, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 13. პატარა სასიმღერო ლირიკული ლექსი; 14. ქალაქი გდრ-ში; 15. ორაზროვნება; 17. ამბის მომტანი; 19. მბრუნავი ღერო, რომელიც მოძრაობას გადასცემს მექანიზმის სხვა ნაწილებს; 25. პურეულის ძნის კევრით სალეწი ადგილი; 26. ვაზის ერთწლიანი რქა; 28. ხის დიდი ჭურჭელი; 29. „ვისრამიანის" პერსონაჟი; 30. საგნის ან მოვლენის დამახასიათებელი; 31. ძლიერი განცდის გამოვლენა.

შეადგინა
ქ. ქურდოვანიძემ

## გამოცანები

ამ გამოცანის ამოხსნა,
ვფიქრობ, იქნება ადვილი:
შენ შემოგყურებს და შენი
ტყუპისცალია ნამდვილი,
ტანზედაც შენი აცვია,
შენივე ხურავს მანდილი,
მაგრამ არასდროს არ უნდა
საუზმე-ვახშამ-სადილი.

ერთი ცალთვალა კაცია,
სხვებს სრულებითაც არ ჰგავს,
კუდი აქვს მასზე უგრძესი
და იმ კუდს გზაში კარგავს.

ერთად შრომობენ ნიადაგ,
თანაც ცხოვრობენ ერთად
ათიათასი წვრილშვილი
და ერთადერთი დედა.
მიდიან, მიიმღერიან...
საით მიდიან ნეტავ?

თორმეტჯერ სახელს შეიცვლის,
ოთხჯერ — სხვადასხვა ლაბადას,
თვითონაც ცვალებადია...
ნეტავ რა დედამ დაბადა?

ნ. გვარიშვილი

გამოიცნობ,
შენი მჯერა:
ღამით ვხედავთ,
დღისით — ვერა.

რქიანი, წვერებცანცარა,
მწყემსის დამხმარე ნალდი —
უზარმაზარი ცხვრის ფარა
იმის ჰკუაზე დადის.

არ ღრღნიან და
არცა ჭრიან —
წინდას გიქსოვს
ორი ჰია.

ალ. ხუციშვილი

### შარადები

წელიწადში თორმეტია,
წლის დროში კი სამი,
წინ კავშირის დამატებას
არ სჭირდება წამიც,
ბოლო ხმოვანს შევუცვლი და
დავასრულებთ ამით.

ერთზე მეტი ფუძისაგან
შემდგარ სიტყვას რაცა ჰქვია,
დასასრული ხმოვნის გარდა
დასაწყისად საკმარია;
თან ყველაზე მცირე წყვილი
რიცხვი გინდა შესავსებად,
ნაირ-ნაირ ჰანგებს შექმნის
და დაგიტკბობს ყურთასმენას

ალბათ არ გაგიჭირდება
კახეთის ტაძრის მიგნება,
თავიდან ორი მარცვალიც
ჩამოაცილო იქნება,
და ის მრავალი ოპერის
ავტორის გვარი იქნება.

ფუტკრის ზოგადი სახელი
გაცოდინება, რაც არი;
მერე აილე იგივე
კამათის ბოლო მარცვალი,
რომელიც წინა ნაწილის
შუაში ჩასართველია —
ადვილად წამოეწევა
იგი გაქცეულ მელიას

შ. ამირანაშვილი



### პასუხი № 5-ში მოთავსებულ „მხიარულ ზეგ"-ზე

#### თავსატეხი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ს | ა | ფ | ა | რ | ა |
| | | | ჯ | ვ | ა | რ | ი | | |
| ა | ლ | ა | ვ | ე | რ | დ | ი | | |
| | | | | ტ | ბ | ე | თ | ი | |
| | ო | შ | კ | ი | | | | | |
| | | კ | ა | ც | ხ | ი | | | |
| | | | | ხ | ა | ხ | უ | ლ | ი |
| | | ი | კ | ო | რ | თ | ა | | |
| | | | | ვ | ა | რ | ძ | ი | ა |
| ქ | ა | შ | ვ | ე | თ | ი | | | |
| | | გ | ე | ლ | ა | თ | ი | | |
| | | ო | პ | ი | ზ | ა | | | |

#### კროსვორდი

თარაზულად: 4. ბილბაო; 6. სეტი; 8. გურია; 10. ბოქსი; 11. ნიკე; 13. ფეხბურთი; 17. კოკა; 19. გო; 20. ლედი; 21. ნანტი; 23. სპარტაკი; 24. კროსი; 25. ტატამი; 27. ნეტო; 28. გოლფი.

შვეულად: 1. აია; 2. პელე; 3. პასი; 5. ბენფიკა; 7. კორტი; 8. გუნდი; 9. როსი; 10. ბურთი; 12. კროლი; 14. ხუანიტო; 15. ატლანტი; 16. პლატინი; 18. გოლი; 22. გონგი; 24. კიი; 26. ალი.

#### გამოცანები

კრუხ-წიწილა, კურდღელი, საზამთრო, ცოცხი, ლოკოკინა, სიზმარი, სათვალე, კიბო, კურდღელი.

## პატარა მემოდელე



მაკა ხუციშვილი, 10 წლის
ამბროლაური